

ISSN 1987 – 5789

ESSN 2587- 5426

doi.org/10.52340/eab



# ეკონომიკა და ბიზნესი ECONOMICS and BUSINESS

# 4

ტომი XVI Volume

2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი  
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,  
2015 წლიდან – კვარტალურად  
Publish since January 2008 once in two months,  
since 2015 – Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2  
თსუ-ს მაღლივი კორპუსი, III სართული, 316-317  
ტელ. **+995 32 2 25 04 84**

მთ.რედაქტორი: ტელ – 599794949, მოადგილე – ტელ: 599103816,  
პ/მდ. – ტელ: 599218384, მთ.სპეც. – ტელ: 577970280.

Adress: Tbilisi University str. #2. Tel: **+995 32 2 25 04 84** – 9781, 9763, 9724.  
Chief editor – Tel: 599794949, Deputy Chief Editor – Tel: 599103816,  
Responsible Secretary – Tel: 599218384, Chief Specialist – Tel: 577970280  
www.eb.tsu.ge e-mail: ebf.journal@tsu.ge

---

## სარელაქციო კოლაბია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიროვნულ-  
იხილეთ: **იუნი ანანიასვილი**, **გივი ბედინასვილი**, **თეიმურაზ ბეჩიძე**, **სიმონ გელაშვილი**,  
**ივანე გვედესიანი**, **ივანე გოგობია** (ხელაქტოხის მოადგილე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პა-  
სუხისმგებელი მდივანი), **ნუგზახ თოდუა**, **იხაკი კოვზანაძე**, **მუხთაზ მაღიაძე**, **ედგუ-  
ჯა მექვაბიშვილი** (მთავარი ხელაქტოხი), **დავით ნახმანია**, **ნუგზახ პაიჭაძე**, **დევან სა-  
ბაუხი**, **დემურ სიჭინავა**, **მიხიან ტუხაშვილი**, **გიორგი ლაღანიძე**, **თეიმურაზ შენგელია**,  
**ეთეხ სახაიშვილი**, **იოსებ ხელაშვილი**; პიროვნულები: **ჰამაზ აბესაძე** – პაატა გუგუშ-  
ვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, **ანზოხ აბხადავა** – საქართველოს ტექნი-  
კური უნივერსიტეტი, **იოსებ აჩრავაძე** – ქუთაისის უნივერსიტეტი, **გიორგი თუჩქია** – სა-  
ქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მეხაბ კაკულია** – საქართველოს სა-  
ზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მუხიმან კვახაცხელია** – სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, **შადვა მაჭავახიანი** – ევროპული უნივერსიტეტი, **ვლადიმე პაპავა** –  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **დადი სენინასვილი** –  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **ავთანდილ სიდაგაძე** – საქართველოს მეცნი-  
ერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმე ღღონტი** – ბათუმის შოთა ჰუს-  
თაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნიკოლოზ ჩიხრაძე** – აკაკი წერეთლის სახელმწი-  
ფო უნივერსიტეტი, **მიხეილ ჯიბუტი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადე-  
მიის აკადემიკოსი.

## სარელაქციო კოლაბიის უცხოელი წევრები

**მიხეილ აღმალი** – ჩხედილოთ კახოლინას უნივერსიტეტის პიროვნული (აშშ); **ოლე-  
ნა ბაჟენოვა** – კიევის ტახას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტის პიროვნული (უკ-  
რაინა); **გოხლონ ბეჩიძე** – სამხრეთ ფლორიდას კოლეჯის თავისუფალი მეწახმეობის  
ცენტრის უფროსი მკვლევარი (აშშ); **ჯუზეპე დე დუკა** – მილანის უნივერსიტეტის პიროვნ-  
ული (იტალია); **ვლადიმე ვენგი** – ბელარუსის ტექნიკური უნივერსიტეტის პიროვნული  
(ბელარუსია); **იოსებ ვ. კინგი** – ოსტონის უნივერსიტეტის პიროვნული (ნორვეგია);  
**დმიტრი დუკიანენკო** – კიევის ვადიმ ჰეგმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკუ-  
რი უნივერსიტეტის პიროვნული (უკრაინა); **იხაკი მანაგაძე** – სიდნეიში ბანკის სა-  
მეთვადყუხეო საბჭოს თავმჯდომარე, J. Stern&Co Investment ოფისის კონსულტანტი,  
ლონდონი (დიდი ბრიტანეთი); **გეგოხი ნ. მენქიუ** – ჰაიფაის უნივერსიტეტის პირო-  
ვნული (აშშ); **იან მიხაილი** – ვაშინგტონის უნივერსიტეტის პიროვნული (პოლონე-  
თი); **დადი ნილი** – ილინოისის უნივერსიტეტის ემიგრაციის-პიროვნული (აშშ); **ამერი-  
ან ფეიგუინი** – გენობის ადვოკატის უნივერსიტეტის პიროვნული (საფრანგეთი); **დემ-  
ხაბეტ ჩაკო** – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პიროვნული (აშშ); **ტომას ჰადლი**  
– ტახტის უნივერსიტეტის პიროვნული (ესტონეთი).

---

## EDITORIAL BOARD

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professors: **Ananiashvili Iuri**, **Bedianashvili Givi**, **Beridze Teimuraz**, **Gaganidze George**, **Gelashvili Simon**, **Gvelesiani Revaz**, **Gogokhia Revaz** (Deputy Redactor), **Kharaishvili Eter**, **Khelashvili Ioseb**, **Kovzanadze Irakli**, **Maghradze Murtaz**, **Mekvabishvili Elguja** (Editor-in-Chief), **Narmania Davit**, **Paichadze Nugzar**, **Sabauri Levan**, **Shengelia Temur**, **Sichinava Demur**, **Todua Nugzar**, **Tukhashvili Mirian**, **Zubiashvili Tamaz** (Executive Secretary); Professors: **Abesadze Ramaz** – Paata Gugushvili Economic Institute, **Abralava Anzor** – Georgian Technical University, **Archvadze Ioseb** – Kutaisi University, **Chikhladze Nikoloz** – Akaki Tsereteli State University, **Glonti Vladimer** – Batumi Shota Rustaveli State University, **Jibuti Mikheil** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Kakulia Merab** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA), **Kvaratskhelia Murman** – Sukhumi State University, **Machavariani Shalva** – European University, **Vladimer Papava** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Sekhniasvili Dali** – Georgian Technical University, **Silagadze Avtandil** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Turkia George** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA).

## FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

**Altman Michael A.** – Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University, professor (USA); **Bazhenova Olena** – Professor of Economic Cybernetics Department, Taras Shevchenko Kyiv National University (Ukraine); **Brady Gordon** – Senior Research Fellow at the Center of Free Enterprise at Southern Florida College (USA); **De Luca Giuseppe** – Professor of Milan University (Italy); **Ferguène Ameziane** – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); **Chaco Elizabeth** – Professor of Geography and International Relations, George Washington University (USA); **Haldma Toomas** – Professor of Tartu University (Estonia); **King Roswitha M.** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College, professor (Norway); **Lukianenko Dmytro** – Rector of Vadym Hetman Kyiv National Economic University, Professor (Ukraine); **Managadze Irakli** – Chairman of Silk Road Bank Supervisory Board, Senior Advisor and Consultant at J.Stern & Co Investment Office Acad. Doctor (UK); **Mankiw Gregory N.** – Professor of Harvard University (USA); **Mikhalek Jan** – Professor of Warsaw University, (Poland); **Neal Larry** – Emeritus Professor of Illinois University (USA); **Weng Wolfgang** – Professor of Berlin Technical University (Germany).

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### ეკონომიკური თეორია ო ეკონომიკური პოლიტიკა

<b>გუნდა ექჟომიშვიდი, ეკა დეკაშვიდი, დიდი ხუცია</b> - წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის უცხოური გამოცდილების გათვალისწინება საქართველოს ეკონომიკაში.....	7
<b>დადი ხიხაძე</b> - ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირების პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტიტუტები საქართველოში.....	21
<b>ზანდა მესხიძე</b> - სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხი საქართველოში.....	36

### ციფრული ეკონომიკა

<b>დემუხ სიჭინავა, მუხთაზ მალხაძე</b> - განათლების სფეროში გაციფრულების თანამედროვე პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში.....	53
<b>ინება გაგნიძე</b> - კლასტერი - ეფექტიანი ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი საუკეთესო გზა .....	72

### ბიზნესი ო მენეჯმენტი ო ტურიზმი

<b>ნინო აბესაძე</b> - გლობალური გამაჯანსაღებელი ტურიზმის (ველნეს) განვითარების სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში .....	91
<b>ნუცა თოხაძე</b> - მანქანური სწავლებისა და ეკონომეტრიკის მეთოდების გამოყენება ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის შეფასებისათვის საქართველოს მაგალითზე (1989- 2023წწ.) .....	113
<b>თინათინ დოღაძე</b> - ტრანსფორმაციული ინოვაციური მექანიზმები თანამედროვე სამეწარმეო პრაქტიკისთვის .....	133

### ფინანსები და საბანკო საქმე ო აღრიცხვა, აუდიტი

<b>ბათუნა ბახტაძე</b> - საინვესტიციო პროექტის ფინანსური მოდელი: გათვლები და შეფასებები .....	145
<b>ნანა სხესელი</b> - იჯარის ოპერაციების აღრიცხვის მეთოდოლოგიის ძირითადი ასპექტები .....	155
<b>გიგა პერტია</b> - საგადასახადო სისტემის გავლენა მცირე ბიზნესზე - უცხოური და ქართული გამოცდილება .....	171

### სოციოლოგიური პრობლემები

<b>ამიხან ბეჩქენიშვიდი, კახა ქეცბაია</b> - სოციოლოგიის განვითარება საქართველოში .....	189
---	-----

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

<b>მიხეილ ჯიბუჭი</b> - წიგნი, რომელიც გეხმარება თანამედროვე საქართველოს კონტექსტის გაგებაში .....	205
<b>ედგუჯა მექვაბიშვიდი, თეიმურაზ ბეჩიძე</b> - ქართული გეოეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი.....	210

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY ♦ ECONOMIC POLICY

<b>Gulnaz Erkomaishvili, Eka Lekashvili, Lali Khurtsia</b> - Consideration of Foreign Experience of hydrogen energy policy in the Georgian Economy .....	7
<b>Lali Khikhadze</b> - Innovative Business State Regulation Policy and Its Supporting Institutions in Georgia .....	21
<b>Zanda Meskhidze</b> - Some Issues of Food Security in Georgia .....	36

### DIGITAL ECONOMY

<b>Demur sichinava, Murtaz Magradze</b> - Contemporary Problems and Prospects of Digitalization in the Field of Education in Georgia.....	53
<b>Ineza Gagnidze</b> - Cluster - One of the Best Ways of Effective Digital Transformation.....	72

### BUSINESS ♦ MANAGEMENT ♦ TOURISM

<b>Nino Abesadze</b> - Global Scale of Wellness Tourism and Statistical Trends of Its Development in Georgia.....	91
<b>Nutsa Tokhadze</b> - Machine Learning and Econometric Approaches to FDI: FDI impact on Economic Growth in Georgia (1989-2023) .....	113
<b>Tinatini Loladze</b> - Transformational Innovational Mechanisms for Contemporary Entrepreneurial Practice .....	133

### FINANCE and BANKING ♦ ACCOUNTING and AUDIT

<b>Khatuna Barbakadze</b> - Financial Model of the Investment Project: Calculations and Evaluations.....	145
<b>Nana Sreseli</b> - Basic Aspects of Accounting and Auditing Methodology of Leasing Operations.....	155
<b>Giga Pertia</b> - Impact of Tax System on Small Business - Foreign and Georgian experience.....	171

### SOCIOLOGICAL PROBLEMS

<b>Amiran Berdzenishvili, Kakha Ketsbaia</b> - Development of Sociology in Georgia.....	189
---	-----

### CRITICISM and BIBLIOGRAPHY

<b>Mikheil Jibuti</b> - A Book that Helps Us Understand the Context of Modern Georgia.....	205
<b>Elguja Mekvabishvili, Temur Beridze</b> - Important Acquisition of Goeconomic Science in Georgia .....	210

## ეკონომიკური თეორია ♦ ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY ♦ ECONOMIC POLICY

### წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის უცხოური გამოცდილების გათვალისწინება საქართველოს ეკონომიკაში

#### გულნაზ ერკომაიშვილი

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

#### ეკა ლეკაშვილი

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
eka.lekashvili@tsu.ge

#### ლალი ხურცია

ასისტენტ - პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
lali.khurtsia@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2024.16.04.01

ნაშრომში განხილულია მწვანე წყალბადის ხოლი ენერგეტიკული ჰესების ხაცონადუნი გამოყენების, ასევე, მისი წარმოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები. მწვანე წყალბადის უპიჩატესი ხედშეწყობა გამოკვეთილია ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი პირობიტეტის სახით. მწვანე წყალბადი განიხილება როგორც მომავლის ინოვაციური პროექტი, ჩადგან ის ტრადიციული წიალისუდი საწვავის კონკურენტუდ ადტენიაცივას წარმოადგენს.

კვდევის მიზანია მწვანე წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის უცხოური გამოცდილების შესწავლა და მისი გათვალისწინება საქართველოს ეკონომიკაში.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ მწვანე წყალბადი დაეხმარება ჩვენს ქვეყანას ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებასა და იმპოტიციურ საწვავის ჩანაცვლებაში, ჩადგან მას განახლებადი ენერჯების დიდი, აუთვისებელი პოტენციალი გაჩნია. აღმოსავლეთ პატირობის ფაჩგდებში ევროპა საქართველოს განიხილავს მოკავშირედ მწვანე წყალბადის წარმოების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა გახდეს წყალბადის გამოყენების თვითკმაჩი, ჰქონდეს დამატებითი ჰესუხები ექსპოტიცისთვის და აჩამხოდოდ ტრანზიტისთვის. საქართველოს აქვს ჰესუხის, მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს.

კვლევის შედეგების გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოში მწვანე წყარბადის ენეჰგეტიკის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისთვის დიფეხენციხებული ამოცანებისა და აქტივობის დასახვას.

**საკვანძო სიგყვები:** მწვანე წყარბადი, წყარბადის ენეჰგეტიკა, ენეჰგეტიკური უსაფხთხოება, წყარბადის ენეჰგეტიკის ეკონომიკური პოლიტიკა.

## შესავალი

ენერჯის მდგრადი წყარობის განვითარება საზოგადოების მთავარ გამოწვევად იქცა. მწვანე წყალბადი, რომელიც წარმოიქმნება განახლებადი ენერჯის წყარობის გამოყენებით, წყლის ელექტროლიზის გზით, წიალისეულ საწვავზე კაცობრიობის დამოკიდებულების შემცირების პერსპექტიულ ტექნოლოგიას წარმოადგენს. მწვანე წყალბადს აქვს უზარმაზარი პოტენციალი, რადგან წარმოგვიდგება მდგრადი ენერჯეტიკული მომავლის ძირითადი კომპონენტის სახით. მწვანე წყალბადის წარმოებასა და გამოყენებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს სითბური გაზების ემისიები, გააძლიეროს ენერჯეტიკული უსაფრთხოება, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და სხვადასხვა სექტორის დეკარბონიზაციას.

ბოლო წლებში, მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა ენერჯის გლობალური მოხმარება, რაც გამოწვეულია მოსახლეობის ზრდით, ეკონომიკური განვითარებით და ტექნოლოგიური წინსვლით.

ტრადიციულ საწვავზე დამოკიდებულება ამ გამოწვევების ფონზე პრობლემური გახდა გარემოზე თანმდევი მზარდი უარყოფითი ეფექტის გამო, რამაც დღის წესრიგში დააყენა მდგრადი და ეკონომიკურად ეფექტიანი ალტერნატიული ენერჯის წყარობის მოძიება (M.K. Abbas et al., 2023). ერთ-ერთი ასეთი ალტერნატივა არის მწვანე წყალბადი, რომელიც პერსპექტიული ტექნოლოგიაა, შემუშავებული მდგრადი ენერჯეტიკული მომავლის გამოწვევების საპასუხოდ (Z Abdin et al., 2020; I.K.Muritala et al., 2020). მწვანე წყალბადის გამოყენების ტექნოლოგია გულისხმობს წყალბადის აირის წარმოების პროცესს ელექტროლიზის გზით, განახლებადი ენერჯის წყარობის გამოყენებით, როგორცაა მზის, ქარის ან ჰიდროელექტრო ენერჯია. ბუნებრივი აირისგან წყალბადის წარმოების ჩვეულებრივი მეთოდისგან განსხვავებით, მწვანე წყალბადი განიხილება ეკოლოგიურად სუფთა და მდგრად ვარიანტად, რადგან ის არ გამოყოფს სითბურ გაზებს მისი წარმოებისა და გამოყენების დროს (W. He et al., 2020; P.M. Falcone et al., 2021)

ბრანდონის და ქურბანის (Brandon, N. P., & Kurban, Z., 2017) კვლევის მიხედვით, ბოლო წლებში წყალბადის ეკონომიკისადმი ხელახლა გაღვივდა ინტერესი როგორც მრეწველობის, ასევე მეცნიერების მხრიდან. წყალბადს ენერჯეტიკული რევოლუციის დაჩქარება შეუძლია განახლებადი ენერჯის სისტე-



მებში საჭირო მოქნილობის უზრუნველყოფით. ნაშრომი წარმოგვიდგენს წყალბადის გამოყენების შესაძლებლობებს ეკონომიკის ძირითად სექტორებში. მასში განსაზღვრულია არსებული სარგებელი და გამოწვევები წყალბადის მიწოდების ჯაჭვში: ელექტროენერჯია - გაზის, ელექტროენერჯია - დენისა და გაზი - გაზის მიწოდების არხებისთვის.

ვოლტერსის (Wolters, F. J. A. de K., 2021) ნაშრომი გვიჩვენებს წყალბადის ეკონომიკის მხარდამჭერ ეკონომიკურ სექტორებს და აანალიზებს ამ მხარდაჭერის საჭიროებას და მნიშვნელობას. ავტორმა შეისწავლა ევროპის წყალბადის ასოციაციის 39 წევრი-ქვეყნის მონაცემები. ეს ასოციაცია მიზნად ისახავს წყალბადის პროექტების ხელშეწყობას, დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას, რითაც შეუძლიათ იმოქმედონ ლობისტურ ჯგუფებზე წყალბადის ენერგეტიკის მხარდასაჭერად. ასოციაციის წევრების ინფორმაცია გამოიყენება წყალბადის და მისი მხარდამჭერი სხვადასხვა სექტორის გეოგრაფიული სივრცის მიმოხილვისთვის.

## წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის უცხოური გამოცდილება

წყალბადის ენერგეტიკის პოლიტიკის ეფექტიანობის საკითხზე ინოვაციური ხედვები წარმოდგენილია აშშ-ის მრეწველობის დეკარბონიზაციის უკანასკნელ ანგარიშში, სადაც ხაზგასმულია სუფთა წყალბადის და ბირთვული ენერჯის ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაზე შეერთებულ შტატებში მრეწველობის დეკარბონიზაციის დასაჩქარებლად. ანგარიშში ავტორი (Webster, J., 2023). ვარაუდობს, რომ ნახშირბადის ემისიებზე ფასის დაწესების პოლიტიკას შეუძლია მრეწველობის დეკარბონიზაციისთვის სუფთა ენერჯის წყაროების განვითარებისა და მიღების, მათ შორის - წყალბადის წარმოების სტიმულირება მოახდინოს.

ოქსფორდის ენერგეტიკული კვლევების ინსტიტუტის თანამშრომლების მარტინ პალოვიჩისა და რაჰმატალა პუდინეის (Palovic, M., & Poudineh, R., 2022) მოხსენებაში განხილულია წყალბადის ინტეგრაცია ევროპის ენერჯის გადაცემის ინფრასტრუქტურაში. აქ მოცემულია ძირითადი ხედვები ინტეგრაციის, დასკვნების, რეკომენდაციებისა და მმართველობის როლთან დაკავშირებით.

აშშ-ის მრეწველობის დეკარბონიზაციის საკითხზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მსგავსად, ევროკავშირისთვისაც არსებულ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში წყალბადის ინტეგრაციის გამოწვევები ორ ძირითად საკითხს მოიცავს: ინფრასტრუქტურის გადართვის ხარჯები და ინსტიტუციური არათანმიმდევრულობა.

პალოვიჩი და პუდინეჰი (Palovic, M., & Poudineh, R., 2022) განიხილავენ წყალბადის ინფრასტრუქტურის სექტორთაშორის კოორდინაციის სამ მიდგომას: **ცენტრალურად კოორდინირებულ, ბაზარზე დაფუძნებულ და რეგულირებად მიდგომებს**. ავტორები ვარაუდობენ, რომ აუცილებელია მართვისა

და ტექნოლოგიების თანავითვლით წყალბადის ტრანსპორტის ეფექტიანი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ისინი გვთავაზობენ, რომ წყალბადზე ორიენტირებული მომავალი ინვესტიციები არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ სექტორის სპეციფიკურ მიწოდებასა და მოთხოვნაზე, არამედ უნდა განიხილოს კოორდინაცია წარმოებასთან, მოხმარებასთან და სხვა სექტორებში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა წყალბადის, როგორც ენერგეტიკაში თამაშის წესების შემცვლელის წარმართველ როლს. ასევე, ხაზგასმულია ახალი სექტორთაშორისი კოორდინაციის მექანიზმების საჭიროება, რათა გადაიჭრას წყალბადის დეცენტრალიზებული მიწოდების გამოწვევები, რაც არსებითად განასხვავებს მას ელექტროენერჯის და გაზის ქსელების ცენტრალიზებული არქიტექტურისგან.

წყალბადის ეკონომიკის თანამედროვე გამოკვლევებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფილიპსის და ფიშერის (Philips, J., & Fisher, L. (2021) ნაშრომს, სადაც გადმოცემულია, რომ აშშ-ში მწვანე წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის სრულყოფილად შემუშავებულმა ჩარჩომ შეიძლება ხელი შეუწყოს გარკვეული ინდუსტრიების (ფოლადი და სატვირთო ტრანსპორტი) კონკურენტულ მომავალს და ენერგეტიკის სექტორის დეკარბონიზაციას. მწვანე წყალბადის სანარმოთა უმრავლესობა დაჯგუფებულია ჩრდილოეთ სამრეწველო ჰაბების ირგვლივ, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს დღის წესრიგის დონის ამალღებას, მაღალკვალიფიციური მწვანე სამუშაო ადგილების მიწოდებას თემებისთვის და მხარი დაუჭიროს სამართლიან გადასვლას ნახშირბადის მაღალი შემცველობის იმ ინდუსტრიებში (როგორცაა ფოლადი), სადაც ამჟამად არ არსებობს ალტერნატიული გზები დეკარბონიზაციისთვის.

ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს იმპორტულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირება და ენერჯის განახლებადი წყაროების ხარჯზე ელექტროენერჯის წარმოების გაზრდა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა ევროპის ახალი ფუნქციონალური მიმართულება გახდა. ევროკავშირი მოიხმარს მსოფლიოში წარმოებული ენერჯის ერთ მეხუთედს, მაგრამ მას შედარებით მცირე საკუთარი მარაგები გააჩნია. ევროკავშირი მსოფლიოში ენერჯის უმსხვილესი იმპორტიორია. მის მიერ მოხმარებული ენერჯის 54% იმპორტირებულია (eurostat.com).

ევროპა მწვანე წყალბადს განიხილავს, როგორც რუსეთზე ენერჯის დამოკიდებულების შემცირების რეალურ საშუალებას. ევროკავშირის მიერ 2022 წლის მაისში შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც მოკლე პერიოდში საგრძნობლად უნდა შემცირდეს რუსულ ენერჯიებზე დამოკიდებულება. ევროკავშირის მონაცემებითა და პროგნოზებით, წყალბადის დადგმული სიმძლავრის გაზრდა 2024 წლისთვის 6 გიგავატამდეა დაგეგმილი, ხოლო 2050 წლისთვის – 500 გიგავატამდე (ნარმანია დ., 2022).

ევროკავშირის გეგმის (REPowerEU) მიხედვით, 2050 წლისთვის ევროპა უნდა იქცეს ე.წ. სუფთა კონტინენტად, რასაც ევროპის მწვანე შეთანხმებაც (**Green Deal**) ითვალისწინებს. შეთანხმების თანახმად, განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებთან ერთად, წყალბადის ქსელის განვითარება ევროპაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. შესაბამისად, იზრდება მწვანე წყალბადის კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსება. მნიშვნელოვნადაა მომატებული მწვანე წყალბადის როლი და წილი ევროკავშირის ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებაში. მაგალითად, ნიდერლანდების სამეფოში იგეგმება წყალბადის ტრანსპორტირების მსოფლიოში პირველი ეროვნული ქსელის მშენებლობა. ევროპა მწვანე წყალბადზე მუშაობის გააქტიურებას განიხილავს, როგორც „გადაუდებელი გამოწვევის გარდაქმნას უნიკალურ შესაძლებლობად“ (ნარმანია დ., 2022).

მთლიანად ევროკავშირის სტრატეგია ევროპის კონტინენტზე 2030 წლისთვის მწვანე/სუფთა წყალბადის საწარმოებლად 40 გეგავატი წყლის ელექტროლიზის და ევროპის კონტინენტს გარეთ იმპორტისათვის დამატებით 40 გეგავატის წარმოებას მოიცავს (eurostat.com)

მწვანე წყალბადის აქტიურ გამოყენებას არა მხოლოდ ევროპა, არამედ სხვა ქვეყნებიც განიხილავენ. მათ შორისაა ინდოეთი, სადაც 2021 წელს დაიწყო ქვეყნის წყალბადის ეროვნული მისიის განხორციელება, საწარმოებს განესაზღვრათ მწვანე წყალბადის გამოყენების მინიმალური კვოტა. ამ ქვეყნის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მწვანე წყალბადი შეიძლება დაეხმაროს ინდოეთს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმაში და ამ მიზანს ინდოეთი 2047 წლისათვის მიაღწევს (ნარმანია დ., 2022).

### **მწვანე წყალბადის წარმოების პოტენციალი და ენერგეტიკული პოლიტიკა საქართველოში**

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახეობის ენერჯის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებით. ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის დარგში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა (ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი, economy.ge).

საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის და საერთოდ, ენერგეტიკული სისტემის დაბალანსებისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია „მწვანე წყალბადის“ ტექნოლოგიის განვითარება. ვინაიდან, ელექტროენერჯის მოხმარებისა და ჰიდროენერჯის გამომუშავების სეზონურობა იწვევს ზაფხულში ექსპორტირებადი ელექტროენერჯის ჭარბი რაოდენობით გამომუშავებასა და ზამთარში მზარდ დეფიციტს, ის შეიძლება დაბალანსდეს ენერ-

გის დაგროვების ტექნოლოგიებით და ერთ-ერთი ტექნოლოგია შეიძლება იყოს წყალბადის ენერჯია.

საქართველოში, ასევე, შესაძლებელია მწვანე წყალბადის გამოყენება თბოელექტროსადგურებისთვის ელექტროენერჯიის საწარმოებლად. მნიშვნელოვანია, წყალბადის სექტორის განვითარებისთვის მზად იყოს მარეგულირებელი გარემო. მსოფლიოში ასეთი მარეგულირებელი ჩარჩო ჯერ განვითარების ადრეულ ეტაპებზეა. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში უკვე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები, რაც იქნება ერთგვარი ფუნდამენტი მწვანე წყალბადის განვითარების ხელშემწყობი დოკუმენტების პროექტების შესაქმნელად.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკა ჩვენს ქვეყანას განიხილავს მოკავშირედ მწვანე წყალბადის წარმოების მიმართულებით(ნარმა-ნია დ., 2022).

ევროსტატის მონაცემების მიხედვით, მოხმარებულ მთლიან ენერჯიაში განახლებადი ენერჯიის წილი ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებში იხ. ცხრილში.

**მთლიან ენერჯიაში განახლებადი ენერჯიის წილი ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებში 2022 წელს (%)**

ევროკავშირის წევრი ქვეყნები	ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები
შვედეთი - 66,00	ნორვეგია - 75,82
ფინეთი - 47,89	ალბანეთი - 44,08
ლატვია - 43,32	მონტენეგრო - 39,94
დანია - 41,60%	სერბეთი - 27,08
ესტონეთი - 38,47	მოლდოვა - 21,54
პორტუგალია - 34,68	<b>საქართველო - 21,15</b>
ავსტრია - 33,76	კოსოვო - 18,78
ლიეტუვა - 29,60	ჩრდილოეთ მაკედონია - 18,68
ხორვატია - 29,35	

წყარო: Eurostat.com

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოხმარებულ მთლიან ენერჯიაში განახლებადი ენერჯიის წილის მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებში შვედეთი ლიდერობს. ქვეყნის მიერ მოხმარებული მთლიანი ენერჯიის 66% მიღებულია ჰიდრო და ქარის ენერჯიის, მყარი და თხევადი ბიოსანჯავის და თბური ტუმბოების გამოყენებით.

რაც შეეხება საქართველოს, მოხმარებულ მთლიან ენერჯიაში განახლებადი ენერჯიის წილი 21,15 %-ია. საქართველო იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორისაა, სადაც 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირებულია. 2021 წელს ის 22,31%-ს შეადგენდა. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „პარიზის შეთანხმებით“ გათვალისწინებული – „საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC)“, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიით განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან მიღებული ენერჯიის მოხმარების საერთო მოხმარებაში წილის 35%-მდე ზრდა იყო დასახული მიზნად, ახალი სამუშაო ვერსიით კი სამიზნე მაჩვენებელი 27,7% გახდა. ელექტროენერჯია მთლიან მოხმარებულ ენერჯიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მისი ძირითადი ნაწილი კი განახლებადი წყაროებიდან მიიღება. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2023 წლის 11 თვის მონაცემებით საქართველოში წარმოებულ ელექტროენერჯიაში თბოსადგურების წილი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2,7%-ით არის გაზრდილი, ხოლო მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო მეტი ზრდა იყო მოსალოდნელი, ნაკლებად არის მოსალოდნელი მთლიან მოხმარებულ ენერჯიაში განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან მიღებული ენერჯიის მოხმარების წილის სამიზნე მაჩვენებელთან მიახლოება (საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია).

2020 წელს საქართველოს მთავრობამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც გულისხმობს ქვეყნის საჭიროების შეფასების ტექნიკურ კვლევას ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის წარმოებაზე.

2021 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის განვითარების ბანკს (KfW) შორის ხელი მოეწერა განზრახვლებათა დეკლარაციას საქართველოში მწვანე წყალბადის პოტენციალის შესწავლის შესახებ. დეკლარაციის ძირითადი მიზანია საქართველოში მწვანე წყალბადის პოტენციალისა და სარგებლის შეფასება, პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისთვის სარგებლის მოტანას, შესაბამისად, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას სუფთა და განახლებადი ენერჯიების მიმართულების განსავითარებლად, იმპორტირებულ გაზზე დამოკიდებულების შემცირებასა და მიწოდების უსაფრთხოების გაზრდას. ასევე, დეკლარაციით განსაზღვრული მიზანია განახლებადი ენერჯიის პროექტების განვითარების ტემპის ზრდა, ნახშირბადის ემისიების შემცირება და ქვეყნისთვის ექსპორტის შესაძლებლობების შექმნა.

2022 წელს აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით დაიწყო „ენერჯიის დამგროვებლებისა და მწვანე წყალბადის განვითარების“ პროგრამის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა დაინტერესებუ-

ლი ინსტიტუციების ცოდნისა და შესაძლებლობების ამაღლებას და შესაბამისი, საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერას.

პირველ ეტაპზე, წყალბადის გამოყენების გზად განიხილება ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტი, სადაც მისი დანერგვა იქნება თვალსაჩინო მაგალითი საზოგადოებისთვის იმის სადემონსტრაციოდ, თუ რამდენად სასარგებლო, საჭირო, სუფთა და უსაფრთხოა მწვანე წყალბადი თანამედროვე მსოფლიოსთვის. აღნიშნული პროექტი გრანტისა და იაფი სესხის საფუძველზე KfW-ს მხარდაჭერითა და დახმარებით დაფინანსდება. დაგეგმილია ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში მწვანე წყალბადის საწარმოს აშენება.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ცნობით, პროექტში ჩართული მხარეების მონაწილეობით, ტერიტორიაზე განთავსდება წყალბადის საწარმო, ე. წ. ელექტროლაიზერი. ასევე - ავტობუსების სატუმბი და წყალბადის შემნახველი სადგურები. ასევე, შედგენილია მწვანე წყალბადზე მომუშავე საავტობუსე მარშრუტები (<https://energynews.ge/news/elternatiuli-energia/batumis-industriul-zonashi-mtsvane-tsyalbadis-satsarmo-ashendeba>).

საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის ინფორმაციით, საქართველოს წყალბადის სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანია „GOPA Intec“ მიერ. კვლევა საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) დაფინანსებით განხორციელდა. შეიცვლება და დაიხვეწება შესაბამისი კანონმდებლობა, გადაიდგმება ნაბიჯები, რაც ადგილობრივ და უცხოურ ინვესტორებს, საქართველოში მწვანე წყალბადის განვითარების ბიზნესპოტენციალის დანახვისა და შეფასების შესაძლებლობას მისცემს.

საქართველო, საკუთარი განახლებადი ენერჯის პოტენციალით და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების, სარგებლის მიღებას ითვალისწინებს როგორც საკუთარი რესურსების განვითარებით, ასევე სხვა ქვეყნებიდან ტრანზიტის ხელშეწყობით.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა გახდეს წყალბადის გამოყენების თვითკმარი, ჰქონდეს დამატებითი რესურსები ექსპორტისთვის და არამხოლოდ ტრანზიტისთვის. საქართველოს აქვს რესურსი, მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს.

საქართველოში გერმანიის საელჩოს ცნობით, გერმანია საქართველოს 23 მლნ ევროს გამოუყოფს ბაზარზე მწვანე წყალბადის წარმოების მიზნით. მთლიანობაში მხარეებმა დაახლოებით 68 მლნ ევროს ღირებულების ღონისძიებათა პაკეტი შეიმუშავეს მომდევნო ორი წლის პერიოდისთვის.

ეს თანამშრომლობა პირველი საინვესტიციო პროექტია მწვანე წყალბადის ტექნოლოგიის კუთხით კავკასიის რეგიონში. მრავალი ჰიდროელექტროსადგურის, მზის მაღალი გამოსხივებისა და ქარის ძალიან კარგი პირობების გამო, რეგიონს განახლებადი ენერჯების და ამით მწვანე წყალბადის წარმო-

ების პოტენციალი გააჩნია. გამოყოფილი თანხები მომდევნო წლების განმავლობაში უნდა მოხმარდეს ელექტროლიზის ქარხნის, წყალბადის რეზერვუარისა და ამისათვის საჭირო ქარის ელექტროსადგურის მშენებლობას. დაგეგმილია სპეციალისტების მომზადება ქართული კომპანიებისათვის.

საქართველო, როგორც „საერთაშორისო ენერგეტიკული გაერთიანების“ წევრი ქვეყანა, უახლეს საერთაშორისო ტენდენციებს ითვალისწინებს. ბევრმა ქვეყანამ უკვე აიღო ვალდებულება, რომ 2050 წლისათვის ბუნებრივ გაზს, დიდწილად, ალტერნატიული ენერჯიებით ჩაანაცვლებს. განვითარებული ქვეყნები მზად არიან ეტაპობრივად გადავიდნენ წყალბადზე და ამით ხელი შეუშალონ კლიმატის ცვლილებებს. მას გამოყენების მრავალი პერსპექტივა გააჩნია: ელექტროენერჯიის გენერაცია და რეზერვაცია, ალტერნატიული და სუფთა ენერჯია სატრანსპორტო საშუალებებისთვის, იგეგმება ქარხნებისა და მთლიანად წარმოების წყალბადის ენერჯიაზე გადაყვანა, მისი გამოყენება შენობების გასათბობად და ა.შ. ევროპა, ამ მიმართულებით, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. ეს, მათთვის, მომავლის ინვესტიციაა. საქართველოს კი შეუძლია ის არამხოლოდ შიდა მოხმარებისთვის აწარმოოს, არამედ საექსპორტოდაც. მოთხოვნა მუდმივად მზარდია, რადგან ბევრი ქვეყანა ცდილობს ბუნებრივი აირის წყალბადით ჩაანაცვლებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, ქვეყანაში ჩამოყალიბდა „წყალბადის ენერჯიის განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ენერგეტიკის განვითარების ფონდი და მასში ჩართულია, როგორც შესაბამისი უწყებები, ასევე კერძო სექტორი და აკადემიური წრეები. წყალბადის ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობის კომიტეტის მიზანია ევროკავშირის მიერ სუფთა წყალბადის წარმოების განვითარების პარალელურად, საქართველოში აღნიშნული ენერგოპროდუქტის წარმოება-ექსპორტისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და საქართველოს, როგორც ქვეყნის, სუფთა წყალბადის მწარმოებლებს შორის მოწინავე ადგილის დამკვიდრება.

საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, ჩართულია „მწვანე წყალბადის“ განვითარების ევროპულ პროცესებში. ამავე დროს, საქართველო, საკუთარი განახლებადი ენერჯიის პოტენციალით და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების, სარგებლის მიღებას ითვალისწინებს როგორც საკუთარი რესურსების განვითარებით, ასევე, სხვა ქვეყნებიდან ტრანზიტის ხელშეწყობით.

## დასკვნა

წყალბადის ენერგეტიკაზე გადასვლა და დიდი ძალების მეტოქეობა უდავოდ დატოვებს კვალს სახელმწიფოთა ურთერთობებზე. განახლებადი ენერჯიები ცვლის კონფლიქტის სფეროებსა და ადგილებს, ხოლო გეოპოლიტიკა აყალიბებს ტექნიკურ არჩევანს და სავაჭრო ნიმუშებს. ისინი ერთად ქმნიან მომავალ ენერგეტიკულ სისტემებსა და ურთიერთობებს. თუმცა, ქვეყნები როგორ ადგილს დაიკავებენ ენერგეტიკულ ტრანზიციიაში, გადამწყვეტი იქნება შედეგის განსაზღვრაში.

საქართველოს განსაკუთრებული პოტენციალი აქვს განახლებადი წყაროებიდან ენერგეტიკის განვითარების მიმართულებით. ეს პირდაპირ კავშირშია, როგორც ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასთან, ასევე, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან, საქართველო ამავე დროს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. მას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, აქვს იმის პოტენციალი, რომ გაზარდოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ განვითარებას.

### ლიტერატურა:

- ბერიძე ნ. (2023). მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის, Forbes Georgia
- ერქომაიშვილი გ. (2024). მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაში და მისი წარმოებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები საქართველოში. საქართველოს ეკონომისტთა VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“ სამეცნიერო შრომების კრებული, ქუთაისი, 13 სექტემბერი. <https://atsu.edu.ge/ge/faculty/7-biznesis-samar-tlisa-da-sotsialur-metsnierebata-pakulteti/fpage/Y2MyYWYyZyYz> (ბოლო ნახვა 5 ნოემბერი, 2024).
- ერქომაიშვილი გ. (2024). მწვანე წყალბადის წარმოების პოტენციალი და მისი როლი ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოში. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, *თსუ გამომცემლობა*.
- ლეკაშვილი ე. (2024). წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის აქტუალური საკითხები მწვანე ენერგეტიკის კონტექსტით (აშშ-ს და ევროკავშირის მაგალითზე). IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, *თსუ გამომცემლობა*.
- მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., შათირიშვილი ნ., ინაშვილი მ., ურგებაშვილი ი. (2022). საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ. დოკუმენტი მომზადდა EU/UNDP-ის EU4Climate პროგრამის ფარგლებში CRIS-



ENI/2017/387-538. ანალიტიკური ცენტრის „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“, 122.

- ნარმანია დ. (2022). მწვანე წყალბადის პერსპექტივები. Forbes.ge
- საქართველო მწვანე წყალბადის წარმოებას იწყებს (2023). <https://www.gogc.ge/ka/press-article/saqartvelo-mwvane-wyalbadis-warmoebas-iwyeb/29> (ბოლო ნახვა 5 ნოემბერი, 2024).
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (economy.ge)
- საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, თბილისი, 2020.
- ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში მწვანე წყალბადის საწარმო აშენდება <https://energynews.ge/news/elternatiuli-energia/batumis-industriul-zonashi-mtsvane-tsyalbadis-satsarmo-ashendeba> (ბოლო ნახვა 5 ნოემბერი, 2024).
- Forbes.Georgia (2022). მწვანე წყალბადის პერსპექტივები
- M.K. Abbas et al. (2023). Techno-Economic Analysis for Clean Hydrogen Production Using Solar Energy Under Varied Climate Conditions Int J Hydrogen Energy
- Z. Abidin et al. (2020). Hydrogen as an Energy Vector Renew Sustain Energy Rev
- I.K. Muritala et al. (2020). High Temperature Production of Hydrogen: Assessment of Non-renewable Resources Technologies and Emerging Trends Int J Hydrogen Energy
- W. He et al. (2020). Integration of Renewable Hydrogen in Light-duty Vehicle: Nexus between Energy Security and Low Carbon Emission Resources Int J Hydrogen Energy
- P.M. Falcone et al. (2021). Hydrogen Economy and Sustainable Development Goals: Review and Policy Insights
- Brandon N. P., & Kurban Z. (2017). Clean Energy and the Hydrogen Economy. *Philosophical Transactions: Mathematical, Physical and Engineering Sciences*, 375(2098), 1–17. <http://www.jstor.org/stable/44678490>
- Wolters F. J. A. de K. (2021). The Heralds of Hydrogen: The Economic Sectors that Are Driving the Hydrogen Economy in Europe. Oxford Institute for Energy Studies. <http://www.jstor.org/stable/resrep33936>
- Webster J. (2023). Industrial Decarbonization Technologies: Hydrogen and Nuclear Energy. In Technological and Policy Pathways to Accelerate US Industrial Decarbonization (pp. 13–16). Atlantic Council. <http://www.jstor.org/stable/resrep52077.6>
- Palovic M., & Poudineh R. (2022). Hydrogen as a Game-Changer for Energy Infrastructure. In PolyGrid 2050: Integrating hydrogen into the European Energy Transfer Infrastructure landscape (pp. 2–3). Oxford Institute for Energy Studies. <http://www.jstor.org/stable/resrep43916.7>
- Philips J. & Fisher L. (2021). A hydrogen Strategy for an Inclusive and Resilient Economic Recovery. In Between Hope and Hype: A Hydrogen Vision for the UK (pp. 12–19). E3G. <http://www.jstor.org/stable/resrep30254.6>
- Eurostat.com

## References:

- Beridze N. (2023). Mwvane wyalbadis roli energetikuli resursebis optimaluri gamoyenebisatvis, [The Role of Green Hydrogen for the Optimal Use of Energy Resources. Forbes Georgia.] in Georgian

- Erkoishvili G. (2024). Mvane wyalbadis roli energetikuli usaftrxoebis gazlierebashi da misi warmoebisatvis infrastruqturis sheqmnis tendenciebi saqartveloshi. [The Role of Green Hydrogen in Strengthening Energy Security and Trends in Building Infrastructure for its Production in Georgia. Collection of scientific papers of the 6th National Scientific Conference of Georgian Economists "Transformation of the World Order and Economic Security: Key Challenges and Opportunities for Georgia", Kutaisi, September 13.] in Georgian. <https://atsu.edu.ge/ge/faculty/7-biznesis-samartlisa-da-sotsialur-metsnierebata-pakulteti/fpage/Y2MyYWYyZyY> (last seen 5 November,2024).
- Erkoishvili G., (2024). Mvane wyalbadis warmoebis potenciali da misi roli energetikuli resursebis racionaluri gamoyenebisatvis saqartveloshi. [The Potential of Green Hydrogen Production and its Role for the Rational Use of Energy Resources in Georgia. Collection of scientific papers of the 9th International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business", TSU Publishing House.] in Georgian
- Lekashvili E. (2024) Wyalbadis energetikuli politikis aqtualuri sakitxebi mvane energetikis kontekst. [Current Issues of Hydrogen Energy Policy in the Context of Green Energy (Using the Example of the USA and the European Union). Collection of scientific papers of the 9th International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business", TSU Publishing House.] in Georgian
- Mukhigulashvili G., Kvatatchkhelia T., Shatirishvili N., Inashvili M., Urgebashvili I. (2022). Saqartvelos mzaobis shefaseba evropis mvane shetanxmehis mimart. [Assessment of Georgia's Readiness for the European Green Agreement. Document EU/UNDP EU4Climate Program - CRIS-ENI/2017/387-538. *Analytical Center "World Experience for Georgia"*, p.122.] in Georgian
- Narmania D. (2022). Mvane wyalbadis perspektivebi. [Prospects for Green Hydrogen. *Forbes.Georgia.*] in Georgian
- Saqartvelo mvane wyalbadis warmoebas iwyebs. (2023). [Georgia Begins Producing Green Hydrogen. 22 May, 2023.] in Georgian [https://www.gogc.ge/ka/press article/saqartvelo-mvane-wyalbadis-warmoebas-iwyebs/29](https://www.gogc.ge/ka/press%20article/saqartvelo-mvane-wyalbadis-warmoebas-iwyebs/29)(last seen 5 November,2024).
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (economy.ge) in Georgian
- Saqartvelos klimatis cvlilebis 2030 wlis strategia da 2021-2023 wlebis samoqmedo gegma (2020). [Georgia's Climate Strategy 2030 and Action Plan 2021-2023. Tbilisi, 2020.] in Georgian
- Batumis industriul zonashi mtsvane tsyalbadis satsarmo ashendeba. [A Green Hydrogen Plant is Being Built in the Industrial Zone of Batumi]. In Georgian. <https://energynews.ge/-news/elternatiuli-energia/batumis-industriul-zonashi-mtsvane-tyalbadis-satsarmo-ashendeba> (last seen 5 November,2024).
- M.K. Abbas et al. (2023). Techno-Economic Analysis for Clean Hydrogen Production Using Solar Energy Under Varied Climate Conditions *Int J Hydrogen Energy*
- Z. Abdin et al. (2020). Hydrogen as an Energy Vector *Renew Sustain Energy Rev*
- I.K. Muritala et al. (2020). High Temperature Production of Hydrogen: Assessment of Non-Renewable Resources Technologies and Emerging Trends *Int J Hydrogen Energy*
- W. He et al. (2020). Integration of Renewable Hydrogen in Light-duty Vehicle: Nexus between Energy Security and Low Carbon Emission Resources *Int J Hydrogen Energy*
- P.M. Falcone et al. (2021). Hydrogen Economy and Sustainable Development Goals: Review and Policy Insights
- Brandon N. P., & Kurban Z. (2017). Clean Energy and the Hydrogen Economy. *Philosophical Transactions: Mathematical, Physical and Engineering Sciences*, 375(2098), 1–17. <http://www.jstor.org/stable/44678490>

- Wolters F. J. A. de K. (2021). The Heralds of Hydrogen: The Economic Sectors that Are Driving the Hydrogen Economy in Europe. Oxford Institute for Energy Studies. <http://www.jstor.org/stable/resrep33936> (last seen 5 November,2024).
- Webster J. (2023). Industrial Decarbonization Technologies: Hydrogen and Nuclear Energy. In Technological and Policy Pathways to Accelerate US Industrial Decarbonization (pp. 13–16). Atlantic Council. <http://www.jstor.org/stable/resrep52077.6> (last seen 5 November,2024).
- Palovic M., & Poudineh R. (2022). Hydrogen as a Game-Changer for Energy Infrastructure. In PolyGrid 2050: Integrating hydrogen into the European Energy Transfer Infrastructure landscape (pp. 2–3). Oxford Institute for Energy Studies. <http://www.jstor.org/stable/resrep43916.7> (last seen 5 November,2024).
- Philips J. & Fisher L. (2021). A hydrogen Strategy for an Inclusive and Resilient Economic Recovery. In Between Hope and Hype: A Hydrogen Vision for the UK (pp. 12–19). E3G. <http://www.jstor.org/stable/resrep30254.6>
- Eurostat.com

## Consideration of Foreign Experience of hydrogen energy policy in the Georgian Economy

**Gulnaz Erkomaishvili**

Associate Professor  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
[gulnazi.erkomaishvili@tsu.ge](mailto:gulnazi.erkomaishvili@tsu.ge)

**Eka Lekashvili**

Associate Professor  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
[eka.lekashvili@tsu.ge](mailto:eka.lekashvili@tsu.ge)

**Lali Khurtsia**

Assistant Professor  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
[lali.khurtsia@tsu.ge](mailto:lali.khurtsia@tsu.ge)

[doi.org/10.52340/eab.2024.16.04.01](https://doi.org/10.52340/eab.2024.16.04.01)

*The paper presents the role of green hydrogen in the rational use of energy resources, as well as trends in the creation of infrastructure for its production. It is noted that the priority promotion of green hydrogen is the main priority of energy policy. It is an innovative project for the future and a competitive alternative to traditional fossil fuels.*

*The purpose of the research is to study foreign experience in green hydrogen energy policy and take it into account in the economy of Georgia.*

*The paper concludes that green hydrogen will help our country strengthen energy security and replace imported fuels, as it has a large untapped potential of renewable energy. Within the Eastern Partnership, Europe sees Georgia as an ally towards green hydrogen production. It is important that the country becomes self-suffi-*

cient in the use of hydrogen and has additional resources for export, not just transit - this is also the goal of export under the Black Sea submarine cable project. Georgia has the resources to present green hydrogen on the world market.

The use of research results will help define differentiated tasks and activities for the development of a green hydrogen energy development policy in Georgia.

The transition to hydrogen energy and the rivalry between the great powers will undoubtedly leave their mark on relations between states. Renewable energies are changing the fields and locations of conflict, and geopolitics are shaping technology decisions and trade patterns. Together they are creating future energy systems and relationships. However, the outcome will depend on how countries position themselves in the energy transition.

Georgia has a special potential in the direction of energy development from renewable sources. This is directly related to the energy independence of our country and, of course, to economic and energy security. Georgia is also an important transit country. As a corridor connecting Europe and Asia, it has the potential to strengthen its role in East-West and North-South transit projects. Effective use of the geopolitical situation will contribute to improving the country's energy security and economic development.

**Keywords:** Green hydrogen, hydrogen energy, energy security, economic policy of hydrogen energy

**JEL Codes:** P28, P48, Q42, Q48

# Innovative Business State Regulation Policy and Its Supporting Institutions in Georgia

**Lali Khikhadze**

Associate Professor  
Iv.Javakishvili Tbilisi State University  
lali.khikhadze@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2024.16.04.02

*Innovative business is a multi-stage and long-term process that starts with an idea, the next stages are research and development (engineering and construction work, testing, creation of prototypes, development of intellectual property strategy, first review of markets, selection of technology commercialization strategy) - commercialization - test release - full-scale Production - distribution - marketing. Each stage of this long and risky process is characterized by the peculiarities of the regulation of relations between the participants and the existence of risks for this stage.*

*For Georgia, the development of innovative business is an opportunity to turn from an importing country into an exporting country of science-intensive products. The introduction of innovations in manufacturing business will not only increase the quality of manufactured products and reduce costs, but also create fundamentally new types of competitive products and services, new markets will emerge, the competitiveness of business entities will increase, and the standard of living of the population will rise, thereby Georgia will take a worthy place among the countries of the European Community.*

**Keywords:** *Innovative business, state innovative policy, regulatory instruments, supporting institutions, regulatory legal framework and normative acts.*

**JEL Codes:** M21, O31, Q55

## Introduction

Innovative process in business is the process of transforming scientific knowledge into innovations. It is generally understood as an activity that ensures the constant search for new opportunities, the search for various resource sources to solve the tasks, attraction and involvement in the re-production process, the production of scientific, competitive products through new approaches and technologies.

Innovative policy of the state is a constituent part of the socio-economic policy, which determines the goals, directions and methods of activities of state authorities in the field of innovation. The main task of innovative policy at the modern stage is

to create such a system that will be able to use national intellectual policy and the achievements of modern techniques and technologies to produce competitive products.

Intellectual resource is one of the priority tools of business. Thus, the process of using modern scientific and technical knowledge in business is expressed by the concept of innovation.

The development of innovative business is largely determined by the market mechanism due to intense domestic and international competition, but regulation of this process by the state is objectively necessary, since it can ensure:

- Avoiding market crises;
- Planned driving of innovative processes (compliance of the country's economic development strategy with the goals of innovative development and vice versa);
- Effective mobilization of resources;
- Effective organization of the country's science and education system;
- Effective use of international innovative experience;
- Financial, institutional and organizational support, etc.

### **The Essence of State Regulation of Innovative Business and the Necessity of Its Use in Market Economy Conditions**

**General Analysis.** Innovation is primarily a response to the challenges of the international business environment. Constant changes in legislation, conditions and rules of doing business, increasing competition, emergence of new knowledge in the field of business organization and management, thorough training of workers and managers, their continuous replacement by motivated, task-oriented and talented new generations, emergence of new markets, engineering, business communication and information Development of technology means, scientific-technical progress, etc. It requires enterprises to have highly adaptive capabilities. The constant adaptation of the enterprise to the changing conditions of the international business environment is carried out through managerial innovation, which determines the superiority of the innovative component in the business management system.

Only with the fruitful interaction of science, entrepreneurship, society, state and municipal bodies, it will be possible to ensure the rapid pace of economic development of the country and the formation of many innovative businesses.

Formation and development of innovative entrepreneurship is impossible without joint efforts of business, science and the state. The processes promoting the formation of innovative business should be implemented through the state regulation mechanism, the structure and content of which depends on the level of innovative

development of the country, the strategy and tactics of the country's economic development.

The 21st century is an era based on the knowledge economy. In the modern world, a new system of values is being created, which fundamentally changes the main factor of the development of the economy and business sector and establishes a new type of economic policy. . In this process, the knowledge sector plays a crucial role. Knowledge production is the source of economic growth. This means that along with new forms of business organization, the dominant economic growth becomes a system of scientific knowledge - a system of new processes, products and services.

According to world experience and international standards, innovative business is the result of intellectual activity, which is reflected in new, improved products and services, or in new and improved technologies used in practical activities. Therefore, the necessary features of innovation are scientific-technical novelty, industrial applicability and commercialization. Innovations turn into a strategic factor of growth, affect the structure of public production, change the face of the economic organization of society, stabilize the social situation in the country.

The future of Georgia's development belongs to innovative business. It is the national innovative system that is the basis of development in any field, a possible mechanism for meeting any demand of the society. Innovation is the basis of the adoption of innovations in the economy and business sector, which leads to the growth of the economy. Business processes should be driven by innovation. Development through innovation means development and implementation of innovation policy at all (country, regional) levels of management. This approach should be widely shared and should not cause controversy in Georgia.

**6. მონაცემთა ანალიზისა და სწავლის პროგრესის შეფასების გაიოლება.** თანამედროვე ციფრული პლატფორმები იყენებენ ანალიტიკურ მექანიზმებს, რომლებიც აგროვებენ მონაცემებს მოსწავლეთა მიერ დავალებების შესრულების შესახებ და იძლევიან შესაძლებლობას მათი ცოდნისა და უნარების უფრო ეფექტიანი შეფასებისთვის. ეს ხელს უწყობს ინდივიდუალური მიდგომის უფრო დახვეწას და პედაგოგებს აძლევს ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პრობლემების დროული აღმოჩენა, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წარმატებაზე. მონაცემთა ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება სწავლის პროცესის ოპტიმიზაცია და სწავლების მეთოდების მორგება ყოველი მოსწავლის უნიკალური საჭიროებებისადმი (<http://surl.li/kldzlk>).

**7. განათლების ხარჯების ეკონომიურობა.** განათლების სფეროში გაციფრულების შედეგად მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უკვე აღარ მოუწევთ ფულის დახარჯვა და დროის დაკარგვა ტრანსპორტით სარგებლობისთვის, საკანცელარიო ნივთების შესაძენად და სხვ.

**8. პედაგოგის დატვირთვის შემცირება.** განათლების სფეროს გაციფრულების პირობებში სტუდენტების შეფასება გაცილებით მარტივია. არსებობს სპეციალური პლატფორმები, რაზეც შესაძლებელია დავალებების შესრულების შემოწმება ავტომატური რეჟიმით, მაგალითად, ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO 7.0. აღნიშნული პროგრამით პედაგოგს არ სჭირდება შედეგების ხელით გამოთვლა. როგორც კი სტუდენტი დაასრულებს სამუშაოს, მისი შეფასება ავტომატურად ფიქსირდება და ინახება სერვერზე. სერვერიდან კი შედეგების გადმოტანა საკუთარ კომპიუტერზე შეუძლიათ პედაგოგებსაც და სხვ. უფლებამოსილ პირებსაც, ასევე პროგრამა, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის საშუალებასაც იძლევა. (სიჭინავა დ., სიჭინავა ზ., გეგია შ. 2019. TEGAPRO 7.0).

## განათლების სფეროს გაციფრულების ნაკლოვანებები

განათლების სფეროს გაციფრულებას მრავალი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის სწავლებისა და ცოდნის გავრცელების პროცესში. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პროცესს თან ახლავს რიგი სერიოზული გამოწვევებიც.

**1. არათანაბარი წვდომა ტექნოლოგიებზე.** განათლების სფეროს გაციფრულების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა არათანაბარი წვდომა ტექნოლოგიებზე. საქართველოს მსგავს ქვეყნებში, განსაკუთრებით რეგიონებში, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული.

რებული. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლეებს არა აქვთ წვდომა კომპიუტერებზე, პლანშეტებზე ან სხვა ციფრულ მოწყობილობებზე, ხოლო ინტერნეტკავშირი არ არის საკმარისად სტაბილური, რაც, ცხადია, გარკვეულ უთანასწორობას წარმოშობს (<http://surl.li/biccx>).

**2. ციფრული წიგნიერების დეფიციტი.** განათლების სფეროს გაციფრულების ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ციფრული წიგნიერების დეფიციტი. პედაგოგები ხშირად არ არიან მზად ახალი ტექნოლოგიების სრულად გამოყენებისათვის, რადგან მათ არა აქვთ ამ ტექნოლოგიებთან მუშაობის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება. მოსწავლეებისათვის კი ციფრული წიგნიერება აუცილებელია, რათა წარმატებით გამოიყენონ ციფრული რესურსები და განავითარონ საკუთარი ცოდნა. თუმცა, რიგ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ციფრული წიგნიერების პროგრამები ჯერ კიდევ არაა საკმარისად განვითარებული და ფართოდ გავრცელებული (<http://surl.li/ykhaaw>).

**3. სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები და უთანასწორობა საზოგადოებაში.** გაციფრულებამ გარკვეულწილად გააღრმავა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა საზოგადოებაში. ტექნოლოგიებზე წვდომა და მასთან მუშაობის უნარი ხშირად პირდაპირ კავშირშია ოჯახის ფინანსურ მდგომარეობასთან. საშუალო და მაღალშემოსავლიანი ოჯახების ბავშვები უფრო ხშირად სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებით და აქვთ სახლში ინტერნეტთან წვდომა, რასაც უმეტესწილად მოკლებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები. ეს უთანასწორობა ხელს უშლის განათლების პროცესის გლობალურ და სამართლიან განვითარებას. გარდა ამისა, ტექნოლოგიებზე წვდომა განსხვავებულია აგრეთვე რეგიონების მიხედვითაც (<http://surl.li/mpyllz>).

**4. მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის სიძნელე.** გაციფრულების პროცესი მოითხოვს მონაცემთა დიდი მოცულობის შეგროვების აუცილებლობას, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის შეფასებისა და პირადი ინფორმაციის შენახვასთან. ამიტომ, განათლების სფეროს გაციფრულების ერთ-ერთი სერიოზული ნაკლოვანებაა მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პრობლემა. ციფრული პლატფორმები შეიცავს მოსწავლეთა და პედაგოგთა პირად ინფორმაციას, რაც ზრდის მონაცემთა გაჟონვის ან ჰაკერული თავდასხმების რისკს. ონლაინ პლატფორმების სუსტი დაცვის სისტემა კიბერთავდასხმების გამუდმებული სამიზნე ხდება, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის როგორც მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა მონაცემთა კონფიდენციალურობას (<http://surl.li/onlmea>).

**5. სოციალური ინტერაქციის დეფიციტი.** ტრადიციული სასწავლო პროცესი, რომელიც სკოლებსა და უნივერსიტეტებში სააუდიტორიო კომუნიკაციას ეყრდნობა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის მსურველთა სოციალიზაციის პროცესში.

განათლების სფეროს გაციფრულების ერთ-ერთი ნაკლოვანებაა სოციალური ინტერაქციის დეფიციტი. ციფრული სწავლების პირობებში ინტერაქცია

მნიშვნელოვნად მცირდება, რადგან მოსწავლეები იძულებულნი არიან სასწავლო და სოციალური ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარონ ვირტუალურ სივრცეში. ონლაინ სწავლა არ იძლევა ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა უშუალო ურთიერთობა, ჯგუფური დავალებების შესრულება, სოციალური უნარების განვითარება და ფიზიკური ინტერაქციის სრულად ჩანაცვლება და სხვ. (<http://surl.li/couwjy>).

**6. პედაგოგთა სამუშაო დატვირთვისა და სტრესის ზრდა.** პედაგოგთა სამუშაო დატვირთვის შემცირების საპირისპიროდ, გაციფრულებამ, პირიქით, მათი მნიშვნელოვანი გაზრდა გამოიწვია. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება მოითხოვს პედაგოგებისაგან დამატებით დროსა და ძალისხმევას ახალი პლატფორმებისა და ინსტრუმენტების შესწავლისა და გამოყენებისათვის, რაც იწვევს მათ სტრესულ მდგომარეობას, რადგანაც ისინი იძულებულნი არიან მაქსიმალურად სწრაფად მოახდინონ ადაპტირება ახალ რეალობასთან (<https://www.mdpi.com/1660-4601/18/2/548>).

**7. სწავლების ჰიბრიდული ფორმის სირთულე.** განათლების სფეროს გაციფრულებისას მისაღებია სწავლების ჰიბრიდული ფორმის გამოყენება, როდესაც მოსწავლეთა ნაწილი მოითხოვს მეცადინეობის ჩატარებას ონლაინ რეჟიმით, ნაწილი კი - აუდიტორიაში. ასეთ სიტუაციაში პედაგოგი ვალდებულია დააკმაყოფილოს ორივე მხარის მოთხოვნა, რაც ზრდის პედაგოგის დატვირთვისას (<http://surl.li/eyiksh>).

**8. ხარისხიანი განათლების მღების რისკი.** მიუხედავად იმისა, რომ ციფრული განათლება სთავაზობს სწავლის მსურველებს მოქნილობასა და რესურსებზე სწრაფ წვდომას, ამ პროცესს მაინც თან ახლავს გარკვეული რისკი, რაც გავლენას ახდენს განათლების ხარისხზე. დისტანციური სწავლებისას ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლეები ნაკლებად არიან მოტივირებული სწავლისთვის და, შესაბამისად, სუსტდება მათ მიმართ პედაგოგების კონტროლიც. მაგალითად, ონლაინ პლატფორმებზე მოსწავლეებს აქვთ ტესტების ან დავალებების შესრულებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების მეტი შესაძლებლობა, რაც ხელს უშლის მათი შეფასების ობიექტურობას. გარდა ამისა, ონლაინ სწავლება ხშირად უფრო თეორიულ ხასიათს ატარებს და გარკვეულწილად მოკლებულია ფიზიკურ პრაქტიკულობას. სპეციალობები, რომელთა ათვისება საჭიროებს ლაბორატორიულ მუშაობას ან სხვა ფიზიკურ ინტერაქციას, არასრულფასოვნად ხორციელდება ონლაინ სივრცეში, რაც, შესაბამისად, კიდევ უფრო ამცირებს განათლების ზოგად ხარისხს (<http://surl.li/gfodkb>).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად დღემდე მიღწეული კოლოსალური შედეგებისა, განათლების სფეროს გაციფრულების პროცესში, პერსპექტივაში, ჯერ კიდევ არსებობს არაერთი პრობლემა, რაც მის შემდგომ საფუძვლიან შესწავლასა და გადაჭრას მოითხოვს.



## დასკვნები და რეკომენდაციები

- განათლების სფეროს გაციფრულებამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა საერთოდ სასწავლო პროცესში როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ დონეზე. მან საგრძნობლად გააძლიერა სწავლების მოქნილობა და ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობა მსოფლიო მასშტაბით. თუმცა, ასევე წარმოაჩინა რიგი ახალი სოციალური და ტექნოლოგიური პრობლემა. მიუხედავად ამისა, განათლების სფეროს გაციფრულება თანამედროვე ეტაპზე აუცილებელი და გარდაუვალი პროცესია.

- გაციფრულების პროცესი საერთოდ - ეს არის ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფეროს პროცესებისა და პროცედურების შესასრულებლად საჭირო მონაცემების ციფრული ფორმატით წარმოდგენა და დამუშავება, ხელოვნური ინტელექტის, დიდი მონაცემების, ღრუბლოვანი გამოთვლებისა და ავტომატიზაციის გამოყენებით და სხვ.

- გაციფრულების პროცესი განათლების სფეროში სრულიად განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება. ის მოითხოვს როგორც ვირტუალურ საკლასო ოთახებს, ასევე LMS (Learning Management System) პლატფორმებს და სხვ., რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის მართვისა და მუდმივი კონტროლისათვის.

- გაციფრულების პროცესი განათლების სფეროში გაივლის სამ ეტაპს. პირველი - 1980-2000 წ.წ., მეორე - 2000-2010 წ.წ., მესამე - პერიოდს 2010 წლიდან დღემდე. ამ ეტაპზე მთლიანად იცვლება სწავლის პროცესი, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

- განათლების სფეროში გარკვეული რეფორმების განხორციელების მიუხედავად, გაციფრულების დონე საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩება გაციფრულების დონეს ევროკავშირის ქვეყნებში, რასაც განაპირობებს სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორები.

- მსოფლიო მასშტაბით განათლების სფეროს განვითარების დონის შეფასებისა და შედარებისთვის გამოიყენება ხარისხის, განათლებისა და გლობალური შესაძლებლობის ინდექსები. ამ ინდექსების მიხედვით განათლების სფეროს გაციფრულების პროცესში დაწინაურებული არიან მსოფლიოს წამყვანი, განვითარებული ქვეყნები.

- განათლების სფეროს გაციფრულებას ახასიათებს მრავალი დადებითი და უარყოფითი მხარე. მისი დადებითი მხარეებია: განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინდივიდუალური სწავლების შესაძლებლობების გაფართოება, ინტერაქტიულობისა და ჩართულობის ზრდა, სასწავლო მასალების მუდმივი განახლებისა და გავრცელების დაჩქარება, ცოდნის გაზიარებისა და გლობალური კომუნიკაციების მასშტაბების გაფართოება, მონაცემთა ანალიზისა და სწავლის პროგრესის შეფასების გაიოლება, განათლების ხარჯების

ეკონომიურობა, პედაგოგის დატვირთვის შემცირება. მის უარყოფით მხარეთა შორის აღსანიშნავია არათანაბარი წვდომა ტექნოლოგიებზე, ციფრული წიგნიერების დეფიციტი, სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები და უთანასწორობის გაღრმავება საზოგადოებაში, მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის სიძნელე, სოციალური ინტერაქციის დეფიციტი, პედაგოგთა სამუშაო დატვირთვისა და სტრესის ზრდა, სწავლების ჰიბრიდული ფორმის სირთულე, ხარისხიანი განათლების მიღების რისკი.

განათლების სფეროს გაციფრულების პროცესის არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევისა და მისი შემდგომი ეფექტიანი განვითარებისათვის აუცილებელია გატარდეს გარკვეული ღონისძიებები:

- საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან უნდა შეიქმნას განათლების სფეროს გაციფრულების შემსწავლელი კურსები.

- საქართველოში მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების პროგრამაში შეტანილი უნდა იქნეს განათლების გაციფრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

- ჰიბრიდული სწავლების დროს პედაგოგის დატვირთვის ზრდის პროპორციულად, სასწავლო დაწესებულება ვალდებული უნდა იყოს შესაბამისად გაზარდოს მასწავლებლის შრომის აუნაზღაურების სიდიდეც.

- განათლების სფეროს გაციფრულების პროცესის განვითარების პარალელურად, აუცილებელია მისი მოქცევა გარკვეულ საზღვრებში, რათა გაციფრულების ნაკლოვანებებმა არ გადაწონოს მისი დადებითი მხარეები.

- მოსწავლისა და პედაგოგის ჯანმრთელობის დარღვევისა და განათლების ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გაციფრულების ინსტრუმენტების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული დროითი ნორმების შემუშავება.

- აუცილებელია განისაზღვოს სწავლების ფორმები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მცადინეობა, ლაბორტორიული სამუშაოები და სხვ.) და სპეციალობები, რომელთათვისაც დასაშვებია განათლების პროცესის განხორციელება ნაწილობრივ ონლაინ რეჟიმით.

- სწავლის მსურველთა ჯანმრთელობის დაცვის, პირადი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის, მონაცემთა დაცვის სისტემების გაუმჯობესების, უსაფრთხოების მყარი მექანიზმების შექმნისა და სხვ. მიზნით, საჭიროა ქვეყნის ხელმძღვანელობამ და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები და განახორციელონ ინვესტიციები.

დაბოლოს, ზემოაღნიშნული რეკომენდაციები აუცილებელია დარეგულირდეს სახელმწიფოს საკანონმდებლო დონეზე.

## ლიტერატურა:

- სიჭინავა დ. სიჭინავა ზ. გეგია შ. ტესტური გამოცდების ჩასატარებელი პროგრამა TEGAPRO 7.0 (2019). საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, მონმობა № 7669. <https://drive.google.com/file/d/1P4Fv1cGpbl1n1C-pW3pqblDv--iimOev/view>
- ჩემი სკოლა. მობილური აპლიკაცია (2024). <https://chemiskola.emis.ge/bep/index.html>
- განათლების ცუდი სისტემის მქონე ქვეყნებს შორის საქართველო მე-5 ადგილზეა (2020). <https://businessformula.ge/News/3311>.
- ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების 17.2% უცხოელები არიან - 2023/2024 სასწავლო წლის სტატისტიკა (2024). <http://surl.li/mtjggt>.
- UNESCO. (2020). Education in a Post-COVID World: Nine Ideas for Public Action. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000373717>
- European Commission (2021). Digital Education Action Plan 2021-2027. <http://surl.li/usrjdv>.
- What Is Digitization vs Digitalization vs Digital Transformation? (2024). <https://www.channe-linsider.com/business-management/digitization-vs-digitalization/>.
- Что такое цифровизация образования и зачем она нужна (2023). <http://surl.li/mkffvp>
- Georgian Ministry of Education embraces the future, making digital learning a reality (2020). <http://surl.li/djjitz>
- Top 20 Best Education System Countries in the World: 2024 Guide. <http://surl.li/cqvfez>.
- Oxford University (2024). "Digital Education Strategy 2023-27: The Role of Digital Tools in Enhancing Learning Opportunities. <http://surl.li/lqywdq>.
- EdX vs Khan Academy (2023). <https://onlinecourserater.com/edx-vs-khan-academy/>.
- Personalized learning (2020). <https://www.valamis.com/hub/personalized-learning>.
- Interactivity and Engagement Tactics and Tools (2023). <http://surl.li/pbzvsp>.
- Effectiveness Of Digital Learning Solutions To Improve Educational Outcomes: A Review Of The Evidence (2021). <http://surl.li/iuoxcx>.
- Collaboration and communication in blended learning environments (2022). <http://surl.li/-xodrtc>.
- Enhancing Student Learning Outcomes with Data Analytics: A Guide for Educators (2024). <http://surl.li/kldzlk>.
- Digital divide in education (2018). <http://surl.li/bicccf>.
- Closing the digital divide: It's about more than access (2021). <http://surl.li/ykhaaw>.
- The persistent educational digital divide and its impact on societal inequality (2024). <http://surl.li/mpyllz>.
- Ensuring confidentiality and privacy of cloud data using a non-deterministic cryptographic scheme (2023). <http://surl.li/onlmea>.
- What Matters in Online Education: Exploring the Impacts of Instructional Interactions on Learning Outcomes (2022). <http://surl.li/couwjy>.
- Impact of Educational Technology on Teacher Stress and Anxiety: A Literature Review (2021). <https://www.mdpi.com/1660-4601/18/2/548>.
- Exploring Student and Teacher Experiences in Hybrid Learning Environments: Does Presence Matter? (2022). <http://surl.li/eyiksh>.
- Impact of online learning on student's performance and engagement: a systematic review (2024). <http://surl.li/gfodkb>.

## References:

- Sichinava D. Sichinava Z. Gegia Sh. (2019).–Testuri gamocdebis chasatarebeli programa TEGAPRO 7.0 [TEGAPRO 7.0 Test Exam Software National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti", certificate No. 7669] <https://drive.google.com/file/d/1P4Fv1cGpbl-1n1C-pW3pqbldv--iimOev/view>
- Chemi skola. mobiluri aplikacia (2024). [My School. Mobile Application (2024)]. <https://chemiskola.emis.ge/bep/index.html>.
- Ganatlebis cudi sistemis mkone kvesqnebs shoris sakartvelo me-5 adgilzea [Georgia ranks 5<sup>th</sup> among countries with poor education systems (2020)]. <https://businessformula.ge/-News/3311>.
- kartul umagles sastsavleblebshi studentebis 17.2% ucxoelebi arian – 2023/2024 sastsavlo tslis statistika (2024) [17.2% of students in Georgian higher education institutions are foreigners - statistics for the 2023/2024 academic year (2024)]. <http://surl.li/mtjggt>
- Что такое цифровизация образования и зачем она нужна (2023). <http://surl.li/mkffvp>.
- UNESCO. (2020). Education in a Post-COVID World: Nine Ideas for Public Action. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000373717>.
- European Commission (2021). Digital Education Action Plan 2021-2027. <http://surl.li/usrjdv>.
- What Is Digitization vs Digitalization vs Digital Transformation? (2024). <https://www.channelinsider.com/business-management/digitization-vs-digitalization/>.
- Georgian Ministry of Education embraces the future, making digital learning a reality (2020). <http://surl.li/djjitz>.
- Top 20 Best Education System Countries in the World: 2024 Guide. <http://surl.li/cqvefz>.
- Oxford University. "Digital Education Strategy 2023–27: The Role of Digital Tools in Enhancing Learning Opportunities (2024). <http://surl.li/lqywqd>.
- EdX vs Khan Academy (2023). <https://onlinecourserater.com/edx-vs-khan-academy/>.
- Personalized learning (2020). <https://www.valamis.com/hub/personalized-learning>.
- Interactivity and Engagement Tactics and Tools (2023). <http://surl.li/pbvzsp>.
- Effectiveness Of Digital Learning Solutions To Improve Educational Outcomes: A Review Of The Evidence (2021). <http://surl.li/iuoxcx>.
- Collaboration and communication in blended learning environments (2022). <http://surl.li/xodrtc>.
- Enhancing Student Learning Outcomes with Data Analytics: A Guide for Educators (2024). <http://surl.li/kldzlk>.
- Digital divide in education (2018). <http://surl.li/biccxv>.
- Closing the digital divide: It's about more than access (2021). <http://surl.li/ykhaaw>.
- The persistent educational digital divide and its impact on societal inequality (2024). <http://surl.li/mpyllz>.
- Ensuring confidentiality and privacy of cloud data using a non-deterministic cryptographic scheme (2023). <http://surl.li/onlmea>.
- What Matters in Online Education: Exploring the Impacts of Instructional Interactions on Learning Outcomes (2022). <http://surl.li/couwjj>.
- Impact of Educational Technology on Teacher Stress and Anxiety: A Literature Review (2021). <https://www.mdpi.com/1660-4601/18/2/548>.
- Exploring Student and Teacher Experiences in Hybrid Learning Environments: Does Presence Matter? (2022). <http://surl.li/eyiksh>.

- Impact of online learning on student's performance and engagement: a systematic review (2024). <http://surl.li/gfodkb>.

## Contemporary Problems and Development Prospects of Digitalization in the Field of Education in Georgia

**Demur sichinava**

Professor  
Iv.Javakhishvili Tbilisi State University  
[demur.sichinava@tsu.ge](mailto:demur.sichinava@tsu.ge)

**Murtaz Magradze**

Professor  
Iv.Javakhishvili Tbilisi State University  
[murtaz.maghradze@tsu.ge](mailto:murtaz.maghradze@tsu.ge)

[doi.org/10.52340/eab.2024.16.04.04](https://doi.org/10.52340/eab.2024.16.04.04)

*The digitalization of education has brought about a significant change in the educational process in general, both at the global and local levels. It has significantly enhanced the flexibility of teaching and the accessibility of knowledge worldwide. However, it has also revealed a number of new social and technological problems. Nevertheless, the digitalization of education is a necessary and inevitable process at the modern stage.*

*The process of digitalization in general is the representation and processing of data necessary for the implementation of processes and procedures in any field of human activity in digital format, using artificial intelligence, big data, cloud computing, automation, etc.*

*The process of digitization in the field of education is characterized by completely different features. It requires both virtual classrooms and LMS (Learning Management System) platforms, etc., which are necessary for the management and constant control of the learning process.*

*The process of digitization in the field of education would go through three stages. The first covers 1980-2000, the second - 2000-2010, the third - the period from 2010 to the present. In the third stage, the learning process is completely changing both in Georgia and worldwide.*

*Despite the implementation of certain reforms in the field of education, the level of digitalization in Georgia significantly lags behind the level of digitalization in the European Union countries, which is determined by a number of social and technological factors.*

*Quality, education and global opportunity indices are used to assess and compare the level of development of the education sector worldwide.*

*The ranking of the top 20 countries in the world according to the three indices mentioned above, as of 2024, is as follows: Great Britain, USA, Australia, Netherlands, Sweden,*

France, Denmark, Canada, Germany, Japan, Israel, Finland, Taiwan, Singapore, Slovenia, South Korea, Norway, Belgium, United Arab Emirates, which is probably due to the digitization of education to some extent.

As of 2024, the ranking of the top ten universities in the world looks like this: Massachusetts Institute of Technology - 1, Imperial College London - 2, University of Oxford - 3, Harvard University - 4, University of Cambridge - 5, Stanford University - 6, ETH Zurich - 7, National University of Singapore - 8, University College London - 9, California Institute of Technology - 10.

The digitalization of education has many positive and negative aspects. Its positive aspects include: increasing access to education, expanding opportunities for individual learning, increasing interactivity and engagement, accelerating the constant updating and dissemination of educational materials, expanding the scope of knowledge sharing and global communications, facilitating data analysis and assessment of learning progress, cost-effectiveness of education, reducing the workload of teachers, etc. The negative aspects include: unequal access to technologies, lack of digital literacy, socio-economic differences and deepening inequality in society, difficulty in protecting data security and privacy, lack of social interaction, increasing workload and stress for teachers, complexity of hybrid forms of teaching, risk of receiving quality education, etc.

In order to overcome the existing shortcomings of the digitalization process in the education sector and its further effective development, it is necessary to take certain measures:

- The Ministry of Science and Education of Georgia should create courses on the digitalization of education;
- Issues related to the digitalization of education should be included in the program of teacher qualification improvement courses in Georgia;
- During hybrid education, the educational institution should be obliged to increase the amount of teacher compensation in proportion to the increase in the workload of the teacher;
- In parallel with the development of the digitalization process in the education sector, it is necessary to keep it within certain limits so that the shortcomings of digitalization do not outweigh its positive sides;
- In order to prevent damage to the health of students and teachers and deterioration in the quality of education, it is necessary to develop scientifically substantiated time norms for the use of digitalization tools;
- It is necessary to determine the forms of teaching (lecture, seminar, practical training, laboratory work, etc.) and specialties for which it is permissible to implement the educational process partially online;
- In order to protect the health of students and teachers, ensure the protection of personal information, improve data protection systems, create solid security mechanisms,

*etc., the country's leadership and educational institutions need to take appropriate measures and make investments;*

- Finally, the above recommendations must be regulated at the state legislative level.*

*Based on the above, despite the colossal results achieved to date, in the process of digitizing the education sector, there are still a number of problems that require their thorough study and solution in the future.*

**Keywords:** *Digitalization of education, level and gap of education in Georgia and the world, positive aspects and shortcomings of digitalization of education.*

**JEL Codes:** *I20, I21, I28*

## კლასტერი – ეფექტიანი ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი საუკეთესო გზა

**ინეზა გაგნიძე**

ასოციებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ineza.gagnidze@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2024.16.04.05

ნაშრომი ეძღვნება კლასტერებზე კვლევის მიმოხილვას მათი სიცოცხლისუნარიანობის სამი ტადლის პიზომით. პიხვედ ტადლად მიჩნეულია მ. პოიგეხის მიეი კლასტეხების თეოხიის შემოთავაზებუა XX საუკუნის 80-იანი წდების ბოლოს. ჩვენი აზხით, მეოხე ტადლა უკავშირდება კლასტეხში მოქმედი უნივერსიტეტების სამეწახმეო მოდელის ჩამოყადიბებას და სამეცნიერო კვლევების კომეხციადიბაციის პოცესის გააქტიუხებას. მეოთხე ინდუსტრიუდმა ხევილუციამ და ციფრული ტრანსფორმაციის აუცილებლობამ მხავადი კითხვა გააჩინა, მათ შოხის კლასტეხებთან დაკავშირებით. თუმცა, მსოფლიოში აღიახებული კვლევითი ოხგანიზაციების, მათ შოხის მსოფლიო ეკონომიკუხი ფოხუმის ანგაიშებში გამოჩნდა კლასტეხების განსაკუთხებული ხოდი ციფრული ტრანსფორმაციის პოცესშიც, ხაც კლასტეხების სიცოცხლისუნარიანობის მესამე ტადლად მიიჩნია ავტოხმა.

ნაშრომში კლასტეხები განხილულია, ხოგოხც ქსელი და სისტემა. ავტოხი ახასიათებს იმ სოციადუხ კაპიტადს, ხაც ფოხმიხდება კლასტეხებში მის წევხთა ჯგუფუხი ინტეხეხის საფუძვედზე. აღნიშნული საკითხების თეოხიუდ ანადიბთან ეხთად, ნაშრომში გამოყენებულია ავტოხის მიეი შემუშავებული გეაფიკუდი ანადიბიცი.

ციფრული ტრანსფორმაციის გახდა, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანია ქახბწახმოების, ახაგანახდებადი ხესუხების ახახაციონადუხად გამოყენების და სხვა პოხბდემები. შედეგად, ავტოხი განიხილავს კლასტეხების უპიხატესობას ხედი შეუწყოს წილუდ ეკონომიკაზე გადასვლას. ნაშრომის ბოლოს განხილულია კლასტეხში მოქმედი უნივერსიტეტების ხოდი თანამედროვე გამოწვევების გადასაქხედად.

**საკვანძო სიგყვები:** ციფრული ტრანსფორმაცია, კლასტეხი, უნივერსიტეტი, სისტემა, სოციადუხი კაპიტადი.

### შესავალი

მსოფლიო ეკონომიკა დგას დიდი გამოწვევების წინაშე, როგორცა ციფრული ტრანსფორმაცია, კლიმატის ცვლილება, ქარბწარმოება, ნარჩენების დიდი რაოდენობა, არაგანახლებადი ენერჯის წყაროების არარაციონალური



გამოყენება და სხვა. ამ პრობლემებს საერთო აქვს ის, რომ მათი გადაჭრა ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, მსოფლიოს მასშტაბით ეფექტს ვერ გამოიღებს და ყველა ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევა ესაჭიროება. აღნიშნულის გამო, მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში არსებული ინოვაციებისა და გამოცდილების გაზიარება მსოფლიოს მასშტაბით.

ციფრული ტრანსფორმაციის აუცილებლობამ და კოვიდპანდემიამ კიდევ ერთხელ გამოცადა კლასტერების მედეგობა გამონვევებთან და მათი შესაძლებლობები. პანდემიის საპასუხოდ კლასტერებმა უზრუნველყვეს სასიცოცხლო კავშირი პოლიტიკოსებსა და ბიზნესს შორის. ისინი გაუმკლავდნენ მიწოდების ჯაჭვების შეფერხებას და განავითარეს ახალი სანარმოო შესაძლებლობები. უფრო მეტიც, რეგიონული კლასტერები გაძლიერდა ევროკავშირის დონეზე ევროპული კლასტერული თანამშრომლობის პლატფორმით (European Cluster Collaboration Platform - ECCP) და ევროპული კლასტერების ალიანსით (European Cluster Alliance - ECA). კლასტერების ევროპული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კრიზისიდან საბოლოოდ გამოსვლას დასჭირდება თანამშრომლობა სამმაგი სპირალის მოდელში - ბიზნესის, კვლევის და მთავრობის ძლიერი კავშირით, კლასტერის შიგნით და მათ შორის.

ევროკავშირის 27 ქვეყანაში კლასტერული ორგანიზაციები ძირითადად ორიენტირებულია ციფრულ, აგროსასურსათო, ჯანდაცვის, განახლებადი ენერჯის და მობილობა/ტრანსპორტი/საავტომობილო ინდუსტრიის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს მომსახურების ფართო სპექტრს და ხელს უწყობს კვლევას, განვითარებას და ინოვაციას. 2019 წელს საქართველოში დასრულდა გაერთიანებული ერების ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) - კვლევა, რომლის მიხედვით საქართველოში 57 კლასტერი მოინიშნა (UNIDO, 2019).

კონცეპტუალური ნაშრომის წარმოდგენით, ავტორმა მიზნად დაისახა პასუხი გაეცა შემდეგი კვლევითი კითხვისთვის: არის თუ არა კლასტერი ეფექტიანი ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი საუკეთესო გზა?

ნაშრომის სტრუქტურა ასეთია: შესავალი ნაწილის შემდგომ განხილულია კლასტერების სიცოცხლისუნარიანობის სამი ტალღა, ასევე, ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც ახალი შესაძლებლობა კლასტერებისთვის. შემდეგ მსჯელობაა წრიული ეკონომიკისა და კლასტერების თავსებადობის საკითხსა და კლასტერის წევრი უნივერსიტეტების როლზე ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში. ნაშრომი სრულდება დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

## კლასტერების სიცოცხლისუნარიანობის სამი ტალღა

მ. პორტერმა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჩაატარა კვლევა მსოფლიოს იმ 10 ქვეყანაში (ადგილობრივ 3-3 ცნობილ ეკონომისტთან ერთად), რომელთა ექსპორტის მოცულობა იმ დროისთვის მსოფლიო ექსპორტის 50%-ზე მეტი იყო. ამ ოთხნობიანი კვლევის შედეგად მ. პორტერმა განავითარა კლასტერების თეორია, რომლის სათავეებთანაც, ევროკომისიის დოკუმენტის შესაბამის

სად, იყვნენ ა. მარშალი, ჯ. შუმპეტერი და ჯ. ბეკატინი (COM, 2008, 652 final, 7). მ. პორტერის განსაზღვრებით, „კლასტერი არის კონკრეტული სფეროს ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და მათთან ასოცირებული ინსტიტუტების ჯგუფი, რომელიც ერთ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს, ხასიათდება ერთიანობით და ურთიერთშეფასებით. ისინი ქმნიან ფორუმს, სადაც მიმდინარეობს ახლებური დიალოგი ფირმებს, სამთავრობო უწყებებსა და ინსტიტუტებს შორის (როგორცაა სკოლები, უნივერსიტეტები და სხვა მომსახურება)“ (Porter, 2008, 215).

ზემოთ მოცემული განსაზღვრება სრულ თანხვედრაშია კლასტერის იმ აღწერასთან, რომელიც მ. პორტერის ნაშრომშია წარმოდგენილი, კერძოდ, იტალიური ფებსაცმლის კლასტერი (Porter, 2000, 208); მეღვინეობის კლასტერი კალიფორნიაში (იქვე, 209); ხის გადამამუშავებელი კლასტერი შვედეთსა და პორტუგალიაში (იქვე, 241; 243; 250) და სხვა. ზემოთ მოცემული განსაზღვრების ჩარჩოში ასევე, ჯდება იტალიური ინდუსტრიების გეოგრაფიული კონცენტრაციის განხილვა მ. პორტერის სხვა ნაშრომში (Porter, 1998, 155), მრეწველობის დარგების ჯგუფის კვლევა გერმანიაში (იქვე, 156) და სხვა. აღსანიშნავია, რომ კლასტერებში წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალურ ნიშნულამდე ზრდის შესაძლებლობაზე სხვა აღიარებული მკვლევრებიც წერდნენ, კერძოდ: დურანტონი (Duranton, 2011); გორდონი და მაქქანი (Gordon and McCann, 2000); კრუგმანი (Krugman, 2009) და სხვები.

მ. პორტერმა თავის საეტაპო ნაშრომში (Porter, 1990) „ერების კონკურენციული უპირატესობები“ აღნიშნა, რომ კლასტერები გაივლიდნენ რამდენიმე სასიცოცხლო ციკლს და შემდგომ გაქრებოდნენ. ამგვარად, ამ პროგნოზის მიხედვით, კლასტერები XXI საუკუნის დასაწყისში აღარ იქნებოდნენ. თუმცა, ეს ასე არ მოხდა და კლასტერებმა ახალი, **მეორე სიცოცხლე** შეიძინეს. მათ კლასტერში მოქმედ უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციას, ინოვაციებსა და ბაზარზე დანერგვას შეუწყვეს ხელი. ასე მოხდა წარმატებულ კლასტერებში პროფილის გაფართოება და სამეწარმეო მოდელის უნივერსიტეტების (უნივერსიტეტი 4.0) ჩამოყალიბება. 40 ქვეყნის გამოცდილების შესწავლით, ასეთი უნივერსიტეტების ჩამოყალიბების 8 გამოწვევა გამოავლინეს ვ. ვესპერიმ და ი. გაგნიძემ (Vesperini and Gagnidze, 2023), კერძოდ:

1) უნივერსიტეტების ავტონომიის ხარისხი, ახალი კანონმდებლობის გამოწვევები, აკადემიური ცვლილებების აუცილებლობა და „უნივერსიტეტი-ინდუსტრია“ პარტნიორობის გაუმჯობესების კულტურა;

2) სამეწარმეო განათლების როლი უნივერსიტეტებში;

3) უნივერსიტეტის TTO და საპატენტო საქმიანობა;

4) ცოდნის სამკუთხედის (Knowledge Triangle) ფორმირების გამოწვევები;

5) სამმაგი სპირალის მოდელის (Triple Helix Model) ფორმირების გამოწვევები;

6) საუნივერსიტეტო სპინ-ოფების შექმნის პრობლემები;

7) მოსწავლეთა ინიციატივებისა და მოტივაციის როლი;

8) გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიან-კაპიტალთან, დაფინანსებასთან და ა.შ.

საუკუნეების მიჯნაზე ევროკავშირში ფუნქციონირება დაიწყო ევროკომისიის პროექტმა – „კლასტერების ევროპული ობსერვატორია“, სადაც ო. სოლველის ხელმძღვანელობით ჯერ ასობით და შემდეგ ათასობით კლასტერს იკვლევდნენ (Ketels et al., 2006; Solvell et al., 2003; Lindqvist et al., 2013). ევროკომისიის კომუნიკაციაში მითითებული იყო, რომ „ევროპის რეგიონებს შორის ეკონომიკური კეთილდღეობა დაკავშირებულია კლასტერების სიძლიერის ხარისხთან. რეგიონები, რომლებსაც აქვთ დასაქმების უფრო მაღალი წილი ინდუსტრიებში, მიეკუთვნებიან ძლიერ კლასტერებს და ზოგადად უფრო აყვავებულია“ (COM (2008) 652 final, 29). კლასტერების სხვა ანალიზიდან ცნობილია, რომ „ევროპაში დასაქმებულთა 38% მუშაობს კლასტერში შემავალ კომპანიებში. ზოგიერთ რეგიონში ეს წილი 50%-ზე მეტია“ (EC, 2007, 9).

პანდემიამდე „3000 ძლიერი კლასტერი მთელს ევროპაში შეადგენდა 54 მლნ-ზე მეტ სამუშაო ადგილს და ყველა სავაჭრო ინდუსტრიის 45%-ს (მთლიანი ეკონომიკის 23%); 103 წამყვანი კლასტერი შედიოდა ევროპული კლასტერების ტოპ 20%-ში შეფასების ოთხივე მაჩვენებლით (ზომა, სპეციალიზაცია, პროდუქტიულობა და დინამიზმი)“ (European Cluster Panorama, 2016, 1). ქ. ქეთელსი და ს. პროცივი აღნიშნავენ, რომ „კლასტერები არსებობს ეკონომიკური განვითარების ყველა ეტაპზე და ძლიერ კლასტერებში სპეციალიზაცია ეხმარება ადგილებს ბიზნესგარემოს ხარისხის ყველა დონეზე, ხელი შეუწყონ კეთილდღეობის მაღალ დონეს“ (Ketels and Protsiv, 2021, 217-218).

კლასტერების შესახებ განახლებული ანგარიშების მიხედვით, „2950 რეგიონული ინდუსტრიული კლასტერი ქმნის თითქმის ყოველ მეოთხე სამუშაო ადგილს ევროპაში (61,8 მლნ სამუშაო ადგილი, ანუ მთლიანი დასაქმების 23,4%) და დასაქმების დაახლოებით ნახევარი მოდის ექსპორტიორ ინდუსტრიებში (50,3%)“ (European Panorama, 2020, 5). „ევროკავშირის 27 ქვეყნის 201 რეგიონში 1501 სექტორული სპეციალიზაციის კვანძია, რეგიონული დასაქმების სულ მცირე 1%-იანი წილით, და ეს შეადგენს EU-27 დასაქმების 25%-ს. აქ არის 1000-ზე მეტი კლასტერული ორგანიზაცია, რომელთა 70% მცირე და საშუალო ბიზნესია, 10% - მსხვილი ფირმები და 8% - კვლევითი ორგანიზაცია... კლასტერის ორგანიზაციების 68%-ს აქვს ხარისხის ეტიკეტის გარკვეული ფორმა... EU-27 ქვეყანაში კლასტერული ორგანიზაციების 80%-ზე მეტი ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში კომპანიებს მხარს უჭერს“ (European Cluster Panorama, 2021, 8-9).

პანდემიამ და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად გაცხადებულმა ციფრული ტრანსფორმაციის პროცესმა დაბნეულობა შეიტანა კლასტერების კვლევის პროცესში. დაისვა კითხვა - შეძლებდა თუ არა კლასტერი ახალი ინდუსტრიული რევოლუციის გამოწვევების დაძლევა. ამ კითხვას პასუხი გაცეცა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშების გამოქვეყნებით. კლასტერებმა ახალი, **მესამე სიცოცხლე** შეიძინეს 2023 წელს გამოქვეყნებული ორი ანგარიშით, კერძოდ: 1) „ინდუსტრიული კლასტერების გადასვლა ნულოვან გამონაბოლქვზე“, სადაც მსოფლიოს 10 სხვადასხვა ქვეყნის 10 კლასტერის ინიციატივაა განხილული და დაგეგმილი (WEF, 2023a); 2) „სამუშაოთა მომავალი“, რომელიც მო-

იცავს 803 კომპანიის, 27 ინდუსტრიული კლასტერისა და 45 ქვეყნის ეკონომიკის კვლევას (WEF, 2023b).


ამგვარად, კლასტერების სიცოცხლისუნარიანობის სამი ტალღა მათი განვითარებისადმი სწრაფვამ და გადარჩენისთვის ბრძოლამ განაპირობა.

### ციფრული ტრანსფორმაცია - ახალი შესაძლებლობა კლასტერებისთვის

კლასტერის უნარი გაუმკლავდეს ციფრული ტრანსფორმაციის სირთულეებს, „განპირობებულია საერთო, ნევრთა ჯგუფური ინტერესით, გადარჩენენ გაურკვეველ სიტუაციაში, ადეკვატურად უპასუხონ გამოწვევებს და შეინარჩუნონ წარმატება“ (Gagnidze, 2023a, 2276). აღნიშნულის დასაბუთების მიზნით, ი. გაგნიძემ კლასტერი განიხილა, როგორც განვითარების გამოწვევების დასაძლევ ინსტრუმენტი და შეიმუშავა კლასტერის ხის ზოგადი სქემა (Gagnidze, 2015), რომელსაც შემდგომ დაუმატა ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად კლასტერის აქტორებს შორის (იდენტიფიცირებული ო. სოლველის მიერ - „ინდუსტრია; მმართველი ორგანოები, ფინანსები; უნივერსიტეტი; მედია და ურთიერთთანამშრომელი ორგანიზაციები“ (Solvell, 2009, 16) აუცილებელი კავშირების ხელშეწყობის შესაძლებლობა. აღწერილი სურათი ასახულია ნახაზზე 1, სადაც წითელი ისრებით მოცემულია ციფრული ტრანსფორმაციით კლასტერის მონაწილეთა შორის კავშირის გამარტივება.

### „კლასტერის ხე“ და ციფრული ტრანსფორმაცია

ნახაზი 1.




(Gagnidze, 2023a, 2278)

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი გაცილებით რთულია იქ, სადაც კლასტერები არ არსებობს და ცალკეული ფირმები დამოუკიდებლად მოქმედებენ. შედეგად, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას შესაძლოა დიდი დრო დასჭირდეს. ეს გარკვეულწილად სარისკოცაა, დიდი ალბათობით მოსალოდნელი წარუმატებლობის გამო. ნახაზზე 2 ი. გაგნიძემ (Gagnidze, 2023a, 2279) ასახა ოთხი დამოუკიდებელი ფირმის განვითარების მიმართულება ოთხგანზომილებიან სივრცეში ფირმებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის დაკავშირების გზით. ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ ტრანსფორმაციისადმი თითოეული ფირმის განსხვავებული დამოკიდებულების გამო, განვითარება არათანაბარზომიერად მიმდინარეობს (წყვეტილი მრუდი ნახაზზე). ეს მრუდი მნიშვნელოვნად განსხვავდება ნახაზზე 3 არსებული ანალოგისგან.

### დამოუკიდებელი ფირმების განვითარების მიმართულება ციფრულ ერაში

ნახაზი 2.



(Gagnidze, 2023a, 2279)


ამ განსხვავების მიზეზი ისაა, რომ ინდივიდუალური ფირმ(ებ)ის ინტერესი ბიზნესის რეორგანიზაციის, სამეცნიერო კვლევებსა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და სხვა აუცილებელი პირობების მიმართ განსხვავებულია. შედეგად, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების პროცესი დაგვიანებული, რთული და არათანაბარია. ამის გამო, წარუმატებლობის ალბათობაც მაღალია.

კლასტერებში სრულიად განსხვავებული სცენარია მოსალოდნელი. ამ შემთხვევაში, მოქმედი სუბიექტები ერთმანეთთან კარგად დაკავშირებულია. შესაბამისად, თითოეულ მათგანს სურს, რომ ადგილობრივი ეკონომიკა სწრაფად განვითარდეს და საამისოდ ერთიანი ძალისხმევით იშრომონ. შეიძლება

ითქვას, რომ აქ დევიზია „ძალა ერთობაშია“ და „ერთი ყველასთვის და ყველა ერთისათვის“. ეს ასახულია ნახაზზე 3, სადაც ოთხგანზომილებიან სიბრტყეში ერთმანეთთან დაკავშირებულია კლასტერის წევრი ფირმები და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი. კლასტერის ყველა მონაწილე მოქმედებს ერთობლივად ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციისთვის, ინოვაციურობისა და ცვლილებებისთვის. ასეთ პირობებში განვითარების პროცესი კოორდინირებულია, თანმიმდევრულია და წარმატება გარანტირებულია (იხ. წყვეტილი მრუდი ნახაზზე 3).

### კლასტერის წევრი ფირმების განვითარების მიმართულება ციფრულ ერაში

ნახაზი 3.



(Gagnidze, 2023a, 2279)

### მდგრადობა და წრიული ეკონომიკა - გამოწვევები კლასტერებისთვის

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა, რომელთა შორის ერთ-ერთია მდგრადობის მიღწევა. ის შედგება სამი მდგენელისგან, გარემოსდაცვითი (რომელიც ფოკუსირებულია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გათვალისწინებით), სოციალური (მიზნად ისახავს კონკრეტული სოციალური ჯგუფების ერთიანობისა და სტაბილურობის გაძლიერებას) და ეკონომიკური (გულისხმობს ორგანიზაციის უნარს, ეფექტიანად მართოს თავისი რესურსები და გრძელვადიან პერიოდში პასუხისმგებლობიანი საქმიანობით მიიღოს მოგება).

მეორე მხრივ, მდგრადობის მისაღწევად, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების სამომავლო მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილება წრიულ ეკონომიკაზე გადასვლა მისი შესაბამისი ბიზნესმოდელების დანერგვით. ეს მსოფლიოში ქარბნარმოებას, ნარჩენების დიდ რაოდენობას და სხვა კატაკლიზმებს უკავშირდება. აღნიშნული მოვლენები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რესურსების გამოყენების გახანგრძლივებასთან დაკავშირებული სანარმოო პროცესების დანერგვას, კერძოდ, ხელახალი გამოყენება, შემცირება, შეკეთება, განახლება, აღდგენა, გადამუშავება და სხვა (Gagnidze, 2024).

სტატიის ამ ნაწილში ვიმსჯელებთ იმ მიზეზებზე, რის გამოც, ჩვენი აზრით, კლასტერში წრიულ ეკონომიკაზე გადასასვლელად საჭირო ინვესტიციის მოცულობა ნაკლები იქნება, ვიდრე დამოუკიდებლად მოქმედი ფირმების იგივე რაოდენობისთვის (Gagnidze, 2023b). ამ მიზნით გვსურს მკითხველის ყურადღება რამდენიმე გარემოებაზე გავამახვილოთ:

1. განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების მაღალი ხარისხი განაპირობებს არსებული მიღწევების გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნების სურვილს;

2. თვით ცხოვრების მაღალი სტანდარტების შენარჩუნება შეუძლებელია მდგრადი განვითარების გარეშე;

3. წარსულში წარმატებულის იმიჯი აიძულებს კლასტერის მონაწილე მხარეებს იყვნენ აქტიურნი და გამონწვევები გარდაქმნან უპირატესობად;

4. მ. ფრანკოვსკა და კ. ჩება (2022) ხაზს უსვამენ ისეთ „პიროვნულ ურთიერთობებს, რომელიც ვითარდება კლასტერში ინდივიდებს შორის თანამშრომლობის პროცესში და გამოიხატება მეგობრობასა და პატივისცემაში“ (Frankowska and Cheba, 2022, 78);

5. „წრიულ ეკონომიკაზე გადასვლა არ შეიძლება მოხდეს მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინების გარეშე, ანუ წრიული პროდუქტებისა და სერვისებისადმი მიმღეობა არის მომხმარებლის ქცევის შეცვლის წინაპირობა, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს წრიული ეკონომიკის პროდუქტების მოხმარების ზრდას“ (Salazar et al., 2023, 2). ამ შემთხვევაშიც, კლასტერის წევრების ჯგუფური ინტერესი ამ გამონწვევასაც უფრო იოლად დაძლევეს, ვიდრე დამოუკიდებლად მოქმედ ფირმებში დასაქმებული ინდივიდები შეძლებენ;

6. ერთი მხრივ, „საზღვარი „ადამიანი-მანქანა“ შეიცვალა, ბიზნესმა თავის საქმიანობაში ავტომატიზაციის დანერგვა დაიწყო, თუმცა უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ადრე იყო მოსალოდნელი“ (WEF, 2023b, 6). მეორე მხრივ, ინდივიდთა უპირატესობის თეორიის მიხედვით - ზარალის სახით კოდირებული შედეგი მათთვის ბევრად უფრო არასასურველია, ვიდრე ის შედეგი, რომელსაც ეკვივალენტური სარგებლის მოტანა შეუძლია. ანალოგიურ განწყობას აღწერს ეკონომიკის კლასიკური თეორიის კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონი, რომლის შესაბამისად ადამიანებს ზარალი უფრო მეტად აშინებთ და არ მოსწონთ, ვიდრე - სარგებლის მიღება. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, კლასტერებში ადამიანები შეეცდებიან ერთმანეთის დახმარებით გაუმკლავ-

დენ გამოწვევებს, როგორც სამუშაო ადგილებზე, ასევე, მთლიანად კლასტერის მასშტაბით;

7. განსხვავებულია ცალკეული ფირმის ინტერესი ბიზნესის რეორგანიზაციის, სამეცნიერო კვლევების, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და სხვა აუცილებელი პირობების მიმართ. შედეგად, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების პროცესი დაგვიანებული, რთული და არათანაბარია. ამის გამო, წარუმატებლობის ალბათობაც მაღალია. კლასტერების ჯგუფური ინტერესი უბიძგებს ადამიანებს ითანამშრომლონ დიდ ფირმებთან. ციფრული ფირმები, ბანკები, სახელმწიფო დახმარების პროგრამები და სხვები დაინტერესებულნი არიან მსხვილი გარიგებებით. რადგან კლასტერი არის ქსელი და სისტემა, ეს ინვესტორებს სინერგიას და წრიულ ეკონომიკაზე გადასვლა შესაძლებელია ბევრად უფრო სწრაფად და ნაკლები ინვესტიციით, ვიდრე ცალკეულ ფირმებში.

კლასტერის შიგნით ისეთ ურთიერთობას, როგორც ზემოთაა აღწერილი, შეიძლება ეწოდოს სოციალური კაპიტალი. ჩვენი აზრით, ეს საუკეთესოდ აქვს აღწერილი ო. სოლველს, როდესაც ის ასახელებს კლასტერში მოქმედ მხარეებს შორის ძლიერი ურთიერთქმედების მამოძრავებელ ფაქტორებს, როგორცაა: „კარგი ცოდნა, ძლიერი ქსელები, საერთო „ენა“, ერთიანი მიდგომა ურთიერთობის ნორმებსა და დამოკიდებულებებთან, მაღალი ნდობა, თანამშრომლობის პოზიტიური სტიმულები (Solvell, 2015, 81).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლასტერში არსებული სოციალური კაპიტალი არის ის ძალა, რასაც საფუძვლად უდევს „საერთო, ჯგუფური ინტერესი გადარჩეს გაურკვეველ სიტუაციაში, გამოწვევას ადეკვატურად უპასუხოს და შეინარჩუნოს წარმატება“ (Gagnidze, 2023a, 2276). ყოველივე ეს კი განაპირობებს, კლასტერში წრიულ ეკონომიკაზე გადასასვლელად საჭირო ნაკლებ ინვესტიციას დამოუკიდებელ ფირმებთან შედარებით.

### **ციფრული ტრანსფორმაცია და კლასტერში მოქმედი უნივერსიტეტების როლი**

მეოთხე და მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციების შედეგად მოსალოდნელი ნახტომისებური განვითარება, როგორც ამას აღიარებული კვლევითი ორგანიზაციები მიუთითებენ, რადიკალურად შეცვლის მდგომარეობას სამუშაო ძალის ბაზარზე. ეს პროგნოზირებული რყევები აქტიურად განიხილება ევროკომისიის დოკუმენტებში, კერძოდ: „ორგანული სოფლის მეურნეობა იძლევა 10-20%-ით მეტ სამუშაო ადგილს ერთ ჰა-ზე, ვიდრე ჩვეულებრივი ფერმები და ქმნის დამატებულ ღირებულებას სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის. ამ პოტენციალის მაქსიმალურად გამოსაყენებლად, 2030 წლისთვის ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო მიწების მინიმუმ 25% ორგანულად უნდა იყოს დამუშავებული“ (COM (2020) 380 final, 8). „2030 წლისთვის ნახშირბადის დაბალი შემცველობის ეკონომიკაზე გადასვლით მოსალოდნელია 1 მლნ-ზე მეტი სამუ-



შაო ადგილის შექმნა, მაშინ როცა ევროპაში ამჟამად უკვე არის 1 მლნ ვაკანსია ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტებისთვის. ამავდროულად, კომპანიების 70% აცხადებს, რომ აჭიანურებს ინვესტიციებს, რადგან ვერ პოულობენ სათანადო უნარების მქონე სპეციალისტებს“ (COM (2020) 102 final, 11). „ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ წრიული ეკონომიკის პრინციპების გამოყენებას ევროკავშირის ეკონომიკაში აქვს პოტენციური გაზარდოს ევროკავშირის მშპ დამატებით 0,5%-ით 2030 წლისთვის და შექმნას დაახლოებით 700 000 ახალი სამუშაო ადგილი“ (COM (2020) 98 final, 2). „საჭირო უნარებისა და ნიჭის მქონე ადამიანების მოზიდვა უცხოეთიდან ასევე დაეხმარება ევროკავშირის შრომის ბაზარს საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“ (COM (2020) 102 final, 11). მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის თანახმად, „92 მლნ პოტენციური გლობალური ციფრული სამუშაო ადგილი გამოჩნდება 2030 წელს“ (WEF, 2024a, 4). „OECD-სა და ევროკავშირის მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო ათი წლის განმავლობაში დაფიქსირდა ვაკანსიების 188%-იანი ზრდა სამუშაო და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში“ (WEF, 2024b, 5).


მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში „სამუშაოების მომავალი“, აღნიშნული იყო, რომ იმდროინდელი დაწყებითი კლასის მოსწავლეები შრომით საქმიანობას დაიწყებდნენ 65%-ით შეცვლილ შრომის ბაზარზე. 2023 წელს გამოქვეყნებულ მორიგ ანგარიშში აღნიშნულია, რომ დამსაქმებლები პროგნოზირებენ სტრუქტურულ შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების 23%-ით შემცირებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში; მოსალოდნელია სამუშაო ადგილების ფართომასშტაბიანი ზრდა განათლებაში, სოფლის მეურნეობაში, ციფრულ კომერციასა და ვაჭრობაში; გამოკითხული კომპანიები აცხადებენ, რომ ინვესტიცია სწავლებაში და სამსახურში სამუშაო ადგილებზე ტრენინგში, ასევე, პროცესების ავტომატიზაცია არის ყველაზე გავრცელებული სტრატეგიები, რომლებიც მიიღება მათი ორგანიზაციის ბიზნესმიზნების მისაღწევად; ბიზნესის 45% ხედავს სათანადო უნარების განვითარებისთვის ტრენინგების დაფინანსებას, როგორც ეფექტიან ინტერვენციას, რომელიც უნდა უზრუნველყოს მთავრობამ, რათა ნიჭი დასაქმებასთან დააკავშირონ (Fol, 2023, 4). „თუ მთავრობები არ მოემზადებიან ახალი ცვლილებებისთვის, 2050 წლისთვის უმუშევრობის დონე G-20 ქვეყნებში გაიზრდება 24%-მდე (ან მეტად)“ (Daheim and Wintermann, 2016, 9).

ამგვარად, ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი მხრივ, ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად მოსალოდნელია მრავალი სამუშაო ადგილის გაქრობა და ახლის გამოჩენა, მეორე მხრივ, უკვე აღიარებულია, რომ კლასტერები როგორც ქსელი და სისტემა, ციფრული ტრანსფორმაციისთვის საუკეთესო ნიადაგია. ყურადსაღებია ისიც, რომ მოსალოდნელ ცვლილებებთან გამკლავება მოითხოვს ცოდნის განახლებას ტრენინგების საფუძველზე, რაც ავტორის აზრით, კლასტერში მოქმედი უნივერსიტეტების საშუალებით უნდა განხორციელდეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კლასტერების სიცოცხლისუნარიანობის მეორე ტალღა დაუკავშირდა სამეწარმეო უნივერსიტეტების (მეოთხე თაობის უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი 4.0) ჩამოყალიბებას, სადაც ერთ სივრცეში განხორციელდა ეფექტიანი დიალოგი განათლებას, მეცნიერებას, ადგილობრივ მმართველობასა და ბიზნესს შორის. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ უნივერსიტეტზე ფოკუსირება განაპირობებს წარმატებას ციფრული ტრანსფორმაციის პერიოდშიც, რაც დაუკავშირდება მეხუთე თაობის უნივერსიტეტის (უნივერსიტეტი 5.0) ფორმირებას დისტანციური საქმიანობის შედეგად. როგორც ე. კარაიანისი და ჯ. მორავსკა-იანჩელევიჩი (Carayannis and Morawska-Jancelewicz, 2022) ამტკიცებენ ციფრული ტრანსფორმაცია ხსნის ახალ პერსპექტივებს უნივერსიტეტებისთვის და შეიძლება გახდეს მათი ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა. ციფრული ტრანსფორმაციით შესაძლებელია დისტანციური თანამშრომლობის საფუძველზე გარედან იქნენ სპეციალისტები მოზიდული და გამოცდილება გაზიარდეს მინიმალური დანახარჯებით. უნივერსიტეტის მიერ დისტანციური მუშაობის შესაძლო სარგებელი ი. გაგნიძემ (Gagnidze, 2023c) გამოსახა სისტემური მიდგომით (იხ. ნახაზი 4).

### სისტემური საგანმანათლებლო კავშირები გამომგონებელი და დამნერგავი ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის

ნახაზი 4.



(Gagnidze, 2023c, 476)

ნახაზი 4 გვიჩვენებს ციფრული ტრანსფორმაციის საფუძველზე სისტემურ საგანმანათლებლო კავშირებს გამომგონებელი და დამნერგავი ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის (იმის მიუხედავად, თუ სად მდებარეობენ ისინი, სხვადასხვა თუ ერთიდაიმავე კონტინენტზე). ცნობილია, რომ მდგრადობის, წრიუ-

ლი ეკონომიკის, მინიმალური ნარჩენების, ნულოვანი ემისიის და სხვა მიმართულებით განვითარების პროცესში საერთაშორისო ძალისხმევა ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ავტორის აზრით, ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე ასპექტზე, კერძოდ:

- გამომგონებელ ქვეყნებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ექსპლუატაცია თავადაც სჭირდებათ. მათ ასევე ესაჭიროებათ სამეცნიერო, უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე ადამიანების მომზადება/გადამზადება. განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს აქვთ იგივე მიზნები ტექნოლოგიების დანერგვისას. ამ მხრივ, სისტემური საგანმანათლებლო კავშირები უნდა განხორციელდეს მინიმუმ სამ დონეზე: სამეცნიერო კვლევა, უმაღლესი და პროფესიული განათლება. შესაბამისად, აუცილებელია სისტემაში ჩართული უნივერსიტეტები გადავიდნენ 5.0 მოდელზე და ერთმანეთს დაუახლოვონ საგანმანათლებლო პროგრამები. ეს პროცესი უნდა დაიწყოს მდგრადობის გეგმის განხორციელების ადრეულ ეტაპებზე. ფრთხილად უნდა იყოს შერჩეული უნივერსიტეტების პოტენციალი;

- საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის ეფექტიანობას განაპირობებს მჭიდრო კავშირი და უკუკავშირი ყველა მონაწილე უნივერსიტეტს შორის. გამოცდილების დაგროვება და გაცვლა გადამწყვეტ როლს თამაშობს შეცდომების მინიმიზაციისა და სასურველი მიზნის სწრაფად მიღწევაში;

- სისტემის შესაქმნელად საჭიროა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში დაიწყოს აქტივობა. ეს წინასწარ უნდა დაიგეგმოს, რადგან ნებისმიერი დაშვებული შეცდომა გამოიწვევს დიდი დროისა და თანხების ფუჭად ხარჯვას.

ავტორის მიერ შემუშავებულ სქემაში მკითხველისთვის სისტემური მიდგომის შეთავაზების მთავარი მიზეზი სისტემის თვისებებია. ერთ-ერთი მათგანია სინერჯის ეფექტი. სისტემაში მონაწილე მრავალი მხარის ინტერესი აძლიერებს მათ ძალისხმევას, რაც ხელს უწყობს მყარი ქსელის შექმნას. სინერჯისა და თანმიმდევრულობის გამოყენებით, ციფრული ტრანსფორმაცია მიიღწევა შედარებით მარტივად. ეს განსაკუთრებით შესაძლებელია განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი საერთაშორისო კავშირების დამყარების შედეგად.

ბევრი ცნობილი მეცნიერი წერს სისტემის ეფექტიანობაზე, მათ შორისაა ა. ლაზლო და ს. კრიპნერი (Laszlo and Krippner, 1998); ი. კორნი (Korn, 2020); ბ. რუდალი და ს. მანი (Rudall and Mann, 2007); ლ. სკუტნერი (Skyttner, 1996); გარდა ამისა, ავტორი იძლევა განმარტებას რ. აკოფის წინადადებაზე დაყრდნობით, რომ „სისტემა არის ორი ან მეტი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის ნაკრები შემდეგი თვისებებით:

- „თითოეული ელემენტი გავლენას ახდენს მთელის ფუნქციონირებაზე;
- თითოეულ ელემენტზე გავლენას ახდენს სისტემის მინიმუმ ერთი სხვა ელემენტი;

- ელემენტების ყველა შესაძლო ქვეჯგუფსაც აქვს პირველი ორი თვისება“ (Ackoff, 1981, 15–16).

ამრიგად, საერთაშორისო საგანმანათლებლო კავშირების დამყარებით და მიმდინარე მწვავე პრობლემებზე ერთობლივი მუშაობით არსებული გამონ-ვევები შედარებით ადვილად დასაძლევია გახდება, ვინაიდან მეხუთე თაობის უნივერსიტეტს (უნივერსიტეტი 5.0) შეუძლია სისტემური როლი ითამაშოს ეკო-ნომიკის განვითარების პროცესში როგორც ერთი ქვეყნის შიგნით, ასევე, სხვა ქვეყნებშიც. ეს პროცესი ასახულია ნახაზზე 4.

## დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგად, კვლევით კითხვაზე: არის თუ არა კლასტერი ეფექტიანი ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი საუკეთესო გზა - შეიძლება აღინიშნოს რომ პასუხი დადებითია. ეს დასკვნა ეფუძნება იმ აღიარებული მეცნიერ-მკვლევრების ნაშრომების ანალიზს, რომ-ლებმაც კლასტერების კვლევაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს.

იმ მოსაზრებას, რომ ეკონომიკის განვითარების მიზნით კლასტერის ფორ-მირება ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა, ამყარებს მათი სიცოცხლისუნარიანობის სა-მი ტალღა, რაც განხილულია ნაშრომში. ამასთან, მკვლევართა მიერ კლასტერში აღწერილი სოციალური კაპიტალი არის ჯგუფური ინტერესის ძლიერი მამოძრავ-ებელი ძალა, რომელიც კლასტერის არეალში მცხოვრები მოსახლეობის დიდ ფე-ნას განაწყობს გაერთიანდენენ ერთი მიზნის გარშემო და სწრაფად მოახდინონ ცვლილებებზე ადაპტაცია და ქცევის შეცვლაც კი. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვ-ნად უკავშირდება წრიული ეკონომიკის ფორმირებას, რაც აუცილებელია მდგრად-დი განვითარებისა და მდგრადობის მისაღწევად.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში - „სამუშაოების მომავალი“, ერთ-ერთი მთავარი დასკვნაა, რომ: „ტექნოლოგიების მიღება დარჩება ბიზნე-სის ტრანსფორმაციის მთავარ მამოძრავებელ ძალად მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში“ (WEF, 2023b, 6). ამ გამონვევას საუკეთესოდ უმკლავდება კლას-ტერი მასში არსებული სოციალური კაპიტალის ხარჯზე.

მნიშვნელოვანია კლასტერში უნივერსიტეტების როლის ხაზგასმა ადგი-ლობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის, რაზეც ავტორი ადრეც წერდა (გაგ-ნიძე, 2018). თუმცა, ციფრული ტრანსფორმაციის პერიოდში დისტანციური ფუნ-ქციონირებით უნივერსიტეტებს ეძლევათ უფრო მეტი გასაქანი გაიფართოვონ ზეგავლენის არეალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის ავტორი აყა-ლიბებს რეკომენდაციას, დაიწყოს კლასტერების კვლევა საქართველოში ფუნ-დამენტური მიდგომის გამოყენებით და გამოვლინდეს ის რეალური კონკურენ-ციული უპირატესობები, რაც გააჩნია საქართველოს. ცნობილია, რომ კლასტე-რების კლასიკოსი მკვლევრები გამოყოფენ კლასტერების აღმოცენების ორ მნიშვნელოვან წინაპირობას, გეოგრაფიულს და ისტორიულს (Solvell, 2009, 54-55). ამასთან, ამ საკითხზე ხაზგასმა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ციფრუ-

ლი ტრანსფორმაციის პერიოდში, რომელიც უდავოდ დგას ყველა ქვეყნის წინაშე, კლასტერები, როგორც სოციალური კაპიტალის მქონე ქსელი და სისტემა, საუკეთესო ნიადაგია.

საზოგადოებრივი მიღებული კლასიფიკაციით, კონცეპტუალური ნაშრომი ფოკუსირებულია ჰიპოთეზების შემუშავებაზე და ჩვეულებრივ დისკუსიულია. მოიცავს ფილოსოფიურ დისკუსიებს და სხვა ავტორების ნაშრომებისა და მოსაზრებების შედარებით კვლევას. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ნაშრომიც მოკლებულია კონკრეტული კლასტერის ანალიზს. ჩვენ მომავალში შევეცდებით კვლევა განვახილოთ სწორედ ამ მიმართულებით.

## References:

- გაგნიძე, ი. (2018), კლასტერსა და სამენარმო უნივერსიტეტებს შორის სისტემური კავშირის როლი ეკონომიკაში. | | „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. XI, №1, გვ.85-99.
- Ackoff, R.L. (1981). *Creating the corporate future*. John Wiley, New York, NY.
- Carayannis, E.G., Morawska-Jancelewicz, J. (2022). The Futures of Europe: Society 5.0 and Industry 5.0 as Driving Forces of Future Universities. *Journal of the Knowledge Economy*, 13, 3445-3471. <https://doi.org/10.1007/s13132-021-00854-2>
- European Commission. (2020). *EU biodiversity strategy for 2030: Bringing nature back into our lives*. Communication for the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 25. COM (2020) 380 final. [https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:a3c806a6-9ab3-11ea-9d2d-01aa75ed71a1.0001.02/DOC\\_1&format=PDF](https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:a3c806a6-9ab3-11ea-9d2d-01aa75ed71a1.0001.02/DOC_1&format=PDF). (accessed August 17, 2024).
- European Commission. (2020). *A new circular economy action plan for a cleaner and more competitive Europe*. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. COM (2020) 98 final. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52020DC0098>. (accessed August 17, 2024).
- European Commission. (2020). *A New Industrial Strategy for Europe*. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. COM (2020) 102 final. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52020DC0102&qid=1699445119400>. (accessed August 17, 2024).
- Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions: *Towards world-class clusters in the European Union—implementing the broad-based innovation strategy*, COM 652 final of 17.10.2008 (2008). [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008DC0652R\(01\)&from=EN](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008DC0652R(01)&from=EN) (accessed August 17, 2024).
- Daheim, C., Wintermann, O. (2016). *2050: The Future of Work. Findings of an International Delphi-Study of The Millennium*. [https://www.bertelsmann-stiftung.de/fileadmin/files/B-St/Publikationen/GrauePublikationen/BST\\_Delphi\\_E\\_03lay.pdf](https://www.bertelsmann-stiftung.de/fileadmin/files/B-St/Publikationen/GrauePublikationen/BST_Delphi_E_03lay.pdf) (accessed August 17, 2024).
- Duranton, G. (2011). *California Dreaming: The Feeble Case for Cluster Policies*. *Review of Economic Analysis*, 3(1), 3-45.

- European Commission, Directorate-General for Enterprise and Industry (2007). *Innovation clusters in Europe: a statistical analysis and overview of current policy support*. Publications Office. <https://data.europa.eu/doi/10.2769/12579> (accessed August 17, 2024).
- European Cluster Panorama 2021. (2021). *Leveraging clusters for resilient, green and digital regional economies*. Report. Franco, S., Murciago, A., Salado, J.P., Sisti, E. & Wilson, J. An initiative of the European Union Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021. doi: 10.2826/689035 [https://clustercollaboration.eu/sites/default/files/2021-12/European\\_Cluster\\_Panorama\\_Report\\_0.pdf](https://clustercollaboration.eu/sites/default/files/2021-12/European_Cluster_Panorama_Report_0.pdf). (accessed August 17, 2024).
- European Panorama (2020). *European Panorama of Clusters and Industrial Change*. European Observatory for Clusters and Industrial Change. European Commission. Hollanders, H., Merkelbach, I. doi:10.2826/451726, Luxembourg: Publications Office of the European Union, 2020. [https://clustercollaboration.eu/sites/default/files/news\\_attachment/european\\_panorama\\_2020.pdf](https://clustercollaboration.eu/sites/default/files/news_attachment/european_panorama_2020.pdf). (accessed August 17, 2024).
- European Cluster Panorama (2016). *European Cluster Observatory, Report*, Prepared by: Ketels C., and Protsiv, S., Center for Strategy and Competitiveness Stockholm School of Economics, European Commission. [https://clustercollaboration.eu/sites/default/files/news\\_attachment/2016-12-01-cluster-panorama-2016.pdf](https://clustercollaboration.eu/sites/default/files/news_attachment/2016-12-01-cluster-panorama-2016.pdf) (accessed August 17, 2024).
- Frankowska, M., Cheba, K. (2022). The relational embeddedness as the differentiator of the cluster supply chain collaboration – a multidimensional comparative analysis. *Competitiveness Review*, 32(1), 59-84. <https://doi.org/10.1108/CR-11-2019-0114>.
- Gagnidze, I. (2024). Regarding Interdependence of Corporate Social Responsibility, Sustainability and the Circular Economy Business Models. INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE “EUROPEAN UNION’S POLICY ON CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY”, Abstracts & articles, CSREU, 16, 21 May, Jean Monnet Module of the Erasmus+ Program, pp.74-75. <https://zenodo.org/records/12786314>
- Gagnidze, I. (2023a). Industry 4.0 and industry 5.0: can clusters deal with the challenges? (A systemic approach). *Kybernetes*, 52(7), 2270-2287. <https://doi.org/10.1108/K-07-2022-1005>.
- Gagnidze, I. (2023b). Cluster Approach for Circular Economy, International Scientific and Practical Internet Conference “Business Strategy: Ukrainian Realities and Convergence with the EU Opportunities”, pp. 163-166, 8 November, 2023 KNEU, Kyiv, Ukraine, pp. 163-166. DOI: [doi.org/10.35668/978-966-926-463-3](https://doi.org/10.35668/978-966-926-463-3)
- Gagnidze, I. (2023c). University 5.0 for Resilience – A systemic approach. Z. Nedelko; R. Korez Vide, (Eds.). 7th FEB International Scientific Conference: Strengthening Resilience by Sustainable Economy and Business – Towards the SDGs. University of Maribor Press, pp.471-478. <https://doi.org/10.18690/um.epf.3.2023>.
- Gagnidze I. (2015). Cluster as a tool for the challenges of development. in Bratianu, C., Zbucea, A., Vatamanescu E. & Leon, R. (Ed.s), STRATEGICA, Local versus Global, Third Edition, Bucharest, Romania, October 29-31, 2015, ISSN: 2392-702X; ISBN: 978-606-749-054-1, pp. 336-344. <https://strategica-conference.ro/2015-edition/>
- Gordon I. R., McCann, P. (2000). Industrial Clusters: Complexes, Agglomeration and/or Social Networks?. *Urban Studies*, 37(3), 513-532.
- Ketels, Ch., Lindqvist, G., Solvell, O. (2006). *Cluster initiatives in developing and transition economies*. Stockholm: Center for Strategy and Competitiveness.

- Ketels, Ch., Protsiv, S. (2021). Cluster presence and economic performance: a new look based on European data. *Regional Studies*, 55(2), 208-220. <https://doi.org/10.1080/00343404.-2020.1792435>.
- Korn, J. (2020). Developments in the resolution of systemic problems. *International Journal of Markets and Business Systems*, 4(2), 140-163. DOI: 10.1504/IJMABS.2020.113126.
- Krugman, P. (2009). The Increasing Returns Revolution in Trade and Geography. *American Economic Review*, 99(3), 561-71.
- Laszlo, A., Krippner, S. (1998). Chapter 3 - Systems Theories: Their Origins, Foundations, and Development. *Advances in Psychology*, 126, 47-74. [https://doi.org/10.1016/S0166-4115\(98\)-80017-4](https://doi.org/10.1016/S0166-4115(98)-80017-4)
- Lindqvist, G., Ketels, Ch., Solvell, O. (2013). The cluster initiative greenbook 2.0. Ivory Tower Publishers.
- Nuttall, G. (2018). The revolution is coming are we ready. 2018 10 May. <https://www.nicva.-org/article/the-revolution-is-coming-are-we-ready> (accessed August 17, 2024).
- Porter, M. E. (1990). *The Competitive advantage of nations*. New York: The Free Press.
- Porter, M. E. (1998). *The Competitive Advantage of Nations*. THE FREE PRESS, Simon &Schulter Inc., USA, New York, NY.
- Porter, M.E. (2000). *Competition*. Publishing House Williams, Sankt-Peterburg, Moscow, Kyiv, 495 p. (In Russian).
- Porter, M.E. (2008). *On Competition*. updated and expanded Edition, Harvard Business School Publishing, Review Book Series, Harvard.
- Salazar, C.M.I., Kiefer, C.P., Carrillo-Hermosilla, J. (2023). Consumer Behavior and Circular Economy-Bibliometric and Content Analysis. *SERIE Documento de Trabajo n°1/2023*, 75 p. [https://www1.uah.es/pdf/noticias/rsc/docs/dc\\_01\\_23.pdf](https://www1.uah.es/pdf/noticias/rsc/docs/dc_01_23.pdf) (accessed August 17, 2024).
- Skyttner, L. (1996). General systems theory: origin and hallmarks. *Kybernetes*, 25(6), 16-22. <https://doi.org/10.1108/03684929610126283>.
- Rudall, B. H., Mann, C. J. H. (2007). Emerging innovative systems. *Kybernetes*, 36(5/6):672-679.
- Solvell, O. (2015). *On strategy and competitiveness: 10 recipes for analytical success*. First edition, Stockholm: Ivory Tower Publishers and SIR, Sweden.
- Solvell, O. (2009). *Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces*, Ivory Tower Publisher, Stockholm, Sweden.
- Solvell, O., Lindqvist, G., Ketels, Ch. (2003). *The cluster initiative greenbook*. Stockholm: Ivory Tower.
- UNIDO (2019). *Mapping Emerging and Potential Manufacturing and Agri-Business Clusters in Georgia*. UNIDO project. [https://www.gda.ge/shared/userfiles/images/UNIDO\\_Final%20cluster%20mapping%20report%20in%20Georgia.pdf](https://www.gda.ge/shared/userfiles/images/UNIDO_Final%20cluster%20mapping%20report%20in%20Georgia.pdf) (accessed August 17, 2024).
- Vesperi, W., Gagnidze, I. (2023). From the university ecosystem to the entrepreneurial ecosystem—the way for developing the local economy. *International Journal of Economics and Business Research*, 25(4), 431-455. <https://doi.org/10.1504/IJEBR.2023.131158>.
- World Economic Forum (2024a). *Realizing the Potential of Global Digital Jobs*. In collaboration with Capgemini. White Paper. [https://www.capgemini.com/wp-content/uploads/2024/04/WEF\\_Realizing\\_the\\_Potential\\_of\\_Global\\_Digital\\_Jobs\\_2024.pdf](https://www.capgemini.com/wp-content/uploads/2024/04/WEF_Realizing_the_Potential_of_Global_Digital_Jobs_2024.pdf) (accessed August 17, 2024).

- World Economic Forum. (2024b). Key Issues Shaping and Driving Global Job Creation. [https://www3.weforum.org/docs/WEF\\_Key\\_Issues\\_Shaping\\_and\\_Driving\\_Global\\_Job\\_Creation\\_2024.pdf](https://www3.weforum.org/docs/WEF_Key_Issues_Shaping_and_Driving_Global_Job_Creation_2024.pdf) (accessed August 17, 2024).
- World Economic Forum. (2023a). The Future of Jobs Report, Insight Report. [https://www3.weforum.org/docs/WEF\\_Future\\_of\\_Jobs\\_2023.pdf](https://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Jobs_2023.pdf) (accessed August 17, 2024).
- World Economic Forum. (2023b). *Transitioning Industrial Clusters towards Net Zero*. In collaboration with Accenture and EPRI. <https://initiatives.weforum.org/transitioning-industrial-clusters/home> (accessed August 17, 2024).

## Cluster - One of the Best Ways of Effective Digital Transformation

**Ineza Gagnidze**

Associate Professor

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University,*

*inezagagnidze@tsu.ge*

doi.org/10.52340/eab.2024.16.04.05

*The world economy is facing big challenges such as digital transformation, climate change, overproduction, large amount of waste, irrational use of non-renewable energy sources, etc. What these problems have in common is that solving them in one or a few countries cannot have a global effect and requires the joint efforts of all countries. Because of this, it is important to share the innovations and experiences introduced in developed countries around the world.*

*The need for digital transformation and the covid pandemic has tested the resilience of clusters to the challenges. Clusters have provided a vital link between politicians and businesses in response to the pandemic. They have dealt with disruptions to supply chains and developed new manufacturing capabilities.*

*Cluster organizations in the 27 EU countries are mainly focused on the digital, agri-food, healthcare, renewable energy and mobility/transport/automotive industries. They provide a wide range of services and promote research, development and innovation. In 2019, a study by the United Nations Industrial Development Organization was completed in Georgia, according to which 57 clusters were identified in Georgia (UNIDO, 2019).*

*In the paper, the author aimed to answer the following research question: Is the cluster one of the best ways of effective digital transformation? To answer this question, the author discussed three waves of clusters' viability, as well as digital transformation as a new opportunity for clusters. Then the discussion continued on the issue*



*of circular economy and cluster compatibility and the role of cluster member universities in the process of digital transformation.*

*In the opinion of the author, the proposal of the theory of clusters by Porter in the late 80s of the XX century is considered the first wave of cluster vitality. This view is discussed in the paper based on the books/papers of world-renowned researchers, namely: Porter (1998); Porter (2000); Porter, (2008); Gordon and McCann (2000); Krugman (2009); Duranton (2011), etc.*

*According to the author, the second wave of vitality of clusters is related to the establishment of the entrepreneurial model of the universities (University 4.0) operating in the cluster and the activation of the process of commercialization of scientific research. This issue is discussed based on the following literary sources: Ketels et al., (2006); Solvell et al., (2003); Lindqvist et al., (2013); Vesperi and Gagnidze (2023), etc. The fourth industrial revolution and the need for digital transformation have raised many questions, including those related to clusters. However, the reports of world-renowned research organizations, including the World Economic Forum (WEF, FoJ, 2023a; WEF, 2023b; European Cluster Panorama, 2021) revealed the special role of clusters in the process of digital transformation, which the author considered the third wave of cluster vitality.*

*In the paper, the author discusses the advantage of clusters to facilitate the transition to a circular economy. Here, clusters are considered as a network and a system. The author characterizes the social capital that is formed in clusters based on group interest (Frankowska and Cheba, 2022; Salazar et al., 2023; Solvell, 2015; Gagnidze, 2024). The phenomenon of such capital is a powerful driving force of group interest, which will organize a large segment of the population living in the cluster area to unite around a single goal and quickly adapt to changes and even change their behavior. The latter is significantly related to the formation of a circular economy, which is necessary to achieve sustainable development and sustainability. Along with the theoretical analysis of the mentioned issues, the graphic analysis developed by the author is also used in the paper (Gagnidze, 2015; 2023).*

*Leap-like development expected as a result of the fourth and fifth industrial revolutions (Industry 4.0 and Industry 5.0), as indicated by recognized research organizations, will radically change the situation in the labor market. These projected fluctuations are actively discussed in European Commission documents, namely: COM (2020) 98 final; COM (2020) 102 final; COM (2020) 380 final, etc. The mentioned issue is also discussed in the reports of the World Economic Forum, namely: WEF, 2024a and WEF, 2024b.*

*At the end of the paper, the systemic role of universities operating in the cluster for the development of the local economy is discussed. However, in the period of digital transformation, universities with remote functioning are given more room to expand the area of influence.*

*As a result of the conducted research, according to the author, the answer to the research question is positive. Taking into account all the above, the author of the paper formulates a recommendation to start the research of clusters in Georgia using a fundamental approach and identify the real competitive advantages that Georgia has. It is known that classical researchers of clusters distinguish two important prerequisites for the emergence of clusters, geographical and historical (Solvell, 2009, 54-55). However, the emphasis on this issue is due to the fact that in the period of digital transformation, which is undoubtedly facing all countries, clusters, as a network and system with social capital, are the best soil.*

*In a commonly accepted classification, conceptual work focuses on the development of hypotheses and is usually discursive. Taking this into account, the presented paper is limited and lacks the analysis of a specific cluster. The author will try to develop research in this direction in the future.*

**Keywords:** Digital transformation, cluster, university, system, social capital.

**JEL Codes:** O30, O31, O32, O33

ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ ტურიზმი  
BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ TOURISM

გლობალური გამაჯანსაღებელი ტურიზმის (ველნეს)  
განვითარების სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში

ნინო აბესაძე

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
nino.abesadze@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2024.16.04.06

ანაწილის მიზანია საქართველოში ველნეს ტურიზმის განვითარების სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყმა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში, ტურიზმის სახეობებს შორის განსაკუთრებით გაიზარდა ინტეგრირებული ტურიზმის სახეობები. კვლევამ აჩვენა, რომ მსოფლიოს მასშტაბით ველნეს ტურიზმი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. საქართველოში მისი განვითარების ტემპები ახც თუ მაღალია, თუმცა მას პოტენციური გააჩნია. ეს დადასტურა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა.

ტენდენციური აზიზისა და ევოლუციური გაჩედა, ველნეს ტურიზმით დაინტერესება იზრდება მუდმივად ქვეყნებშიც. მოსახლეობის შემოსავლები მჭიდრო პიხდაპიხ კოხედაციუხ კავშირშია ველნეს ტურიზტული ვიზიტების ხოლენობასთან, თუმცა, დაბალია ინფორმაციულობის დონე და ტურიზტულ ხაჯებში მცირეა ველნესზე გაწეული ხაჯების წილის მარჯვენებელი. კვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო მომსახუხების მიღების მარჯვენებელი და ავადობის სტატისტიკა ხევიონური ქილით მზარდია, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის ხაჯების მოცულობაც მზარდია, თუმცა, იკრებს ვიზიტოხთა საეხთო ხოლენობაში მკუხნადობა-გაჯანსაღების მიზნით ვიზიტების ხოლენობის მარჯვენებელი.

ჯველნეს ტურიზმის მიმზიდველობის გასაზხედედ აუცილებელია მოსახლეობის უფხო მეტად ინფორმირება - თემატური შეხვედხების გამაჯანსაღებელი, საინფორმაციო ბუკლეტების გაჯეცელება და სხვ.

**საკვანძო სიჯყვები:** ველნეს ტურიზმი, ტურიზტული ხაჯები, მიმზიდველობა, სტატისტიკური ანალიზი, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი.

## შესავალი

მსოფლიოში ტურიზმის თანამედროვე ტენდენციების პარალელურად, საქართველოშიც დაიწყო ტურიზმის დივერსიფიცირების პროცესი და რეალურად გაჩნდა თანამედროვე საზოგადოების ახალ მოთხოვნებზე ორიენტირებული სერვისების შეთავაზების შესაძლებლობები. ასეთი ტრანსფორმაცია გარდაუვალი, აუცილებელი და ამავე დროს საზოგადოების განვითარების თანმდევი პროცესი გახდა. საქართველოში ტურიზმის ევოლუციამ სხვადასხვა ეტაპი განვლო და წლების განმავლობაში მრავალი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორის გავლენით განსხვავებული კონიუნქტურული სტრუქტურით ხასიათდებოდა. იცვლებოდა როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურისტულ ბაზარი. თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება დასვენების, რეკრეაციის, ჯანმრთელობის გაჯანსაღების, სპორტული აქტიური ცხოვრების და ა.შ მიმართ შეიცვალა და თითქმის ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობისათვის გახდა უფრო მოთხოვნადი და შესაბამისი სერვისების ტრენდული. ამიტომ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ტურიზმის სახეობებს შორის განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ველნეს ტურიზმისადმი, რომელიც ისეთი მნიშვნელოვანი პროცედურული კომპონენტებისგან შედგება, როგორიცაა სპა, მედიტაცია, გამაჯანსაღებელი თერაპიები, სპორტული და სამკურნალო აქტივობა. ველნესი სამედიცინო ტურიზმის ნაწილია, მაგრამ ის არ გულისხმობს სანატორიუმებსა და საავადმყოფოებში მკურნალობას, არამედ არის დაავადებების საწყისი პროფილაქტიკა (ერქომაიშვილი, გ. 2013). საერთოდ მსოფლიოში ასეთი ტიპის გამაჯანსაღებელი მოგზაურობების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და მხოლოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში 30.2%-ით, ხოლო ხარჯები 36.2%-ით გაიზარდა, თუმცა, საერთო ველნეს-ტურისტული მოგზაურობები და ხარჯები რჩება პანდემიამდელი პიკის 87-90%-ზე. მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ არ დაუბრუნდა პანდემიამდელ დონეს, ველნეს ტურიზმი რჩება მეოთხე უმსხვილეს სექტორად ველნეს ეკონომიკაში (GWI-WE-Monitor-2023, 2023).

ტურიზმის სწრაფი რეაბილიტაციის ფონზე ველნეს ტურიზმიც თანდათან გააქტიურდა პანდემიასთან დაკავშირებული მოგზაურობის შეზღუდვების შემსუბუქებასა და მთლიანი ტურისტული ბაზრის აღდგენასთან ერთად. გლობალური ველნეს ინსტიტუტის მიერ 2022 წელს ველნეს ტურიზმის გლობალური ბაზრის ზომა შეფასდა 814,6 მლრდ აშშ დოლარად და 2023 წლიდან 2030 წლამდე მოსალოდნელია გაიზარდოს 12.42%-ით(Wellness Tourism Market Size & Trends Analysis Report, 2023-2030, 2023). ამავე პერიოდში საერთაშორისო ველნეს ტურისტებმა თითო მოგზაურობაზე საშუალოდ 1,764 აშშ დოლარი დახარჯეს, ეს 41%-ით აღემატება 1 ტიპური საერთაშორისო ტურისტის ხარჯს. შიდა ველნეს ტურისტებმა კი საშუალოდ თითო მოგზაურობაზე 668 აშშ დოლარი დახარჯეს, რაც 175%-ით მეტია, ვიდრე ზოგადად 1 შიდა ტურისტის მიერ განუული დანახარჯი(Wellness Economy Statistics & Facts,2024). საქართველოში ველნეს ტურიზმის განვითარება

შედარებით ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. ამიტომ, საინტერესო და აუცილებელია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე საქართველოში ველნეს ტურიზმის პოტენციალისა და განვითარების შესაძლებლობების რაოდენობრივი შესწავლა და შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება, მოსახლეობის ინფორმაციულობის ხარისხის განსაზღვრა და ა. შ.

ეკონომიკური ეფექტი, რასაც მოუტანს საქართველოს სამედიცინო ველნეს კურორტების ქვეყნად ჩამოყალიბება, შემდეგია: სამედიცინო ველნეს კურორტების ამოქმედებით საქართველო შევა მსოფლიოს ელიტარულ ველნეს ინდუსტრიის ქვეყნების შემადგენლობაში; მოხდება ქვეყნის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით; გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში, რაც გამოიწვევს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან გაერთიანებას; მოხდება მსოფლიოს მაღალშემოსავლიანი ადამიანების მოზიდვა; პროპაგანდა გაენევა ჯანმრთელობის ახალ კულტურას, რაც იქნება ინტელექტუალური დისტრიბუცია; ველნეს ინდუსტრია მოითხოვს ადამიანის მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც გავლენას მოახდენს მთლიანად ერის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდაზე; გაიზრდება შემოსავლები და შემონატანები; განვითარდება ინფრასტრუქტურა; შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები (ერქომაიშვილი გ. 2016), გარდა ამისა, აუცილებელია რეგიონული ძრილით ველნეს ტურიზმის პოპულარიზაციის გაზრდა. შიდა ტურიზმის წასახალისებლად ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ახალი კამპანია წამოიწყო. „აღმოაჩინე ის, რაც შენია – იმოგზაურე საქართველოში.“ ამ სლოგანით ადმინისტრაცია მედიასაშუალებებით: სატელევიზიო რეპორტაჟების, ბლოგების მომზადებით, სოციალური ქსელებით და საინფორმაციო სააგენტოებით ინფორმაციის მიწოდებით ყველა რეგიონში შიდა ტურიზმის პოპულარიზაციას მოახდენს (ერქომაიშვილი გ. 2024), მათ შორის ველნეს ტურიზმის მიმართულებით.

### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები, საკვლევ პრობლემათიკასთან დაკავშირებული თანამედროვე ქართული და უცხოური ლიტერატურა, საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების მასალები, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და სხვ. წყაროები. საქართველოში ველნეს ტურიზმის განვითარებისა და მოლოდინების ტენდენციების გამოსაკვეთად ჩატარებული კვლევა დაეფუძნა Google Drive-ის ჩაშენებულ აპლიკაციაში განთავსებული ონლაინ ანკეტით საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვას და ჩაღრმავებულ ფიზიკურ პირდაპირ ინტერვიუებას ფოკუს ჯგუფებში რეგიონული ძრილით.

## ველნეს ტურიზმის გლობალური მასშტაბები


მსოფლიოში გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით, ველნეს ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და მოთხოვნად სახეობას წარმოადგენს. თუმცა, მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით, გეოგრაფიული სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ დიფერენცირებულია ველნეს ტურიზმით დაინტერესებისა და შიდა და საერთაშორისო ველნეს ტურიზმის თანაფარდობის მაჩვენებლები. ველნეს ტურიზმი დასვენებისადმი ახალი მიდგომაა. მდგრადობის მთავარი წინაპირობა ამ ტურისტული პროდუქტის განვითარებაა, მწვანე გარემო, თერმული წყაროები, მთები და ლანდშაფტის რეკრეაციული პოტენციალი (Staneva 2019,27). ტურიზმის მენეჯმენტში სპეციფიკური მიდგომაა საჭირო ტურისტული რესურსების ინტელექტუალური (ჰკვიანური) მართვისთვის (Erdem A., Seker F. 2022). ამიტომაც, თუ გავითვალისწინებთ ინტელექტუალური ტურიზმის ფილოსოფიას, რომელიც ეფუძნება ინოვაციურ მეთოდებს, ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას, ცხადი გახდება, რომ აუცილებელია საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენება, ახალი ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, ვირტუალური და რეალური სამყარო. ტურიზმის პროდუქტების მდგრადობაზე დადებით გავლენას მოახდენს ტექნოლოგიური ინოვაციებისა და პრაქტიკის გამოყენება (Lee at all., 2018,488).

ტურიზმის სფეროში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ ველნეს ტურიზმი მსოფლიოში, ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და მოთხოვნად ტურიზმის სახეობად ჩამოყალიბდა.

გლობალური ველნეს ინსტიტუტის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, ველნეს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით 24.2%-ით, ხოლო 2020-2022 წლებში საშუალოდ 30%-ით გაიზარდა. მსოფლიოში ზოგადად, ველნეს ტურიზმი 50%-ით უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე საერთოდ ტურიზმი (<https://www.marketer.ge/wellness-tourism-benefits/>). ადამიანები სულ უფრო მეტ თანხას ხარჯავენ ველნეს მოგზაურობისას, რაც ცხადია, ინდუსტრიის ზრდაზე დადებითად აისახება. გლობალური ველნეს ინსტიტუტის ანგარიშით, ველნეს ტურიზმის ბაზრის ზომა 2022 წელს შეფასდა 814,6 მლრდ აშშ დოლარად. თუ საშუალოდ ყოველწლიურად ბაზრის ზომა 12.5% -ით გაიზრდება, მაშინ ის 2027 წელს 1450.6 და 2030 წელს კი 2096.3 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდება (იხ.დიაგრამა 1), (Global Wellness Tourism Market Size&Outlook,2022/2030).

## გლობალური ველნეს ტურიზმის ბაზრის მოცულობის დინამიკა და პროგნოზი (მლრდ აშშ დოლარი)

დიაგრამა 1.



წყარო: <https://www.grandviewresearch.com/horizon/outlook/wellness-tourism-market-size/global>

ბაზრის ზომისა და საშუალონლიური ზრდის ტემპებით, 2020-2022 წლების რანჟირების მიხედვით, ქვეყნების ათეულში შედის აშშ 1.8 ტრლნ აშშ დოლარითა და 114% ზრდის ტემპით, ჩინეთი შესაბამისად - 790 მლრდ აშშ დოლარითა და 109.9%-ით, გერმანია - 269 მლრდ აშშ დოლარითა და 116.8%-ით, იაპონია - 241 მლრდ აშშ დოლარითა და 96.1%-იანი ზრდის ტემპით, დიდ ბრიტანეთში დაფიქსირდა 224 მლრდ აშშ დოლარი და 119.4%, საფრანგეთის ბაზრის ზომა - 172 მლრდ აშშ დოლარი და ზრდის ტემპი 111.6%-ია, ინდოეთის - 132.5 მლრდ აშშ დოლარი და 116.5%, კანადის - 128 მლრდ აშშ დოლარი და 113.5% (Global Wellness Institute Ranks 145 Countries by Wellness Market Size, 2024). გლობალურად, ველნეს ეკონომიკის წილი მთლიანი მშპ-ს 5.6%-ს შეადგენს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ყოველი 20 „დოლარიდან“ დაახლოებით 1 დოლარი მსოფლიოს მასშტაბით იხარჯება ველნესზე. ამავე ანგარიშის მიხედვით, ველნეს ტურისტთა რაოდენობით უპირობო ლიდერი აშშ-ია 195,4 მლნ ადამიანით, შემდეგ გამოირჩევა გერმანია - 61.6 მლნ და საფრანგეთი - 36.1 მლნ ტურისტით და ა.შ. (Global Wellness Institute Ranks 145 Countries by Wellness Market Size, 2024).

სტატისტიკური მონაცემები მსოფლიოს მასშტაბით, ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას კვეთს - სწრაფად იზრდება ველნეს ტურიზმი და ტურისტული ხარჯების მოცულობაც მზარდია. ეს განსაკუთრებული ინტენსივობით გამოვლინდა კოვიდ-19 პანდემიის შემდეგ, როდესაც მუშაობის ჰიბრიდული მოდელის უფლებამ ძლიერი სტიმული მისცა ადამიანებს ჯანმრთელი ცხოვრების წესის განვითარებაში (Staneva, Marinov 2022, 21). დრომ მოიტანა ჯანმრთელობისადმი ახლებურად მიდგომის ფორმირება და ტურისტული რესურსების ინტელექტუალური (ჭკვიანი) მართვის აუცილებლობა (Staneva, Marinov, 2023, 61).

მსოფლიოში რეგიონების მიხედვით ველნეს ტურიზმში ლიდერი ევროპაა 300.6 მლნ ვიზიტით, მაგრამ ჩრდილოეთ ამერიკის, ახლო აღმოსავლეთისა და

ჩრდილოეთ აფრიკის რეზიდენტები გაცილებით მეტს ხარჯავენ ველნეს ტურიზმზე. თუ საშუალოდ ევროპელები ერთი ვიზიტისას 834 აშშ დოლარს ხარჯავენ, ჩრდილოეთ ამერიკელები - 1250-ს და ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეზიდენტები - 1354 აშშ დოლარს. თუ გადავხედავთ 2020-2022 წლებში მსოფლიოს რეგიონების მიხედვით ველნეს ტურისტული ხარჯების ჩაშლილ მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ აქ ლიდერი ჩრდილოეთ ამერიკაა 266.8 მლრდ აშშ დოლარით (იხ. ცხრილი 1), სადაც ველნეს ტურისტული ხარჯები იმავე პერიოდში 31.4%-ით გაიზარდა. თუმცა, 2022 წელს წინა წელთან შედარებით, ხარჯების მატების ტემპით 41.7%-ით, ლიდერობს ევროპა. აღსანიშნავია, რომ მთელს მსოფლიოში საშუალოდ ველნეს ხარჯების 2022 წლის მატების ტემპმა 36,2% შეადგინა (GWI-WE-Monitor-2023, 2023).

### ველნეს ტურიზმის ხარჯები მსოფლიოს რეგიონების მიხედვით

ცხრილი 1.

ველნეს ტურისტული ხარჯები, მლრდ აშშ დოლარი					ერთ კაცზე 2022	მატების/ კლების ტემპი %	
	2019	2020	2021	2022		2020/ 2019	2022/ 2020
ჩრდილოეთ ამერიკა	277.4	154.4	205.5	266.8	716.87	-44.3	31.4
ევროპა	248.2	124.9	175.8	250.7	272.30	-49.7	41.7
აზია-წყნარი ოკეანის აუზი	145.4	51.2	56.5	85.1	20.1	-64.8	29.9
ლათინური ამერიკა- კარიბის ზღვის აუზი	31.9	12.7	19.5	29.4	44.49	-60.1	52.0
ახლო აღმოსავლეთი ჩრდილოეთ აფრიკა	12.1	5.2	6.9	13.6	25.57	-57.0	61.5
სუბსაჰარის აფრიკა	5.5	2.1	2.6	5.0	4.15	-60.8	53.1
მსოფლიო	720.4	350.6	466.8	650.7	81.82	51.3	36.2

წყარო: GWI-WE-Monitor-202, 2023

ქვეყნების მიხედვით ხარჯების დეტალურად ჩაშლილი მონაცემები აჩვენებს შეჭრილ სტრუქტურას, რამდენადაც ქვეყნების ათეული სხვადასხვა რეგიონების ქვეყნებს მოიცავს (იხ. ცხრილი2).



**ველნეს ტურიზმი: ქვეყნების ტოპ ათეული**

ცხრილი 2.

ველნეს ტურისტული ხარჯები მლრდ აშშ დოლარი					რანგი 2022	მატების/ კლების ტემპი %		ტურისტ- თა რაო- დენობა, მლნ
	2019	2020	2021	2022		2020/ 2019	2022/ 2020	2022
აშშ	263.5	147.3	198.7	255.9	1	-44.1	31.8%	195.4
გერმანია	73.5	31.2	48.5	70.2	2	-57.5%	49.9%	61.6
საფრანგეთი	34.7	22.1	28.9	35.5	3	-36.4	26.9%	36.1
ავსტრია	18.9	11.9	11.4	19.5	4	-36.8	27.9%	16.7
შვეიცარია	15.5	9.4	11.0	17.7	5	-39.7	27.3%	11.3
იაპონია	26.6	10.3	10.6	17.6	6	-61.4	31.1%	34.5
იტალია	14.5	7.5	10.9	15.7	7	48.3	44.6%	11.6
გაერთიან- ბული სამეფო	15.1	4.9	11.4	15.9	8	-67.6	78.7%	23.6
ავსტრალია	14.0	7.9	9.9	14.4	9	-43.9	35.4%	11.9
მექსიკა	12.5	5.9	10.2	13.8	10	-53.3	53.3%	17.5

**წყარო:** GWI-WE-Monitor-2023, 2023


როგორც ტურისტთა რაოდენობის, ასევე ველნეს ტურისტული ხარჯებით 255.9 მლრდ აშშ დოლარით, ლიდერი აშშ-ია, რაც 2020-2022 წლებში 31.8%-ითაა გაზრდილი და მეორე ადგილზე მყოფი გერმანიის ხარჯებს 3.6 ჯერ აღემატება, მაგრამ იმავე პერიოდში გერმანიაში ველნეს ხარჯების მატების ტემპი 18.1%-ით აღემატება აშშ-ს შესაბამის მონაცემს. გასათვალისწინებელია, რომ აშშ-ს ველნეს ტურისტულ ხარჯებს ჩრდილოეთ ამერიკის ხარჯების 95.9% უჭირავს. შესაბამისად, კანადას - 4.1%, ველნეს ტურისტული ხარჯების ყველაზე მაღალი მატების ტემპი - 78.7% დაფიქსირდა გაერთიანებულ სამეფოში, თუმცა, ხარჯების ჯამური მოცულობით ათეულში ჯერჯერობით მე-8 ადგილს იკავებს.

ველნეს ტურიზმში საერთაშორისო და შიდა ტურიზმის წილის მაჩვენებლები სხვადასხვა, რადიკალურად განსხვავებული მაჩვენებლებია რეგიონების მიხედვითაც. თუ ჩრდილოეთ ამერიკაში ველნეს ტურიზმში უმეტესი, 96% შიდა, ადგილობრივ ველნეს ტურიზმს უჭირავს, აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში პირიქითაა და 95% საერთაშორისო ველნეს ტურიზმზე მოდის. სხვა დანარჩენი რეგიონისთვის შიდა ველნეს ტურიზმის წილი 57%-81% დიაპაზონის ფარგლებშია და უპირატესია შიდა ველნეს ტურიზმთან შედარებით, მხოლოდ

შუა ღმოსავლეთი გამოირჩევა თანამაბარი პროცენტული მაჩვენებლებით(GWI-WE-Monitor-2023\_FINAL.pdf, 2023,59), (იხ.დიაგრამა 2).

**ველნეს ტურიზმის მახასიათებლები მსოფლიოს რეგიონების მიხედვით**

დიაგრამა 2.



წყარო: GWI-WE-Monitor-2023, 2023.

როგორც აღვნიშნეთ, გლობალური ველნეს ტურიზმის ბაზრის ზომა მოსალოდნელია ყოველწლიურად 12.42%-ით გაიზარდოს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ველნეს ტურიზმი ეხება ისეთ ტურისტულ აქტივობას, რაც მიზნად ისახავს ინდივიდის ფიზიკური მდგომარეობისა და გონებრივი, სულიერი კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ტურისტები ეწევიან ფიზიკურ, სულიერ და გონებრივ აქტივობას იოგას, სპა-სპა, მედიტაციისა და პილატესის პრაქტიკით და ცხელი წყაროს კურორტების მონახულებით (Wellness Tourism Market Size, Share & Trends Analysis Report By Service. Lodging, Wellness Activities, 2023).

სწორედ ამით განსხვავდება ველნეს ტურიზმი სამედიცინო ტურიზმისაგან. ველნეს ტურიზმი მთლიანად ფოკუსირებულია დაავადებების პრევენციაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესსა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მაშინ როდესაც სამედიცინო ტურიზმი გულისხმობს უკვე დასმული დიაგნოზის პირობებში მკურნალობისთვის საჭირო გადაადგილებას ჩვეულებრივი სამყოფელიდან. ფაქტობრივად, ველნესი ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას აერთიანებს, რაც დაავადების პრევენციას, მკურნალობას და რეაბილიტაციას გულისხმობს. გამოდის რომ ველნესი ადამიანის მიერ თავისი ჯანმრთელობის რესურსების მართვის პროცესთან არის დაკავშირებული, ამიტომაც, მთელ მსოფლიოში სწრაფად მზარდ და განვითარებად ინდუსტრიად ჩამოყალიბდა. ველნეს ტურისტების მზარდმა ნაკადმა განაპირობა სერვისების მრავალფე-

როვნება და განსაკუთრებით, სპა თერაპიის გამოყენება.რა თქმა უნდა, ეს აისახება ტურისტული ხარჯების გაზრდილ მოცულობაზე. ეს კი, ცხადია, დადებით გავლენას მოახდენს მთლიან ტურისტულ ბაზარზე.

## ველნეს ტურიზმის განვითარების სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში

ჩვენ ქვეყანაში ველნეს ტურიზმი განვითარების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, თუმცა, საქართველოში არის იმის პოტენციალი, რომ გახდეს ველნეს ტურიზმით მიმზიდველი ქვეყანა (Abesadze & Abesadze, 2022). პოპულარიზაციის ზრდის პარალელურად არსებობს შესაძლებლობა მრავალფეროვანი მომსახურებით შეფუთული ტურისტული პაკეტებით: ესთეტიური მედიცინის, პლასტიკური ქირურგიის, დენტალური მედიცინის, ბალნეოლოგიური და სხვა სახეობის მომსახურების უზრუნველსაყოფად. ამასთან, საქართველოში 2400-მდე სახეობის ბუნებრივი წყლის წყარო არსებობს, თუმცა ტურისტული და გამაჯანსაღებელი თვისებების თვალსაზრისით მათი ცნობადობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. გოგირდის წყლები, საირმის, წყალტუბოს, ახტალას და სხვ. გამაჯანსაღებელი პროცედურები, ბორჯომის, ნაბეღლავის, ლიკანის, სნოს, მუხურის „ლუგელას“ (რომელიც თავის ბუნებრივი შემადგენლობით უნიკალურია) და სხვ. ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული მალახარისხოვანი ტურისტული პაკეტების მრავალფეროვნება, სწორი მიდგომისა და შეფასებების შედეგად, საქართველოს ველნეს ტურიზმის განვითარების აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ. საინტერესო ფაქტია, რომ ქვეყნის ამ ნიშნით მიმზიდველობა მზარდია ცენტრალური აზიის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. საირმის, წყალტუბოს, ბორჯომის საკურორტო ზონების უცხოელი ვიზიტორების დიდი ნაწილი სწორედ ამ ქვეყნების რეზიდენტები არიან. საირმეში, ბორჯომსა და წყალტუბოში მათთან პირდაპირი ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას თავიანთი ქვეყნის ტურისტულ კომპანიებში შეძენილი აქვთ სრული სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების მომცველი პაკეტები. განსაკუთრებით მიმზიდველი მათთვის იყო თერმული სპა და ველნეს სერვისები, სადაც ყველა პროცედურა თერმული წყაროებით კეთდება, ტრენდულია წყალტუბოს კლასიკური სამკურნალო მასაჟი და ელექტრო-თერაპიული (ფიზიო-თერაპიული) პროცედურები მინერალური-რადონული წყლის აბაზანები, ბორჯომის ვულკანური წარმოშობის მინერალური წყლები, მარადმწვანე ტყეები, პარკები და სხვ. ჩადსანიშნავია ველნეს კურორტ ბიოლის უნიკალური ღირებულებები, რაც პირველ რიგში ორგანიზმის გაჯანსაღებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების მართვას უკავშირდება. ბიოლის ტექნოლოგიები, თანამედროვე მედიცინის მიღწევები და ქართული ველნეს ტრადიციები, ენდემურ ფიტორესურსებთან ერთად, მძლავრ კომბინაციას ქმნის, რომელსაც პრევენციულ მედიცინაში ანალოგი არ აქვს. მთის სამ-

კურნალო ჰაერი, ფიტორესურსებით მდიდარი მენიუ, გამაჯანსაღებელი ფიზიკური აქტივობა და უნიკალური პროცედურები სულ რამდენიმე დღეში დამსვენებელს ავსებს ენერჯით და სიცოცხლის ხალისს უბრუნებს (<https://www.bioli.ge/ge/programs>, 2024). ველნეს კურორტის პროგრამები: სტრესის მენეჯმენტი, მოძრაობის თავისუფლება, მდგრადი იმუნიტეტი, წონის მენეჯმენტი, კოტიმალური დეტოქსი, ძილის ხელოვნება, პროგრამა ინტროპრემიუმ „განახლება“ და სხვა არის ის, რაც ბიოლის ველნესს უნიკალურს ხდის. აღსანიშნავია, რომ ველნეს კურორტზე მომხმარებელთა 99% უცხოელები არიან (<https://bm.ge/news/qartuli-velnes-turizmi---motxovna-da-perspeqtivebi/136958>).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს, ველნეს ტურიზმის განვითარების პოტენციალიც არის და უცხოელი ვიზიტორების მხრიდან დაინტერესებაც. ცენტრალური აზიის გარდა საქართველოთი დაინტერესება იზრდება ევროკავშირის და მეზობელი ქვეყნებიდანაც. თუმცა, ვფიქრობთ საჭიროა ველნეს კურორტების, ინტენსიური ასახვა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საპრომოციო მასალებში, ეს იქნება ვიდეო კლიპები, ბროშურები და ა.შ. მიზანშეწონილი იქნება თემატური შეხვედრები როგორც ონლაინ ფორმატში, ისე საერთაშორისო გამოფენების ფარგლებში, დაინტერესებულ ტურ-ოპერატორებთან, ველნეს ტურიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოში პრეს და ინფოტურების გამართვას. ეს საშუალებას მისცემს სტუმრებს გაეცნონ ველნეს ტურიზმის პრიორიტეტებს და ხელმისაწვდომი გახადონ დანარჩენი მსოფლიოსთვის, რომ საქართველოშიც შეიძლება დაავადების პრევენცია, რეაბილიტაცია, ჯანმრთელობის გაჯანსაღება და ა. შ. ისეთ ველნეს კურორტებზე, როგორცაა წყალტუბო, თავისი სამკურნალო წყლით, რომელსაც, როგორც ბუნების უნიკალურ საჩუქარს, "უკვდავების წყაროს" უწოდებენ, საირმე, თავისი 4 სხვადასხვა სამკურნალო თვისების და 1 თერმული წყაროთი, ბახმარო, უნიკალური კლიმატური ჰარმონიით, რაც მიიღწევა მთისა და ზღვის შერეული ჰავით თავისი პროფილაქტიკური და პულმონოლოგიური პროფილით. აბასთუმანი, ფტიზიატრიული პროფილითა და ართროლოგიური დაავადებების სამკურნალოდ, ახტალა, თავისი სამკურნალო ტალახებით ძვალ-სახსროვანი, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური, დერმატოლოგიური, უროლოგიური და სხვა დაავადებებისათვის, მუხური უნიკალური წყლით - ლუგელა, რომელიც ქლორიდულ-კალციუმიან მინარევს წარმოადგენს, ანტიალერგიული, ანტიბაქტერიული, ანტირაქტიული, ანტიანთებითი თვისებებით და ა. შ. ტურიზმის პოპულარიზაციათან ერთად მოხდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მათი ცნობადობისა და იმიჯის კიდევ უფრო ამაღლება, ამასთან, ვფიქრობთ საჭიროა გაიზარდოს გლობალური ველნეს ინსტიტუტის (GWI) მიერ განსაზღვრული როგორც პირველადი (ისინი ორიენტირებული არიან კონკრეტულად ველნეს ტიპის დასვენებაზე, მენტალური, ან ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სამკურნალო, კლიმატურ-ბალნეოლოგიურ რეზორტებზე), ასევე მეორადი მოგზაურების რაოდენობა (რომელთა მო-

ტივაცია შესაძლებელია იყოს ჯანსაღი ცხოვრების სტილის შენარჩუნება, განტვირთვა და რელაქსაცია, რიგითი საქმიანი ან ოჯახური მოგზაურობის დროს). სერვისების მრავალფეროვნებისა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ დიდწილად ველნეს ტურისტები გადახდისუნარიანი მოგზაურები არიან. ამიტომ, მათი მეტად მოზიდვა გამაჯანსაღებელ კურორტებზე პოზიტიურად იმოქმედებს როგორც კომპლექსების, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გლობალური ველნეს ინსტიტუტის ანგარიშით 2022 წლის მეორადი ველნეს მოგზაურები შეადგენდნენ ველნეს მოგზაურობების 88%-ს და მათ მიერ განეული ხარჯები ველნეს ტურიზმის ხარჯების 85% იყო (<https://globalwellnessinstitute.org/press-room/statistics-and-facts/>).

საინტერესოა, როგორია საქართველოს რეზიდენტების ველნეს კურორტების ცნობადობის ხარისხი და მოხდა თუ არა ველნესისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ტრანსფორმაცია. ამის შესასწავლად, მოვახდინეთ საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა, Google Drive-ის ჩაშენებულ აპლიკაციაში ანკეტის სოციალურ ქსელებში გაზიარების საფუძველზე. ამასთან განხორციელდა პირდაპირი ინტერვიუება წყალტუბოს, საირმის, ბორჯომის, აბასთუმნის ლოკაციებზე. კონფიდენციალობის პირობის სრულად დაცვის პირობებში მოხდა მათი პასუხების განზოგადებული სახით სტატისტიკური კვლევის მიზნით გამოყენება. კვლევა მოიცავდა საქართველოს 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის გამოკითხვას, რომლებიც სამიზნე პერიოდის განმავლობაში ესტუმრნენ საქართველოს ველნეს კურორტებს.


მთავარი იყო ველნეს ტურიზმის სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება, რომელიც მოიცავდა კითხვარის მომზადებას, დაკვირვების, ვადების, პასუხების მიღების ფორმის, წესების, მოცვის არეალის და ა.შ. საკითხებს. არსებული მეთოდოლოგიით მონაცემების განზოგადება ხდებოდა სამიზნე პერიოდზე. შედეგების შენონვა და იმპუტაცია განხორციელდა პერიოდის კონკრეტული თვის მიხედვით. შერჩევის პოპულაცია 95%-იანი ალბათობის და შერჩევის 5%-ინი შეცდომის პირობებში 385 ადამიანით განისაზღვრა. როგორც ძირითადად, ასევე საპილოტე კვლევამ აჩვენა, აქტიური და კვლევისადმი კეთილგანწყობილნი აღმოჩნდნენ 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეები, განსაკუთრებით ქალები.

საქართველოში მკურნალობა-გაჯანსაღების მიზნით ვიზიტების რაოდენობა მეტ-ნაკლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მართალია, 2021 და 2023 წლებში, წინა წლებთან შედარებით, შესაბამისად 140.8% და 111.7%-ანი ზრდის ტემპი დაფიქსირდა, მკურნალობა - გაჯანსაღების მიზნით ვიზიტების წილის მაჩვენებლის დინამიკა ვიზიტების საერთო რაოდენობაში კლების ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2015 წელს მისი წილი 10.3% იყო, 2019 წელს ის 8.8%-მდე დაეცა, 2023 წელს 8.5% შეადგინა. საინტერესოა და დამაფიქრებელი სტატისტიკაა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: ჯერ ერთი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება ხდება ადგი-

ლობრივად, ხდება საცხოვრისის დაუტოვებლად, მეორე, ავადობის სტატისტიკა კლების ტენდენციით ხასითდება და მესამე, მატერიალური მდგომარეობის გამო, მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც საჭიროებს აღნიშნულ სერვისებს, ვერ ახერხებს საჭირო მომსახურების მიღებას მაღალი ფასის გამო. როგორც კვლევამ აჩვენა, რეგიონული ძრილით სამედიცინო მომსახურების მიღების მაჩვენებლები მზარდია, ავადობის სტატისტიკა მზარდია, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის დროს განეული ხარჯების მოცულობა მზარდია, მაგრამ მზარდი ადგილობრივი ტურიზმის ფონზე, ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში იკლებს მკურნალობა-გაჯანსაღების მიზნით ვიზიტების რაოდენობის მაჩვენებლები (იხ.დიაგრამა 3).

**მკურნალობა - გაჯანსაღების მიზნით ვიზიტების რაოდენობის, ზრდის ტემპებისა და პროცენტული წილის(%) დინამიკა საქართველოში**

დიაგრამა 3.




**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ტურიზმის სტატისტიკის პორტალი <https://tourism.geostat.ge/categories/CDefaultIndicators>

ფაქტია, რომ ტურიზმის აქტივობის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს მოსახლეობის შემოსავლები წარმოადგენს. ველნეს ტურიზმის შემთხვევაშიც მოსახლეობის შემოსავლები მჭიდრო, პირდაპირ კორელაციურ კავშირშია ველნეს ტურისტული ვიზიტების რაოდენობასთან, რაც დადასტურდა ჩვენ მიერ გაანგარიშებული პირსონის თეორიული კორელაციის კოეფიციენტით, რომელიც 0.82 გამოვიდა. მაგრამ, ფაქტია, ველნეს ტურისტული ხარჯების მოცულობა დიდად არ იზრდება. ზოგადად, პანდემიამდე 2015 წლიდან 2019 წლამდე მცირდებოდა მკურნალობა-გაჯანსაღებაზე განეული ტურისტული

ხარჯების მოცულობა. 2019 წელს კი წინა წელთან შედარებით ის 8.8%-ით გაიზარდა. პანდემიის შემდგომ კი, 2021 წელს წინა წელთან შედარებით, 56.1%-იანი მატება დაფიქსირდა, რომელიც შენარჩუნდა 2022-2023 წლებშიც, შესაბამისად 8.6% და 4.5%-ის დონეზე და 2023 წელს 491266.52 ათასი ლარი შეადგინა. ხარჯების გაზრდის მიუხედავად, მცირდება მკურნალობა-გაჯანსაღების მიზნით გაწეული ტურისტული ხარჯების საერთო ტურისტულ ხარჯებში წილის მაჩვენებელი, რომელიც ბოლო, 2023 წლის მონაცემებით, 14.7%-ის დონეზეა (იხ. დიაგრამა 4). ვფიქრობთ საჭიროა დაავადებათა პრევენციის, პროფილაქტიკური და გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ვიზიტების პოპულარიზაციის გაზრდის შესაძლებლობების განსაზღვრა და სწორი, მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება ამ მიმართულებით.

**მკურნალობა - გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ხარჯების (ათასი ლარი), ჯაჭვური ზრდის ტემპებისა და ტურისტულ ხარჯებში მისი წილის დინამიკა(%)**

დიაგრამა 4.




**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. გუჩიზმის სტატისტიკის პორტალი <https://tourism.geostat.ge/categories/CDefaultIndicators>

ხარჯების შემცირების პარალელურად, ლოგიკურია, რომ მცირდება მკურნალობა, გაჯანსაღების მიზნით ტურიზმის ხანგრძლივობის მაჩვენებლებიც. ღამეების საშუალო რაოდენობა 2022-2023 წლის 1.7-დან 2023 წელს 1.2-მდე შემცირდა (იხ. დიაგრამა 5).

**მკურნალობა - გაჯანსაღების მიზნით ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა**

დიაგრამა 5.



**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ტურიზმის სტატისტიკის პორტალი <https://tourism.geostat.ge/categories/CDefaultIndicators>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, გამოყოფილია და შესამაბისად ფიქსირდება მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით განხორციელებული ვიზიტებისა და ამის ბაზაზე გაანგარიშებული მონაცემების დინამიკა 2015 წლიდან მხოლოდ ადგილობრივი ტურიზმისათვის, რადგან საერთაშორისო ვიზიტებისას იმდენად მცირეა ამ მიზნით ქვეყანაში შემოსულთა პროცენტული წილი, რომ მისი ცალკე გამოყოფა არ ხდება. ასეთი სიტუაცია, როგორც ვნახეთ, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და საქართველო გამონაკლისს არ წამოადგენს.


სწორედ ამიტომ, ველნეს ტურიზმის განვითარებისა და სამომავლო ტენდენციების შესაფასებლად, ჩვენ მიერ გამოკითხულ იქნა საქართველოს რეზიდენტები. სამწუხაროდ, მათი 14%-ს არ სმენია ველნეს ტურიზმის შესახებ. ინფორმირებულთაგან 78.8%-მა ისარგებლა ველნეს ტურიზმითა და შესაბამისი მომსახურებით და ეს იყო სრულად ადგილობრივი ველნეს ტურიზმი. გამოკითხულთა 53.8% ესტუმრა საირმეს, 38.5% - ბორჯომს, 23.1% - წყალტუბოს, 7.7% ახტალას.

განსხვავებული სერვისებით სარგებლობისას რესპონდენტთა 69.2%-მა იმოგზაურა ოჯახის წევრებთან, 15.4%-მა - კოლეგებთან, ხოლო 30.8%-მა - მეგობრებთან ერთად. როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტების 40.7%-მა იმოგზაურა სარეაბილიტაციო, ხოლო 15%-მა გამაჯანსაღებელი პროცედურების მიღების მიზნით, ხოლო 11%-მა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, 10.3%-მა პროფილაქტიკური მიზნით (იხ. დიაგრამა 6).



**რესპონდენტების განაწილება ველნეს მოგზაურობის მიზნის მიხედვით(%)**

დიაგრამა 6.




**წყარო:** ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები

მოგზაურობის ხანგრძლივობის მიხედვით მოდალური ინტერვალი აღმონდა 4-8 დღე, ხოლო 10 დღეზე მეტი ვადით იმოგზაურა გამოკითხულთა მხოლოდ 7.7%-მა. როგორც ვხედავთ, საქართველოს რეზიდენტები მოკლევადიან ტურიზმს ანიჭებენ უპირატესობას. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (58.3%) ისარგებლა სასტუმროთი და 25%-მა ახლობლის ბინით. საინტერესოა, რომ თითქმის თანაბრად განაწილდა რესპონდენტები განეული ხარჯების მოცულობის მიხედვით. თუ 500 ლარამდე დახარჯა რესპონდენტების 22.6%-მა, 501-1000-მდე - 24.8%-მა, 1001-1500 ლარამდე- 24.2%-მა, 1501-2000 -მდე 20%-მა და 2001- ზე მეტი - 8.4%-მა (იხ.დიაგრამა 7).

**რესპონდენტების განაწილება განეული ხარჯების სიდიდის მიხედვით (%)**

დიაგრამა 7.




**წყარო:** ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები

საქართველოს რეზიდენტების 80% თვლის, რომ ველნეს ტურიზმის განვითარების მთავარ ფაქტორს საქართველოში ბიუჯეტური განთავსების საშუალებები წარმოადგენს, 61%-ს მიაჩნია რომ მნიშვნელოვანია მომსახურების დაბალი ფასები, 75%-ის აზრით, აუცილებელია მომსახურების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ყველაზე მეტი - 85% კი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტური ტურ-პროდუქტებიც უნდა არსებობდეს (იხ. დიაგრამა 8).

**რეპონდენტების განაწილება ველნეს ტურიზმის განვითარების ფაქტორების მიხედვით (%)**

დიაგრამა 8.




**წყარო:** ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები

ველნეს ტურიზმის მიმზიდველობის გასაზრდელად, რეპონდენტების 68%-ის აზრით, აუცილებელია მოსახლეობის ინფორმაციულობის გაზრდა, 45% თვლის რომ საჭიროა თემატური შეხვედრების გამართვა, 98%-ს მიაჩნია, რომ საჭიროა უფასო / შეღავათიანი ფასის მქონე პაკეტების აქციები საქართველოს რეზიდენტებისთვის, 75%-ისათვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება და სხვა (იხ. დიაგრამა 9).

### რესპონდენტების განაწილება ველნეს ტურიზმის მიმზიდველობის ზრდის ფაქტორების მიხედვით(%)

დიაგრამა 9.



**წყარო:** ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები

### დასკვნა

მსოფლიო მასშტაბით სწრაფად იზრდება ველნეს ტურიზმი და ამ მიმართულებით ტურისტული ხარჯების მოცულობაც მზარდია. თუმცა, მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით, დიფერენცირებულია ველნეს ტურიზმით დაინტერესებისა და შიდა და საერთაშორისო ველნეს ტურიზმის თანაფარდობის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

საქართველოში ველნეს ტურიზმის განვითარების პოტენციალი არის. ცენტრალური აზიისა და ევროკავშირის გარდა, ველნეს ტურიზმით დაინტერესება იზრდება მეზობელი ქვეყნიბიდანაც.

მოსახლეობის შემოსავლები მჭირდო, პირდაპირ კორელაციურ კავშირშია ველნეს ტურისტული ვიზიტების რაოდენობასთან, ამიტომ, აუცილებელია მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაზრდა. ამასთან, ვფიქრობთ, საჭიროა დაავადებათა პრევენციის, პროფილაქტიკური და გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ვიზიტების პოპულარიზაციის გაზრდის შესაძლებლობების განსაზღვრა და სწორი, მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება ამ მიმართულებით.

რეგიონული ქრითით სამედიცინო მომსახურების მიღების მაჩვენებლები და ავადობის სტატისტიკა მზარდია, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის დროს გაწეული ხარჯების მოცულობაც მზარდია, მაგრამ მზარდი ადგილობრივი ტურიზმის ფონზე იკლებს ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში მკურნალობა- გაჯანსაღების მიზნით ვიზიტების რაოდენობის მაჩვენებლები.

ვფიქრობთ, საჭიროა ველნეს კურორტების, ინტენსიური ასახვა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საპრომოციო მასალებში (ვიდეოკლიპები, ბროშურები და ა.შ.). ასევე, მიზანშეწონილი იქნება თემატური შეხვედრები ონლაინ ფორმატში, საერთაშორისო გამოფენების ფარგლებში და ა.შ. დაინტერესებულ ტუროპერატორებთან.

ველნეს ტურიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოში პრეს და ინფოტურების გამართვას. ეს საშუალებას მისცემს სტუმრებს გაეცნონ ველნეს ტურიზმის პრიორიტეტებს და ხელმისაწვდომი გახადონ დანარჩენი სამყაროსთვის, რომ საქართველოშიც შეიძლება დაავადების პრევენცია, რეაბილიტაცია, ჯანმრთელობის გაჯანსაღება და ა.შ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტურიზმისთვის, რადგან საქართველოში თანაფარდობა შიდა და საერთაშორისო ველნეს ტურისტებს შორის დინამიკაში - 2015 წლიდან შიდა ტურიზმის უპირობო უპირატესობას ადასტურებს.

შიდა ველნეს ტურიზმის განვითარების მოლოდინების შესაფასებლად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს რეზიდენტები მოკლევადიან ველნეს ტურიზმს ანიჭებენ უპირატესობას. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი - 58.3%-სთვის განთავსების საშუალებებიდან მისაღები აღმოჩნდა სასტუმრო და 25%-სთვის - ახლობლის ბინა. დივერსიფიცირების მაღალი ხარისხი გამოიკვეთა ველნეს ტურისტულ ხარჯებში, რამდენადაც თანაბარი იყო ხარჯების ინტერვალების პროცენტული წილის მაჩვენებლები, რაც სხვადასხვა მოცულობის ხარჯების განევაზე მიუთითებს.

რისო კვლევებით დასტურდება, რომ ისინი ყოველწლიურად ქმნიან ყოველი სამი ახალი სამუშაო ადგილიდან ორს. მცირე ბიზნესზე საგადასახადო ორგანოს მიერ, დაბეგვრასთან დაკავშირებით, შემუშავებულ და განხორციელებულ რეფორმებს/ცვლილებებს ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მათ სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობაზე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, მოხდეს თითოეული საგადასახადო რეფორმის თუ ცვლილების დეტალურად შეფასება და მონიტორინგი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მცირე ბიზნესისათვის მოქმედებს განსხვავებული საგადასახადო განაკვეთები. ზოგიერთ ქვეყანაში, საგადასახადო ტვირთი მაღალია და შესაბამისად, ის ძალიან დიდ გავლენას ახდენს სანარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ზოგიერთ ქვეყანაში კი, პირიქით მცირე ბიზნესების დაბეგვრის კუთხით, შემუშავებულია სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები, რომელიც ითვალისწინებს დაბალ საგადასახადო ტვირთს (Pomerleau K., 2015).

### **საგადასახადო ტვირთი მცირე ბიზნესისთვის აშშ-ში და მისი გავლენა ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაზე**

აშშ-ში, მცირე ბიზნესი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალს. SBA-ის (Small Business Administration) თანახმად, აშშ-ის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ფლობს ან მუშაობს მცირე ბიზნესში. ქვეყანაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის სფეროში საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების საკითხს. მასში იგულისხმება ისეთი ქმედებების შემუშავება, რაც საშუალებას იძლევა საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა კიდევ უფრო გამარტივდეს და შეამციროს გადასახადის გადამხდელების მიერ საგადასახადო ორგანოში ყოფნისას დახარჯული დრო. ამავდროულად, საგადასახადო ადმინისტრაცია საშუალებას იძლევა გამოიყენოს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები მცირე ბიზნესისთვის და შეამციროს ადმინისტრაციული დანახარჯებიც (Kaledin S., 2019, p. 1).

აშშ-ში არსებული საგადასახადო რეგულირების სისტემა და გადასახადები, თავის მხრივ, გამოირჩევა კომპლექსურობით, რასაც განაპირობებს ის, რომ გადასახადები დაწესებულია სამ ძირითად დონეზე: სახელმწიფო, ადგილობრივ და ფედერალურ დონეზე. გადასახადები, სამივე დონეზე, ერთმანეთისგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ასე, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი შემოღებულია სახელმწიფო და ფედერალურ დონეზე, საბაჟო გადასახადი დაწესებულია ფედერალურ დონეზე, რეალიზაციის გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე და ა.შ. აშშ-ში მეწარმეები დაყოფილია სამ კატეგორიად და შემოსავლების მიხედვით, საშემოსავლო გადასახადის განსხვავებული საპროცენტო განაკვეთები მოქმედებს (იხ.ცხრილი 1.). მაგრამ, თუ პირი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე კომპანიას წარმოადგენს, მაშინ საშე-

მოსავლო გადასახდის განაკვეთი მათთვის შემოსავლების მიუხდავად, ფიქსირებული 21%-ია (ბუკია, 2019, გვ. 37)

**მენარმეების საშემოსავლო გადასახადი განაკვეთები კეტგორიების მიხედვით აშშ-ში (2024 წ.).**

ცხრილი 1.

საგადასახადო განაკვეთი	ინდივიდუალური	ერთობლივი	საოჯახო ფირმა
10%	\$0 - \$11,600	\$0 - \$23,200	\$0 - \$16,550
12%	\$11,601 - \$47,150	\$23,201 - \$94,300	\$16,551 - \$63,100
22%	\$47,151 - \$100,525	\$94,301 - \$201,050	\$63,101 - \$100,500
24%	\$100,526 - \$191,950	\$201,051 - \$383,900	\$100,501 - \$191,950
32%	\$191,951 - \$243,725	\$383,901 - \$487,450	\$191,951 - \$243,700
35%	\$243,726 - \$609,350	\$487,451 - \$731,200	\$243,701 - \$609,350
37%	\$609,351 და მეტი	\$731,201 და მეტი	\$578,101 და მეტი

**წყარო:** U.S. IRS (U.S. Internal Revenue Service).

აშშ-ში, მცირე მენარმეებს შეუძლიათ, შეამციროს დასაბეგრი შემოსავალი, საგადასახადო შეღავათების გამოყენებით და გამოქვითვებით. მაგალითად, მათ შეუძლიათ ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითონ ისეთი ბიზნესსარჩებები, როგორცაა: საოფისე მარაგების, მარკეტინგის და მივლინების ხარჯები და ა.შ. მიმდინარე მდგომარეობით, მცირე ბიზნესს საშემოსავლო გადასახადთან ერთად, უწევს გადაიხადონ ისეთი გადასახადები, როგორცაა: თვითდასაქმების გადასახადი, აქციზის გადასახადი, რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის გადასახადი და ა.შ.

ყველა მცირე ბიზნესი, გარდა ამხანაგობისა, ვალდებულია საგადასახადო ორგანოში წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. ამხანაგობის ტიპის მცირე ბიზნესსუბიექტებმა კი, უნდა წარადგინონ მხოლოდ ზოგადი შემოსავლების ფორმა (ფორმა 1065), რადგან ამხანაგობის შემოსავალი გადაეცემა პარტნიორებს, რომლებიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან ინდივიდუალურად. გარდა ამისა, ინდივიდუალური მენარმეები და ცალკეული ამხანაგობები, ექვემდებარებიან თვითდასაქმების გადასახადის გადახდას. მიმდინარე მდგომარეობით, აღნიშნული გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15.3%-ს. მასში მოიაზრება, როგორც სოციალური უზრუნველყოფის,

ასევე სამედიცინო კუთხით უზრუნველყოფის გადასახადები. ინდივიდუალური მენარმეები და ამხანაგობები ასევე იბეგრებიან დასაქმების გადასახადით, თუ მათ თავიანთ ბიზნესში დასაქმებული ჰყავთ თანამშრომლები. დასაქმების გადასახადშიც შედის სოციალური უზრუნველყოფისა და მკურნალობის გადასახადები, რისთვისაც დასაქმებულები და თავად დამსაქმებლებიც იხდიან ნაწილს. ის ასევე, საშემოსავლო გადასახადის დასაფარავად, მოიცავს თანამშრომლის ანაზღაურების წყაროდან დაკავებულ შემოსავალს. იმ შემთხვევაში, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირები განახორციელებენ აქციზური საქონლის იმპორტს ქვეყნის ტერიტორიაზე, კერძოდ: ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ნაწარმის, სხვადასხვა სახის სანავის, საჭაერო ტრანსპორტის, სპორტული სათევზაო აღჭურვილობის, გარკვეული სახის ვაქცინების და ა.შ. სახით, მაშინ ისინი დაექვემდებარებიან აქციზის გადასახადის გადახდას. აქციზის გადასახადის დაწესება ხდება როგორც ფედერალური მთავრობის მიერ, ასევე, უშუალოდ შტატების მიერ. აქციზის განაკვეთი კი, დიფერენცირებულია სასაქონლო პოზიციებიდან გამომდინარე. აშშ-ში, მცირე ბიზნესის მფლობელები ვალდებულები არიან ასევე გადაიხადონ გაყიდვების ეროვნული გადასახადი, თუ ისინი ახორციელებენ საქონლის ან მომსახურების რეალიზაციას (Daugherty G, 2024).

გარდა ზემოაღნიშნული გადასახადებისა, ბუნებრივია, მცირე ბიზნესი იხდის ქონების გადასახადს, მიწის, შენობა-ნაგებობის, ან სხვა სახის უძრავი ქონების მფლობელობიდან გამომდინარე. გადასახადის ოდენობა დიფერენცირებულია. დამატებით, შეიძლება დაიბეგრონ ფრენჩაიზის გადასახადით. აშშ შედის მსოფლიოს იმ ათეულ ქვეყანათა რიცხვში, რომლებიც მენარმეებს ბიზნესის კეთების გამო, უწესებს ფრენჩაიზის გადასახადს (Daugherty G, 2024).

აშშ-ში, გადასახადების შემცირებისა და სამუშაოების აქტმა (TCJA), რომელიც 2017 წელს შემუშავდა, მნიშვნელოვნად შეამცირა მცირე ბიზნესსექტორის კორპორატიული გადასახადის განაკვეთი 35%-დან, 21%-მდე. ხოლო, საშუალო კომბინირებული ფედერალური და სახელმწიფო განაკვეთი 38,9%-დან, 25,8%-მდე შემცირდა. ყოველივე ამის შედეგად, კი მიმდინარე მდგომარეობით, აშშ-ის კორპორატიული გადასახადის განაკვეთი, მათ შორის, შტატის და ადგილობრივი კორპორაციული საშუალო განაკვეთი, უფრო დაბალია, ვიდრე G7-ის ყველა სხვა წამყვანი ქვეყნის ეკონომიკაში. ასევე, დაბალია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 37 ქვეყნის საშუალო 26.1%-იან მაჩვენებელზე (იხ.ცხრილი2.). მიმდინარე მდგომარეობით, ფედერალური, სახელმწიფო და ადგილობრივი კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის ჯამური ოდენობა შეადგენს ქვეყნის მშპ-ის 1,6%-ს. ხოლო, OECD-ს 37 ქვეყნის საშუალო პროცენტული მაჩვენებელი - 3,2%-ს (The Tax Policy Center, 2024).

**კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის ნორმატიული განაკვეთი  
აშშ-ში 2019-2023 წწ.**

ცხრილი 2.

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი (%)	35%	35%	21%	21%	21%	21%	21%	21%
კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გამოქვითვებით (%)	32.88	32.89	19.71	19.70	19.73	19.73	19.72	19.73
სუბცენტრალური მთავრობის კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი	6.03	6.00	6.12	6.18	6.03	6.01	6.08	6.03
კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის კომბინირებული განაკვეთი	38.92	38.90	25.83	25.88	25.76	25.75	25.80	25.76

**წყარო:** Organisation for Economic Co-operation and Development – Date Explorer, Table II.1. Statutory corporate income tax rate).

საგადასახადო განაკვეთების კლება აშშ-ში რეგისტრირებული მცირე ბიზნესების ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითაც აისახა და შესაბამისად, მათი მოგების პროცენტული წილიც მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიან შემოსავლებში (იხ. ცხრილი 3.).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგადასახადო განაკვეთების შემცირებას საწარმოების ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითი მოქმედების ეფექტი აქვს და მომავალში მცირე ბიზნესის დაწყების სურვილი კიდევ უფრო ბევრ პოტენციურ მენარმეს გაუჩნდა. ამას მოწმობს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებაზე გაკეთებული განცხადებების სტატისტიკური მაჩვენებელი.

აშშ-ის მცირე ბიზნესსექტორის განვითარებასა და ფინანსური მდგრადობის ზრდაში, ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან. ორმაგი დაბეგვრა, ან როგორც მას ასევე უწოდებენ, “გაზრდილი ფინანსური ტვირთი”, ეს არის კონცეფცია, რომელიც უკვე დიდი ხანია აწუხებს მცირე ბიზნესის სექტორს, იწვევს ფინანსურ დაძაბულობას და აფერხებს მომგებიანობის ზრდას. როდესაც საწარმო იბეგრება მის მოგებაზე როგორც კორპორატიულ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე, იგი იწვევს რეინვესტირებისთვის, ან გაფართოებისთვის ხელმისაწვდომი შემოსავლის მნიშვნელოვან კლებას. თუ მაგალითად,



**აშშ-ის მთლიანი საგადასახადო შემოსავალი და მისი პროცენტული წილი მშპ-ში (1990-2021 წწ.)**

ცხრილი 3.

	მლრდ აშშ დოლარი					% მშპ-ში				
	1990	2000	2010	2020	2021	1990	2000	2010	2020	2021
<b>მთლიანი საგადასახადო შემოსავალი</b>	<b>1 552.4</b>	<b>2 900.5</b>	<b>3 517.1</b>	<b>5 419.8</b>	<b>6 178.0</b>	<b>26.0</b>	<b>28.3</b>	<b>23.4</b>	<b>25.7</b>	<b>26.5</b>
გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალზე	701.7	1 453.9	1 488.7	2 500.5	3 025.5	11.8	14.2	9.9	11.9	13.0
მენარმე ფიზიკური პირებისგან მიღებული	584.7	1 224.5	1 223.2	2 224.4	2 650.6	9.8	11.9	8.1	10.6	11.4
მცირე კომპანიებისგან მიღებული	117.0	229.3	265.5	276.1	374.4	2.0	2.2	1.8	1.3	1.6
სოციალური უზრუნველყოფის შენატანები	397.0	683.1	917.4	1 328.1	1 413.2	6.7	6.7	6.1	6.3	6.1
გადასახადები სახელფასო და სამუშაო ძალაზე	0.0	0.0	2.3	3.4	3.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	182.4	299.5	473.4	662.2	713.8	3.1	2.9	3.1	3.1	3.1
გადასახადები საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია-მინოდებაზე	271.3	464.0	635.3	925.8	1 022.8	4.5	4.5	4.2	4.4	4.4

**წყარო:** OECD (Organisation for Economic Co-operation and Development) – “Revenue Statistics, Tax revenue buoyancy in OECD countries 1965-2022”, 2023 წ.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე კომპანია, უცხოეთში ფლობს წილს, იგი ორივე ქვეყანაში იბეგრება. ყოველივე ეს კი, ზრდის მის ხარჯებს და ამცირებს წმინდა მოგებას. წლების განმავლობაში, ეს საკითხი დებატების საგანი იყო როგორც ეკონომისტების, ისე პოლიტიკოსების და ბიზნესის მფლობელების მხრიდან. მენარმეები ექვემდებარებიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მათ მოგებაზე და როდესაც დივიდენდები ნაწილდება აქციონერებზე,

ისინი კვლავ იბეგრება ინდივიდუალურ დონეზე. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესის მფლობელებმა შეიძლება გადაიხადონ გადასახადები ორჯერ ერთსა და იმავე შემოსავალზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ შემოსავლებს. გარდა ამისა, მცირე ბიზნესის ორმაგი დაბეგვრის ფენომენი ზღუდავს მცირე ბიზნესის უნარს, დააბანდონ სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება სანარმეოში, რადგან მათი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ამოიწურა ორმაგად გადახდილი გადასახადების გამო. ასეთ შემთხვევაში, სანარმეოს რჩებათ ნაკლები ფინანსური რესურსი კვლევისა და განვითარებისთვის, აღჭურვილობის ან ტექნოლოგიური განახლებებისთვის, ახალი თანამშრომლების დაქირავებისთვის, სამენარმეო საქმიანობის გაფართოებისთვის და ა.შ. პირობითად, რომ წარმოვიდგინოთ სტარტაპი, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური პროგრამული პროდუქტების განვითარებას, თუ მას ორმაგი დაბეგვრა ემუქრება და მოგების მნიშვნელოვან ნაწილს გადასახადების სახით გადაიხდის, მას შეიძლება გაუჭირდეს ინვესტირება პროდუქტის განვითარებისთვის აუცილებელი უახლესი ტექნოლოგიების შეძენაში, გამოცდილი პროგრამისტების დაქირავებაში, მან ასევე, შეიძლება ხელი შეუშალოს ინოვაციების დანერგვას და ა.შ. შესაბამისად, ეს აფერხებს სანარმეოს ზრდის პოტენციალს და კონკურენტუნარიანობას ბაზარზე (CFI Team (Corporate Finance Institute Team), 2024); (Faster Capital, 2024).

აშშ-ს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, საგადასახადო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული მთელ რიგ უცხო ქვეყანასთან. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება (DTTs) არის შეთანხმება, რომელიც დადებულია ორი ან მეტი იურისდიქციის მიერ. აღნიშნული ხელშეკრულებების მიზანია, მოხდეს შემოსავლისა და კაპიტალის საერთაშორისო, სამართლებრივი ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება. ამ ხელშეკრულებების თანახმად, უცხო ქვეყნების რეზიდენტები (არაა აუცილებელი იყვნენ მოქალაქეები), რომლებიც შემოსავლებს იღებენ აშშ-ს წყაროებიდან, იბეგრებიან შემცირებული განაკვეთით ან სრულად გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან შემოსავლის გარკვეულ ნაწილზე. ეს შემცირებული განაკვეთები, ბუნებრივია, განსხვავებულია ქვეყნების, შემოსავლის სახეობების მიხედვით და დადებული ხელშეკრულებების პირობებიდან გამომდინარე. დღეის მდგომარეობით, აშშ-ს მსოფლიოს 69 ქვეყანასთან აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმება დადებული. თითოეულ ქვეყანასთან დადებული შეთანხმება იდენტური არ არის და განსხვავებულ პირობებს მოიაზრებს. როგორც საერთაშორისო კვლევები მონშობს, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ის მცირე ბიზნესის სექტორის განვითარებას, მენარმეებს შეუმცირდათ საგადასახადო დანახარჯები, გაიზარდა წმინდა მოგების პროცენტული წილი, მთლიან შემოსავლებში, მოხდა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების თუ კომპანიების მხრიდან, მეტი ინვესტი-

ციის განხორციელების სტიმულირება. ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდება მენარმეობის მსურველთა რიცხვი და მათ მიერ საგადასახადო ორგანოში წარმოდგენილი განცხადებების რაოდენობა. რეგისტრირებული მცირე ბიზნესის რაოდენობის ზრდასთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტშიც საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდაც შეინიშნება, რასაც ასევე, დადებითი მოქმედების ეფექტი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე (U.S Internal Revenue Service, Page Last Reviewed or Updated: 22 August, 2024); (United Nations Conference on Trade and Development, 2024, p. 2).

### **საგადასახადო ტვირთი მცირე ბიზნესისთვის საქართველოში და მისი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე**

საქართველოს ეკონომიკისთვის მცირე ბიზნესი მოიაზრება უმთავრეს მამოძრავებელ ძალად. რადგან, სწორედ მენარმეობის განვითარება და რეგისტრირებული მცირე ბიზნესების რაოდენობის ზრდა უწყობს ხელს ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირებას, რაც თავის მხრივ, სიღარიბის დონის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია ის, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილური და მიმზიდველი საგადასახადო გარემო. სწორედ ამიტომ, საგადასახადო ორგანოს მიერ შემუშავებულ და განხორციელებულ რეფორმას თუ ცვლილებას ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოში მცირე ბიზნესების სამეწარმეო საქმიანობაზე. წლების განმავლობაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსმა უამრავი ცვლილება განიცადა და შესაბამისად, განსხვავებული იყო გადასახადების საპროცენტო განაკვეთები, დასაბეგრი ბაზის გამოთვლის, დეკლარირების წესი და პასუხისმგებლობის მექანიზმებიც. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო რეგულირების სისტემა მე-20 საუკუნის მიწურულს იწყებს ჩამოყალიბებას. მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ძირითადი პრონციპები და სტრატეგიები განსაზღვრული იყო 1999 წელს მიღებული კანონით „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებიდან კიდევ ერთი - „მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამან, 2002 წელს შევიდა ძალაში (ლობჯანიძე, 2017, გვ. 1-2).

**გადასახადების სახით მიღებული შემოსავლების ოდენობა საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში (2024 წლის იანვარ-ივნისის ანგარიში) ცხრილი 4.**

გადასახადები სახეები	ჯამი (მლრდ ლარი)
გადასახადები შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	6 196 463 126,96
გადასახადები ქონებაზე	532 638 742,04
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	6 717 916 915,78
გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე	81 560 403,96
გადასახადების სახით მიღებული შემოსულობების ჯამური ოდენობა საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში	13 411 314 813,37
<b>ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები</b>	<b>20 198 188 815 82</b>

**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საზინა, <https://treasury.ge>.

საქართველოში, მცირე ბიზნესსექტორისთვის გათვალისწინებულია სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 83-ე მუხლის მიხედვით, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირებზე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მიკრო ბიზნესის სტატუსს ანიჭებს ფიზიკურ პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად ეწევიან სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობას და არ ყავთ დაქირავებული თანამშრომლები, დღეს გადამხდელ პირად არ არის რეგისტრირებული და მისი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავლები არ აღემატება 30 000 ლარს. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლები არიან, მაგრამ მათ აქვთ ყოველწლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარმოდგენის ვალდებულება საგადასახადო ორგანოში. მაგრამ, აღსანიშნავია ისიც, რომ მათ არ აქვთ ვალდებულება აღნიშნული სტატუსის ფარგლებში საქმიანობის დაწყებამდე, მიიღონ ინდივიდუალური მენარმის სტატუსი, საქართველოს იუსტიციის სახლში.

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირებზე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მცირე ბიზნესის სტატუსს ანიჭებს ფიზიკურ პირებს, ვინც ეწევა სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობას და აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავლების ჯამური ოდენობა მერყეობს 30 000 ლარიდან 500 000 ლარამდე. მიკრო ბიზნესისგან განსხვავებით, მანამ, სანამ ფიზიკური პირი საგადასახადო ორგანოს მიმართავს განცხადებით მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, მან ჯერ საქართველოს იუსტიციის სახლში უნდა მიიღოს ინდივიდუალური მენარმის სტატუსი და მხოლოდ ამის შემდეგ, მოხდება მისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება. მათ მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-ით. 2018

წლის 1 ივლისის განხორციელებული რეფორმის შედეგად, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირებისთვის ძალაში შევიდა საშემოსავლო გადასახადის ახალი შეღავათიანი განაკვეთი 1% (ნაცვლად 20%-ისა), რომელიც აღნიშნული მომენტისთვის, 100 ათასზე მეტ მენარმეს უნდა შეხებოდა. აღნიშნულ რეფორმას, დადებითი მოქმედების ეფექტი ჰქონდა, როგორც მენარმეებისთვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკისთვის. მის საშუალებით, მენარმეებს მნიშვნელოვნად შეუმცირდათ საგადასახადო და ასევე, ადმინისტრაციული დანახარჯებიც, რადგან გამარტივდა საგადასახადო აღრიცხვის სისტემაც.

გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე - აღნიშნული საქმიანობის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც ახორციელებს შემდეგი საქმიანობიდან ერთ-ერთს: პირს, რომელსაც აქვს თონე, დასაბეგრი ბაზა ამ შემთხვევაში, არის თონის რაოდენობა და ფიქსირებული განაკვეთი განსაზღვრულია ერთ თონზე 50 ლარი. ასევე, შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც აქვს სილამაზის სალონი, მაგალითად ახორციელებს თმის შეჭრას, შეღებვას, დახვევას და ა.შ. მათთვის გადასახადის ოდენობა გათვალისწინებულია ერთ სამუშაო სკამზე 50 ლარი, ხოლო ის, ვინც მანიკურის და პედიკურის მომსახურებას ეწევა დასაბეგრი ბაზა, ერთ სამუშაო მაგიდაზე არის 30 ლარი. გარდა ამისა, ენიჭება ფიზიკურ პირს, რომელიც ეწევა სოლარიუმის მომსახურებას ან ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებას, მათი დასაბეგრი ბაზაც შესაბამისად არის, ერთი სოლარიუმის კაბინაზე 70 ლარი და ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურებისთვის განკუთვნილი ადგილისთვის 100 ლარი. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირები ვალდებული არიან, აღნიშნული სტატუსის მინიჭებამდე დარეგისტრირდნენ საქართველოს იუსტიციის სახლში ინდივიდუალურ მენარმეებად. მაგრამ, მიკრო და მცირე ბიზნესისგან განსხვავებით, ისინი არ არიან ვალდებული საგადასახადო ორგანოში წარმოადგინონ ყოველთვიური, ან ყოველწლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2010). (შემოსავლების სამსახური, 2020).

**საქართველოში მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეობებისა და ზომების მიხედვით (2023 წ.)**

ცხრილი 5.

ბიზნეს კატეგორია	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია
რაოდენობა	<b>229 972</b>	589	2 241	227 136	6
%-ული წილი მთლიან ბიზნესსექტორში	<b>100%</b>	0.26%	0.97%	98.8%	0.01%

(წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024. <https://www.geostat.ge>).

როგორც ცხრილი 5-დან ჩანს, საქართველოში კერძო ბიზნესსექტორში რეგისტრირებული პირების 98.8% წარმოადგენს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირს. რაც დასტურია იმისა, რომ საქართველოში, სამუშაო ძალის შექმნასა და ეკონომიკის განვითარებაში, მცირე ბიზნესსექტორს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გარდა ზემოაღნიშნული გადასახადებისა, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირს (გარდა მიკრო მენარმისა) შესაძლოა ასევე დაეკისროს შემდეგი გადასახადების გადახდის ვალდებულება: დღგ-ს 18%, ქონების გადასახადი (რომლის განაკვეთიც დიფერენცირებულია), იმპორტის გადასახადი (იმპორტის ან 12%-იანი, ან 5%-იანი, ან კიდევ დიფერენცირებული განაკვეთი, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია უშუალოდ სასაქონლო პოზიციაზე) და ა.შ.

საქართველოში კერძო ბიზნესსექტორის და მათ შორის, მცირე ბიზნესსექტორის საგადასახადო დანახარჯების შემცირებას და მოგების პროცენტული წილის ზრდას მთლიან შემოსავლებში, ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო „ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებებმა“, რომლის მთავარ მიზანს, გარდა საგადასახადო დანახარჯების შემცირებისა, ასევე წარმოადგენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ურთიერთობის გაღრმავება და უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვის ხელშეწყობა. საქართველოს მიერ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებულ შეთანხმებების ძირითადი ტექსტი ემყარება OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) მოდელს და მოიცავს ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ, მეორე ქვეყანაში განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაბეგრის პირობებსა და პრინციპებს. დღეის მდგომარეობით, საქართველოს „ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმება გაფორმებული აქვს მსოფლიოს 58 ქვეყანასთან, რომლის მიხედვითაც, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, მეორე ქვეყანაში განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები დაიბეგრება მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც შემოსავლის მიღება მოხდა, ან პირის რეზიდენტ ქვეყანაში. მეორე ქვეყანა კი, ჩაუთვლის გადასახადს გადახდილად. აღნიშნული შეთანხმების მიზანი ასევე, არის ის, რომ მოხდეს გადამხდელების მხრიდან, გადასახადის ოდენობის შემცირების, ან სრულად თავის არიდების მცდელობის მაქსიმალურად აღკვეთა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023).

## დასკვნა

ეკონომიკის თანამედროვე ტენდენციებმა, მცირე ბიზნესის როლი და მნიშვნელობა უფრო და უფრო უპირატესი გახადა როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. ის, საერთაშორისო ბაზარზე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთ მნიშ-

ვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. მცირე ბიზნესის სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობის სტაბილურად წარმართვასა და ფინანსურ მდგომარეობაზე, შესაძლოა რიგმა ფაქტორმა მოახდინოს გავლენა. მათ შორის კი აღსანიშნავია, საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო ტვირთი. სახელმწიფოს მხრიდან, საჭიროა ერთგვარი წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა საგადასახადო სისტემაში, რათა მოხდეს მენარმეობის განვითარების სტიმულირება.

როგორც ჩატარებული კვლევის შედეგებმა ცხადყო, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის კუთხით, მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან, აშშ ნამდვილად გამოირჩევა. აშშ-ში, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის სფეროში საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების საკითხს. გადასახადების შემცირებისა და სამუშაოების აქტმა (TCJA), მნიშვნელოვნად შეამცირა მცირე ბიზნესსექტორის კორპორატიული გადასახადის განაკვეთი - 35%-დან 21%-მდე. ხოლო, საშუალო კომბინირებული ფედერალური და სახელმწიფო განაკვეთი - 38,9%-დან 25,8%-მდე.

საქართველოში მცირე ბიზნესი დაყოფილია სამ კატეგორიად: მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელთა კატეგორიებად. რომლისთვისაც მოიაზრება დაბეგვრის სპეციალური, შეღავათიანი სისტემა. საგადასახადო განაკვეთების კლებას, როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში მოქმედი მცირე ბიზნესების ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითი მოქმედების ეფექტი ჰქონდა და შესაბამისად, მათი მოგების პროცენტული წილიც მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიან შემოსავლებში (ბუკია, 2019, გვ. 37).

აშშ-სა და საქართველოში, მცირე ბიზნესსექტორის განვითარებაში, ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებებს, რომელიც დღეის მდგომარეობით, აშშ-ს მსოფლიოს 69 ქვეყანასთან, ხოლო, საქართველოს - 58 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული. როგორც საერთაშორისო კვლევები მოწმობს, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებებმა, მენარმეებს შეუმცირა საგადასახადო დანახარჯები, მოხდა ეკონომიკური თანამშრომლობის ურთიერთობის გაღრმავება, უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვის ხელშეწყობა, გადამხდელების მხრიდან გადასახადის ოდენობის შემცირების ან სრულად თავის არიდების მცდელობის აღკვეთა და ა.შ.

#### ლიტერატურა:

- ბუკია ი. (2019). საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მენარმეობის განვითარებაზე. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 37.
- ლობჯანიძე ნ. (2017). საქართველოს საგადასახადო სისტემის გავლენა მცირე და საშუალო მენარმეობაზე. ResearchGate, Pp. 1-2.

- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2010). საქართველოს საგადასახადო კოდექსი. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; <https://www.matsne.gov.ge>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საქართველოში მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ზომების მიხედვით. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (<https://www.geostat.ge>).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2023). ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები. Retrieved from საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: <https://www.mof.ge>
- სახელმწიფო ხაზინა. (2024). საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები 2024 წლის იანვარი-ივნისი. თბილისი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა (<https://treasury.ge>).
- შემოსავლების სამსახური. (2020). შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები/სტატუსები (ფიზიკური პირის საგადასახადო ასისტენტი). Retrieved from შემოსავლების სამსახური: <https://www.rs.ge>
- CFI Team (Corporate Finance Institute Team). (2024). Double Taxation. Retrieved from CFI (Corporate Finance Institute): <https://corporatefinanceinstitute.com>
- Daugherty G. (2024). Understanding Small Business Taxes: A Comprehensive Guide. Retrieved from Investopedia: <https://www.investopedia.com>
- Faster Capital. (2024). Double Taxation And Its Effects On Small Businesses. Retrieved from FasterCapital: <https://fastercapital.com>
- Kaledin S. (2019). Features of the taxation of small business in the USA. researchgate (<https://www.researchgate.net>).
- OECD. (2023). OECD Data Explorer - Archive. Retrieved from OECD (Organisation for Economic Co-operation and Development): <https://data-explorer.oecd.org>
- OECD. (2023). Revenue Statistics, Tax revenue buoyancy in OECD countries 1965-2022. OECD (Organisation for Economic Co-operation and Development).
- Pomerleau K. (2015). Small Businesses and Their Income Tax Burden. Retrieved from Tax Foundation, (<https://taxfoundation.org>) : (<https://taxfoundation.org>)
- The Tax Policy Center. (2024). A citizen's guide to the fascinating (though often complex) elements of the US tax system. Retrieved from The Tax Policy Center (Urban Institute & Brookings Institution: <https://www.taxpolicycenter.org>
- U.S Internal Revenue Service. (Page Last Reviewed or Updated: 22 August, 2024). United States income tax treaties - A to Z. Retrieved from IRS (Internal Revenue Service): <https://www.irs.gov>
- U.S IRS (Internal Revenue Service). (2024). Federal income tax rates and brackets. Retrieved from IRS (Internal Revenue Service);: <https://www.irs.gov>
- United Nations Conference on Trade and Development. (2024). Double taxation treaties and their implications for investment: what investment policymakers need to know. United Nations. Geneva: United Nations publication issued by the United Nations Conference on Trade and Development.



## References:

- Bukia I. (2019). Sagadasakhado politikis gavlena metsarmeobis ganvitarebaze, ["Impact of Tax Policy on the Development of Entrepreneurship. Tbilisi, TSU Publishing House, p.37.] in Georgian
- Lobzhanidze N. (2017). Sakartvelos sagadasakhado sistemis gavlena mtsire da sashualo met-sarmeobadze, [Impact of Georgian Tax System on Small and Medium Entrepreneurship. Journal: ResearchGate, pp. 1-2.] in Georgian
- Sakartvelos sakanonmdeblo matsne (2010). Sakartvelos sagadasakhado kodeqsi [Legislative Herald of Georgia – Tax Code of Georgia. in Georgian <https://www.matsne.gov.ge>. Last seen 13.11.2024.]
- Sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri. (2024). Sakartveloshi moqmed biznes subieqtta raodenoba ekonomikuri saqmianobis sakheebisa da zomebis mikhedvit, [National Statistical Service of Georgia – The Number of Business Entities Operating in Georgia According to the Types and Dimensions of Economic Activity". Tbilisi, National Statistical Service of Georgia] in Georgian <https://www.geostat.ge>.
- Sakartvelos finansta saministro (2023). ormagi dabegvris tavidan atsilebis shesakheb she-tankhmebebi [Ministry of Finance of Georgia -Agreements for the Avoidance of Double Taxation.] in Georgian <https://www.mof.ge>. Last seen 13.11.2024.
- Sakhelmtsifo khazina (2024). Sakartvelos naerti biujetis shemosulobebi 2024 tslis ianvari-ivnisi". [State Treasury - Income of the Consolidated Budget of Georgia for January-June 2024. Tbilisi, State Treasury of the Ministry of Finance of Georgia.] in Georgian <https://treasury.ge>.
- Shemosavlebis samsakhuri (2020). sheghavatiანი dabegvris rezhimebi/statusები (fizikuri piri sagadasakhado asisenti) [Revenue Service - "Preferential Taxation Regimes/Statuses (Tax Assistant of a natural person)]. in Georgian <https://www.rs.ge> Last seen 13.11.2024.
- CFI Team (Corporate Finance Institute Team). (2024). Double Taxation. Retrieved from CFI (Corporate Finance Institute): <https://corporatefinanceinstitute.com>. Last seen on 13.11.2024.
- Daugherty G. (2024). Understanding Small Business Taxes: A Comprehensive Guide. Retrieved from Investopedia: <https://www.investopedia.com>. Last seen on 13.11.2024.
- Faster Capital. (2024). Double Taxation and its Effects on Small Businesses. Retrieved from Faster Capital: <https://fastercapital.com>. Last seen on 13.11.2024.
- Kaledin S. (2019). Features of the Taxation of Small Business in the USA. Researchgate <https://www.researchgate.net>
- OECD. (2023). OECD Data Explorer - Archive. Retrieved from OECD (Organisation for Economic Co-operation and Development): <https://data-explorer.oecd.org>
- OECD. (2023). Revenue Statistics, Tax Revenue Buoyancy in OECD Countries 1965-2022. OECD (Organisation for Economic Co-Operation and Development).
- Pomerleau K. (2015). Small Businesses and their Income Tax Burden. Retrieved from Tax Foundation: <https://taxfoundation.org>. Last seen on 13.11.2024.
- The Tax Policy Center. (2024). A Citizen’s Guide to the Fascinating (Though often Complex) Elements of the US Tax System. Retrieved from The Tax Policy Center (Urban Institute & Brookings Institution: <https://www.taxpolicycenter.org>) Last seen on 13.11.2024.

- U.S Internal Revenue Service. (Page Last Reviewed or Updated: 22 August, 2024). United States Income Tax Treaties - A to Z. Retrieved from IRS (Internal Revenue Service); <https://www.irs.gov>. Last seen on 13.11.2024.
- U.S IRS (Internal Revenue Service). (2024). Federal Income Tax Rates and Brackets. Retrieved from IRS (Internal Revenue Service); <https://www.irs.gov>. Last seen on 13.11.2024.
- United Nations Conference on Trade and Development. (2024). Double Taxation Treaties and their Implications for Investment: What Investment Policymakers Need to Know. United Nations. Geneva: United Nations Publication Issued by the United Nations Conference on Trade and Development.

## Impact of Tax System on Small Business - Foreign and Georgian experience

**Giga Pertia**

*PhD student*

*Caucasus International University*

*[giga.pertia@ciu.edu.ge](mailto:giga.pertia@ciu.edu.ge)*

[doi.org/10.52340/eab.2024.16.04.11](https://doi.org/10.52340/eab.2024.16.04.11)

*In the conditions of the modern market economy, small business is given a very big advantage in the developed and developing countries of the world. It helps the economy of the country to overcome the difficult socio-economic situation, to maintain stability, to form the middle class of the population, etc. Along with a number of functions, the innovative economy in the country is developed through small businesses. It is the development of entrepreneurship and the increase in the number of registered small businesses that contribute to the reduction of the unemployment level, which in turn is one of the main prerequisites for overcoming the poverty level.*

*As international practice testifies, small business represents more than 98% of private businesses registered in the country and in terms of employment, it is not inferior to large and medium-sized businesses in the entire industry. Therefore, the trends of the modern economy brought the role and importance of small business to the fore. Taxation of small businesses and the amount of the tax burden is one of the topical issues in the current period, as it is an important determining factor of their development. Tax reforms and agreements implemented in the country can greatly influence their development. Therefore, it is necessary to analyze each tax reform or agreement in detail, not only at the tax level, but also to determine the effect of its operation from the point of view of entrepreneurs, which should be accompanied by step-by-step monitoring.*

The purpose of the research paper is to determine the influence of the tax system on the entrepreneurial activity of small businesses, from the point of view of the experience of the USA and Georgia.

The article discusses the American and Georgian experience of small business taxation mechanisms. The taxes with which the small business sector is taxed are given, the trend of the tax burden and its impact on their financial situation are estimated. Based on all this, appropriate conclusions and recommendations have been prepared.

As the results of the conducted research revealed, in terms of promoting the development of small businesses, the USA really stands out from the highly developed countries. The system of tax regulation and taxes in the US, on the other hand, is distinguished by its complexity. Complexity is caused by the fact that taxes are imposed at three main levels: state, local and federal. Taxes at all three levels are sharply separated from each other. In the US, the issue of improving tax administration in the area of small businesses is of great importance. The Tax Cuts and Jobs Act (TCJA) significantly reduced the corporate tax rate for the small business sector from 35% to 21%. And the average combined federal and state rate went from 38.9% to 25.8%.

Small businesses in Georgia are divided into three categories: micro, small and fixed tax payer categories. For which a special, preferential system of taxation is considered. The article discusses the impact of the tax reform implemented on July 1, 2018 on the small business sector and the economy of the country as a whole. In the given period, the change should affect approximately 120 thousand entrepreneurial individuals with small business status. By means of the mentioned reform, entrepreneurs significantly reduced their tax and administrative costs, as the tax accounting system was also simplified. The decrease in tax rates had a positive effect on the financial situation of small businesses operating both in the

USA and in Georgia, and accordingly, the percentage share of their profits in total revenues increased significantly.

In the development of the small business sector in the USA and Georgia, agreements on avoiding double taxation, which as of today, the USA has signed with 69 countries of the world, and Georgia with 58 sub-counties, also make a significant contribution. As international research shows, double taxation avoidance agreements have reduced tax costs for entrepreneurs, deepened economic cooperation, facilitated attracting more investments, prevented taxpayers from trying to reduce the amount of tax, or completely avoid it, etc.

The scientific novelty of the article is the determination of the effect of tax reforms on the small business sector, their financial situation and economic and entrepreneurial activities in the selected research object countries (USA and Georgia).

*To achieve the research goal, the following main research methods are used in the work: quantitative and qualitative research method, induction and deduction method, statistical analysis, data collection, grouping and systematic approach methods.*

*The article uses the works of both Georgian and foreign scientists related to small business taxation and tax burden. Prepared reports, periodicals and internet resources from various international organizations and Georgian state agencies.*

**Keywords:** *Small business; small business taxation; Avoidance of double taxation.*

**JEL Codes:** *E62, E64, H20, H26*

## სოციოლოგიური პრობლემები Sociological Problems

### სოციოლოგიის განვითარება საქართველოში

#### ამირან ბერძენიშვილი

პროფესორი  
ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
amiran.berdzenishvili@tsu.ge

#### კახა ქეცბაია

ასოციირებული პროფესორი,  
ივ. ჭავჭავაძის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
kakha.kecbaia@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2024.16.04.12

სტატიაში განხილულია სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში. ნაჩვენებია ის წვდომები, რომელიც ამ საქმეში ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადოებამ მოღვაწეობა შეიტანეს. აღნიშნულია, რომ საქართველოში სოციოლოგიის საუნივერსიტეტო სკოლის სათავესთან დიდი ივანე ჭავჭავაძის დგას, ხოლო სოციოლოგიის აკადემიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი (ალსანიშნავია, რომ საქართველოში სოციოლოგიის ფუძემდებლები მხოლოდ ახ ახიან) აკად. პაატა გუგუშვილია.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სოციოლოგიის განვითარებაში გახდა გეხა ერთ-ერთი ხელისუფლების დროიდან იწყება, როდესაც მეცნიერება მთლიანად განთავისუფლდა ყაღბის საბჭოური იდეოლოგიისა და სტეიერტიპებისაგან და თავისუფალი განვითარების გზას დაადგა. ამ დროიდან მოყოლებული, სოციოლოგიის სწავლების შიში და მისდამი უნდობლობა გაქრა. საზოგადოებამ შეიგნო მისი შესწავლის აუცილებლობა, თუმცა, სოციოლოგიური ცოდნის კუდგუხას საქართველოში, სათანადო დონემდე, ჯერაც ახ მიუღწევია. დღეს საქართველოში სოციოლოგია, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერება თავისთავადობას იძენს. სწორედ ამ ისტორიულ და ინტელექტუალურ ველში უწევს სოციოლოგიას საქართველოში ჩამოყალიბება, დამკვიდრება და განვითარება.

სტატია დოკტორ-სოციოლოგიური ანალიზის მეთოდის გამოყენებით საკითხის თეორიულ-სოციოლოგიურ კვლევას წახმოდგენს, რომელიც საკვლევი თეორიული პრობლემის შესახებ ახსებულ პიხვედად და იგი მეოხად წყაიხობებს ემყაიხება.

**საკვანძო სიტყვები:** სოციოლოგია, სოციოლოგიის ფუძემდებლები, ქართველი სოციოლოგები, სააზიოვნო ფენომენი, სოციოლოგიური თეორიები, სოციოლოგია თანამედროვე საქართველოში.

## შესავალი

აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, თავისი მოკრძალებული, მაგრამ ძალზე საინტერესო ისტორია აქვს საქართველოში.

საქართველოში სოციოლოგია XX საუკუნის დამდეგიდან ვითარდება. მისი წყარო ევროპული სოციოლოგია იყო. მართალია, მსოფლიოში აღიარებული სოციოლოგიური თეორია საქართველოში არ შექმნილა და, შესაბამისად, ვებერის, თიონისის, მერტონის ან პარსონსის მსგავსი სოციოლოგები არ გვყოფილია, რასაც ობიექტური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ სოციოლოგიის საჭიროება ქართველ საზოგადოებაში ყოველთვის იგრძნობოდა.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ სოციოლოგია ვერ გაჩნდება და განვითარდება იქ, სადაც ადამიანი და საზოგადოება ყოველმხრივ შეზღუდულია და საზოგადოების ბუნებრივ განვითარებას უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი ეღობება წინ. ისტორიულად საქართველოში სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ ღია, დემოკრატიული მეცნიერების - სოციოლოგიის განვითარება საგრძნობლად შეაფერხა, ხოლო საბჭოთა დიქტატურის წლებში საზოგადოების შესახებ მეცნიერება ყალბი, საბჭოურად იდეოლოგიზებული „თეორიებით“ ჩანაცვლდა. თუმცა, ქართველი მეცნიერები, ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, მაინც ახერხებდნენ სოციოლოგიური პრობლემების დამუშავებას და საფუძველს უყრიდნენ სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი დამოუკიდებელი მეცნიერების, საუკეთესო ტრადიციებს.

სადავოა საკითხი ქართული სოციოლოგიის, როგორც სუვერენული სააზროვნო ფენომენის, შესახებ, თუმცა, ამ შემთხვევაში ერთმანეთში არ უნდა ავირიოთ ცალკეულ მოაზროვნეთა სოციალური შეხედულებები და, საკუთრივ, სოციოლოგიური თეორიები. სოციალური შეხედულების ქონა სოციოლოგობას არ ნიშნავს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ადამიანთა უმრავლესობა სოციოლოგი იქნებოდა. ერთია ცალკეული შეხედულებების ქონა საზოგადოებაზე და მეორე - მეცნიერულად დასაბუთებული და ემპირიული კვლევით გამყარებული თეორია მის შესახებ.

## სოციოლოგიის ევოლუცია საქართველოში

1902 წლის 21 ივლისს თბილისში გამომავალი ყოველკვირეული გაზეთი „კვალი“ იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას ამცნობდა, რომ ფრანგმა პოზიტივისტმა ფილოსოფოსმა ოგიუსტ კონტმა ახალი მეცნიერება - სოციოლოგია შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, ამ დროიდან იწყება ქართველი საზოგადოების ფართო ფენების შეხება სოციოლოგიასთან. თუმცა, ამ ფაქტამდე ბევრად ადრე, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა, რომლებიც სწავლა-განათლებას ევროპასა და რუსეთში იღებდნენ,

უკვე იცოდნენ ამ ახალი მეცნიერების შესახებ. ამის მაგალითია გენიალური ვაჟა-ფშაველას მიერ სოციოლოგიის კლასიკოსის ჰერბერტ სპენსერის ორგანიციონული სოციოლოგიური თეორიის კრიტიკა (დანელია, 1927).

სოციოლოგიის განვითარების თვალსაზრისით საგულისხმოა გენიალური ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობა, რომელმაც 1902 წელს ყოველკვირეულ გაზეთში „კვალი“, „სოციოლოგიური ეტიუდების“ სათაურით, 5 წერილი გამოაქვეყნა. იგი ორიგინალურად გამოეხმაურა გეორგე ზიმელის „მოდის სოციოლოგიას“ (კოდუა, 1999).

ემპირიული სოციოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით, საყურადღებოა პ. მჭედლიშვილის მიერ, ჩართული დაკვირვების მეთოდით ჩატარებული ერთ-ერთი ადრინდელი ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა. მხედველობაში გვაქვს ამ გამოკვლევის საფუძველზე 1903 წელს გამოქვეყნებული მისი ნაშრომი - „ლონდონის მანანალები“ (მჭედლიშვილი, 1903).

საქართველოში სოციოლოგია იმთავითვე ორი - აკადემიური და საუნივერსიტეტო მიმართულებით ვითარდებოდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციოლოგიის პირველი სასწავლო კურსი 1923 წელს სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე შემოიღეს, სადაც პირველი კურსის სტუდენტებს სოციოლოგიის ლექციებს პროფესორი ალ. ვაჩიშვილი უკითხავდა. იმავე წელს გამოიცა მისი სახელმძღვანელო - „სოციოლოგიის შესავალი“ (გუგუშვილი, 1966). ეს იყო პირველი სახელმძღვანელო „სოციოლოგიის შესავალში“, რომელიც გათვალისწინებული იყო როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს I ნაწილი (მისი II ნაწილის გამოცემა ვერ მოხერხდა); 1923 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში სოციოლოგიის კურსს ალექსანდრე ვაჩიშვილი კითხულობდა.

ამავე პერიოდში უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იროდიონ სურგულაძე მოიწვიეს, ხოლო 1926 წლიდან - იმ დროისათვის ევროპიდან დაბრუნებული გიორგი ნანეიშვილი. სამივე მათგანი სპეციალობით იურისტი იყო, თუმცა, მათ დიდი წვლილი შეიტანეს სოციოლოგიის საუნივერსიტეტო სკოლაში სოციალური პრობლემატიკის დამუშავებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციოლოგიური აზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სოციალური სტრუქტურის თეორიული კვლევა წარმოადგენდა. XX საუკუნის დასაწყისში ამ მიმართულებით ორი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა.

პირველი მათგანი სოციალური სტრუქტურის ერისეულ ელემენტს ანიჭებდა უპირატესობას და ძირითად სოციოლოგიურ კატეგორიად ერი და ეროვნება მიიჩნედა, ამიტომ ნებისმიერი სოციალური საკითხის განხილვა ამ კატეგორიის ირგვლივ მიმდინარეობდა. ამ ტრადიციას საფუძველი ილია ჭავჭავაძემ დაუდო. ილიას გავლენით XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ერი მრავალი მოაზროვნის სოციოლოგიური ნააზრევის ამოსავალი პრინციპი გახდა. მათ შორის გა-

მოიჩინა მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია და სხვ.

ქართული სოციოლოგიური აზროვნებისათვის მნიშვნელოვანია მიხაკო წერეთლის „ბატონის“ ფსევდონიმით გამოსული ნაშრომი - „ერი და კაცობრიობა“ (წერეთელი, 1990). მ. წერეთლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება გაბატონებულ სოციალურ იდეათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წარმოებდა. მან ერის მსოფლმხედველობის სოციოლოგიურ განასერში განხილვას მყარი საფუძველი ჩაუყარა. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების კრიტიკული რეცეფციის საფუძველზე ერის სოციოლოგიური პრობლემეტიკა დააყენა. მას, ო. კონტის სოციოლატიკის პრინციპის საპირწონედ, პირველად სოციოლოგიურ კატეგორიად ერი მიაჩნდა. მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა“, ქართული სოციოლოგიის ისტორიაში პირველი სისტემური ნაშრომია.

ეროვნული ყოფიერების საზრისის სოციოლოგიური გააზრების საქმეში ფასდაუდებელია არჩილ ჯორჯაძის ღვაწლი (ჯორჯაძე, 2010). მის თხზულებებში მოცემულია როგორც დასავლური, ასევე ქართული სოციოლოგიური ნააზრევის კრიტიკული ანალიზი და ეროვნული ყოფიერების საზრისის ორიგინალური გადაწყვეტის მცდელობა. ა. ჯორჯაძეს სოციოლოგიური თეორიის ძირითადი პრინციპების შემუშავების პრეტენზია არ ჰქონია, თუმცა, ის მრავალ სოციალურ პრობლემას ეხება და საინტერესო დამოკიდებულებას ავლენს სოციოლოგიური თეორიების მიმართ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მისი რეცენზია მ. წერეთლის წიგნზე - „ერი და კაცობრიობა“ და „სოციალური ეტიუდები“, რომლებიც უმთავრესად ერის წარმოშობას შეეხებოდა. რეცენზიაში ა. ჯორჯაძე თავის დამოკიდებულებას ავლენს ორგანიციისტული თეორიისა და სოციოლოგიის საგნისადმი. მისი აზრით, სოციოლოგიის საგანი უნდა იყოს არა კაცობრიობა, არამედ ერი.

სოციოლოგიური აზროვნების განვითარება წარმოუდგენელია დიმიტრი უზნაძის ნააზრევის გარეშე. მის მიხედვით, ერს და ეროვნულ კულტურას საზოგადოებისა და ინდივიდის ცხოვრების მასაზრისიანებელი სოციალური ფუნქცია გააჩნია. სოციოლოგიური თვალსაზრისით, დღემდე საყურადღებოა დ. უზნაძის მოსაზრებები ადამიანზე, გარემოსა და საზოგადოებაზე, ადამიანის ცხოვრების საზრისზე, საზოგადოებრივ პროგრესზე და სხვ. დ. უზნაძემ თავისი დამოკიდებულება სოციოლოგიის პრობლემეტიკისადმი ნოე რამიშვილის ნაშრომზე („ისტორიული მატერიალიზმი“) დაწერილ რეცენზიაში გამოავლინა, როდესაც მან ნაშრომის ავტორს დოგმატიზმი დაუწუნა. მას მიაჩნდა, რომ ყოველი ნაშრომი პრობლემებზე სააზროვნოდ უნდა განგვაწყობდეს, ამიტომაც, მნიშვნელოვანია კრიტიკული სულისკვეთება, რომლითაც სოციოლოგია გამოირჩევა.

საქართველოში სოციოლოგიური აზროვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პროფ. სერგი დანელიას. ამ მხრივ, საყურადღებოა სოციალური სინამდვილის შესახებ მისი ნააზრევი, რომელიც, ცალკეული სტა-



ტიების სახით, დარიანის ფსევდონიმით ქვეყნდებოდა. მ. წერეთლისა და ა. ჯორჯაძის მსგავსად, სერგი დანელიასათვისაც ამოსავლი პრინციპი ეროვნული იდენტობაა, ამიტომაც ინტერესდება იგი ერის განვითარების ტენდენციებით და არა რომელიმე კლასობრივი იდეოლოგიით (კარტოზია, 1986).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული შეეხება იმ მიმდინარეობას ქართულ სოციოლოგიურ აზროვნებაში, რომლისთვისაც უპირველესი სოციოლოგიური კატეგორიაა ერი და ეროვნულობა იყო, რაც დამოუკიდებლობა დაკარგული და ანექსირებული ქვეყნის შემთხვევაში, გასაგები უნდა იყოს. მას უპირისპირდება მეორე მიმდინარეობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების სახით (მენშევიკური და ბოლშევიკური). ისინი უკიდურესად რადიკალურად და ტერორისტულად ეკიდებოდნენ ზემოთ განხილულ მიმართულებას. მათთვის მიუღებელი იყო ერი და ეროვნება, როგორც პირველადი სოციოლოგიური კატეგორია. მათ ეროვნული კლასობრივის ცნებით შეცვალეს და კლასის ცნება და ინტერესები პირველადი სოციოლოგიური კატეგორიის რანგში აიყვანეს.

ამგვარი მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობებით აღმოჩნდა ქართული აზროვნება საბჭოთა პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში სოციოლოგიის განვითარების განსაკუთრებულ ეტაპად ვერ ჩაითვლება, რადგან ამ აქტმა ყველაფერზე, და მათ შორის სოციოლოგიური აზრის განვითარებაზე, ურაცოფითი გავლენა მოახდინა.

### **სოციოლოგია საქართველოში საბჭოთა მმართველობის პერიოდში**

XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისიდან, აზროვნებაში მონისტური - მარქსისტული ტენდენცია დომინირებს. კერძოდ, ამიერიდან ყველა სააზროვნო მიმდინარეობა ერთი საზომით - მარქსიზმთან შესაბამისობა-შეუსაბამობით იზომება (რასაც ხუმრობით მომარქსვას ეძახდნენ). მარქსიზმიდან გადახრილი, განსხვავებული მოძღვრება დასაღუპად იყო განწირული, ამიტომ, იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც სოციოლოგიურ თუ ფილოსოფიურ აზროვნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ჩამოშორდნენ მას და ფილოსოფიის ან ლიტერატურის სხვადასხვა სახეობის ტექსტების თარგმანის ან კიდევ, კერძო მეცნიერებათა სფეროში გადავიდნენ. ძირითადად, ამ გზას დაადგინენ: შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, დ. უზნაძე და სხვ.

მათგან განსხვავებით, ზოგიერთ მოაზროვნეს ჰქონდა მცდელობა, რომ საკუთარი ნააზრევი მარქსიზმის ნაირსახეობად გამოეცხადებინა და ამით თავი გადაერჩინა. ეს გზა კონსტანტინე კაპანელმა აირჩია თავისი ორიგინალური სოციოლოგიური თეორიისათვის - ორგანოტროპიზმი, თუმცა, ფაქტობრივად, ამ მიმართულებას მარქსიზმთან შეხების წერტილები თითქმის არ ჰქონდა. კ. კაპანელის ორგანოტროპიზმი სოციოლოგიაში ბიოლოგისტური მიმდინარეობის ახლებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენდა. მან სოციალური სამყაროს კრიზისის ასახსნელად ორგანოტროპიზმის კანონზომიერება გამოიყენა. მისი ნააზრევი

ნიცშეს ფილოსოფიის, ესთეტიკისა და სოციოლოგიის ორიგინალურ სინთეზს წარმოადგენს. კ. კაპანელი ერთ-ერთი პირველია, ვინც ქართულ და მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებას ორგანოტროპული მიდგომით განიხილავს და ქართულ სულიერებას თავის მსოფლმხედველობრივ საწყისებს უმკვიდრებს. ამ გაგებით, აღსანიშნავია შემოქმედებითი კავშირის - „არიფიონის“ შექმნა, რომლის სათავეებთან მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, ვასო გორგაძე და სხვ. იდგნენ. მათგან გამორჩეული გერონტი ქიქოძე და კონსტანტინე კაპანელი იყვნენ, რადგან ორივე საკუთარი მსოფლმხედველობრივი (ფილოსოფიური, სოციოლოგიური და სხვ.) პრინციპების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრებას ცდილობდა. კაპანელისაგან განსხვავებით, გ. ქიქოძე სკეპტიკოსი იყო, რომელიც სკეფსისს ანალიზური აზროვნების მექანიზამდ განიხილავდა და ინდივიდადუალიზმის ნიცშეანური გაგებისკენ იხრებოდა. კ. კაპანელთან კი წინა პლანზე სოციალურის (საზოგადოებრივის) ცნებაა წამოწეული. აღსანიშნავია, რომ კ. კაპანელი საქართველოში ლიტერატურის სოციოლოგიის პირველი წარმომადგენელია. მან პირველმა მოგვცა ქართული ლიტერატურის სოციოლოგიური ანალიზი. იგი ქართული მეცნიერების გამორჩეული ფიგურაა. მისი ორიგინალური სოციოლოგიური თეორია – „ორგანოტროპიზმი“ იმ ფაქტის დადასტურებაა, რომ სოციოლოგიის სფეროში ორიგინალური თეორიების შექმნის ამბიცია ქართველებსაც ჰქონდათ.

სოციოლოგიის პრობლემების დამუშავება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში XX ს-ის 20-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. ამ დროიდან სოციალური ფილოსოფიის პრობლემاتيკა თანამედროვე ბურჟუაზიული მიმდინარეობის კრიტიკამ შეცვალა. ამ მხრივ, აღსანიშნავია შ. ნუცუბიძისა და მ. გოგიბერიძის შრომები, რომლებიც შპენგლერისა და კაიზერლინგის კრიტიკას ეძღვნება.

საქართველოში სოციოლოგიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია კონსტანტინე (კოტე) გორდელაძის (დახვრიტეს ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით) მიერ ახალი და თანამედროვე დასავლური სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობის - ორგანიცისტული სოციოლოგიის კრიტიკა. მის ნაშრომში - „ორგანიცისტული მიმართულება სოციოლოგიაში“ ამ მიმდინარეობის კრიტიკული ანალიზია მოცემული (გორდელაძე, 1985).

დოგმატიზმისა და მარქსიზმის გააბსოლუტურების ეპოქაში თავისუფალი შემოქმედება პარტიული ავტორიტეტისადმი მორჩილებამ ჩაანაცვლა, რის შედეგად რიგი მეცნიერება და, მათ შორის სოციოლოგიაც, უარყოფილ იქნა.

1925 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ იდეოლოგიურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, სოციოლოგიას სერიოზული წინააღმდეგობები შეექნა, ხოლო 1930 წელს სოციოლოგიის საკითხებზე დაწყებულ დისკუსიას, სოციოლოგიის სრული იგნორირება მოჰყვა. შესაბამისად, თბილისის უნივერსიტეტში (დღევანდელი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სოციოლოგია სასწავლო დისციპლინებიდან

ამოიღეს, ხოლო 1931 წელს სოციოლოგიის შესახებ მიმდინარე დისკუსია, სოციოლოგიის აკრძალვით დამთავრდა. ამიტომ, 1931 წლიდან, არც საქართველოში და არც რუსეთში სოციოლოგიაში შრომები არ გამოსულა. ამ მხრივ, გამონაკლისს კიტა მეგრელიძის ნაშრომი „აზროვნების სოციოლოგიის პრობლემები“ (მეგრელიძე, 1990), რომელიც აკრძალა და, შესაბამისად, სოციოლოგიაც ტაბუირებული დარჩა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ცნობილი ქართველი მეცნიერი კიტა მეგრელიძე საქართველოში აზროვნების, ცნობიერების სოციოლოგიის ფუძემდებელია. საქართველოში, ფაქტობრივად, მან ჩაუყარა საფუძველი სოციოლოგიის ამ მნიშვნელოვან დარგს. ამ თეორიის მიხედვით, აზროვნების სპეციფიკა მის სოციალურობაში ვლინდება. მხოლოდ სტრუქტურულ-ფუნქციური, მთლიანობითი მიდგომა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აზროვნება გავიგოთ, როგორც თავისუფალი, შემოქმედებითი აქტივობა, საბოლოოდ კი – როგორც ფასეულობათა კულტურულშემოქმედებითი საქმიანობის საწყისი; კ. მეგრელიძის ნააზრევნი საყურადღებოა მეცნიერების სოციოლოგიის განხრითაც. ამ სფეროში იგი ტოლს არ უდებს მეცნიერების თეორეტიკოს ჯონ ბერნალს. კიტა მეგრელიძის აზროვნების, ცნობიერების სოციოლოგია ნამდვილად ახალი სიტყვა და წინგადადგმული ნაბიჯია არამარტო ქართულ სოციოლოგიაში, არამედ ქართულ მეცნიერებაში საერთოდ (რაც დასაფასებელია).

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სოციოლოგიური აზროვნების ძირითადად თეორიული ქრილით განვითარება ისეთ სურათს ქმნის, თითქოს ჩვენში ემპირიული სოციოლოგია გასული საუკუნის პირველ ნახევარში საერთოდ არ არსებებოდა. ამ სტერეოტიპს დიდი ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური გამოკვლევები არღვევს, რაც მან პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობისას ჩაატარა.

ივანე ჯავახიშვილს სამი სოციოლოგიური გამოკვლევა აქვს ჩატარებული და სამივეს ემპირიული ხასიათი აქვს. ეს ნიშნავს, რომ ამ გამოკვლევათა ავტორი ქართულ აზროვნებაში ემპირიული სოციოლოგიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია, თუმცა, იმ დროისათვის საქართველოში მისი ეს ტრადიცია არ გაგრძელდა და ჩვენში სოციოლოგია ამ მიმართულებით არ განვითარდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ ემპირიული კვლევის მიმართულებით პირველი ნაბიჯები მსოფლიო სოციოლოგიაში ამ პერიოდში იდგმება, რომელთა შორის არის ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული გამოკვლევებიც. ივანე ჯავახიშვილის ემპირიული გამოკვლევა ეხება ქართულ სოფელს და იმ ქართველ ახალგაზრდობას, რომლებიც სასწავლებლად რუსეთის და დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში იმყოფებოდნენ. ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებს, რომ იმ დროისთვის ცალკეული ემპირიული კვლევები ტარდებოდა, მაგრამ მას იმდენად სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა, რომ ჩვენში ემპირიული სოციოლოგია დაფუძნებულიყო.

1957 წელს სსრკ-ში ისტორიული მატერიალიზმის, სოციოლოგიის და ემპირიული სოციოლოგიური კვლევების შესახებ დისკუსია დაიწყო. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიხედვით, დისკუსიის ამსახველი მასალები განხილულია ა.

ვაჩეიშვილის წერილში - „ისტორიული მატერიალიზმის, სოციოლოგიისა და კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევების მიმართების შესახებ“ (გუგუშვილი, 1966). დისკუსიამ გზა გაუხსნა, სოციოლოგიის, როგორც სუვერენული მეცნიერების, ასევე სოციოლოგიური კვლევის ცენტრების ჩამოყალიბებას და განვითარებას სსრკ-ში. პირველი სოციოლოგიური ცენტრი ჩამოყალიბდა ლენინგრადის (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი) უნივერსიტეტთან. ანალოგიური პროცესები დაიწყო საქართველოში (მხედველობაში გვაქვს თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია (ხელმძღვანელი ვ. ქვაჩახია) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლეთ ნერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის სოციოლოგიური კვლევის სექტორი (ხელმძღვანელი ალ. ვაჩეიშვილი).

ამ დროიდან, სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, პროფესორ ვენორ ქვაჩახიას მიიჩნევენ: მის მიერ 1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული სოციოლოგიის კათედრა ერთ-ერთი პირველი იყო მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში.

საქართველოში სოციოლოგიისაკენ ხელახალი შემობრუნება ე.წ. „ბრუზჩოვის ეპოქაში“, კერძოდ, 1962 წლიდან იწყება. იმხანად ლენინგრადში გახსნილი სოციოლოგიის ინსტიტუტისა და ლენინგრადის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ლაბორატორიის საქმიანობას საგანგებოდ გაეცნო პროფ. ვენორ ქვაჩახია. სწორედ მისი დამსახურებაა საბჭოთა კავშირში პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი სოციოლოგიის ლაბორატორიის გახსნა, რომლის ბაზაზეც 1968 წელს, კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის კათედრა დაარსდა ვენორ ქვაჩახიას ხელმძღვანელობით.

მოგვიანებით, სოციოლოგიური კვლევის ცენტრები ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში (ისტორიის ინსტიტუტში, ეკონომიკის ინსტიტუტში), კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებში, განათლების სამინისტროში (ალმზრდელობითი მუშაობის ცენტრთან ერთად), ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. XX საუკუნის 90-იან წლებში ანალოგიური ცენტრი ფუნქციონირებდა ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში და სხვ.

პროფ. ვ. ქვაჩახია ნაყოფიერად, ღრმად და საფუძვლიანად იკვლევდა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების ინტერდისციპლინური, სისტემური გააზრების პრობლემებს, რამაც მას სოციოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე ევიანში (საფრანგეთი), ვარნაში (ბულგარეთი) და განსაკუთრებით უპსალაში (შვედეთი) დიდი აღიარება მოუპოვა. არსებითად ამან განსაზღვრა თბილისში (1981 წლის აგვისტოში), პირველად საბჭოთა კავშირში, სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ჩატარება, სადაც ვენორ ქვაჩახია კიდევ ერთხელ აღიარებულ იქნა, როგორც გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარი და სოციოლოგი. მისი ინიციატივით საქართველოში არაერთხელ გაიმართა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის სიმპოზიუმები

და სამეცნიერო კონფერენციები. მისი ძალისხმევის შედეგად სოციოლოგია ჩართულ იქნა საქართველოს სოციალური განვითარების დაგეგმვის საქმეში, მომზადდა სალექციო კურსები სოციოლოგიაში, დაცულ იქნა დისერტაციები (ქეცბაია, 2016).

ვენორ ქვაჩახიამ 1977 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში, არაცხობიერის შესახებ გამართულ სიმპოზიუმში. საქართველოში შეიქმნა სოციოლოგთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტები იყვნენ პაატა გუგუშვილი და ვენორ ქვაჩახია, შემდეგ კი – პროფესორი ედუარდ კოდუა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის კათედრასთან მოქმედებდა დამნაშავეობის სოციოლოგიის საკითხების შემსწავლელი ლაბორატორია (ხელმძღვანელი პროფესორი ანზორ გაბიანი). მოგვიანებით მისი ადგილი სტუდენტი ახალგაზრდობის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიამ დაიკავა.

1968 წელს უნივერსიტეტის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია სოციოლოგიის კათედრად (კათედრის გამგე ვ. ქვაჩახია) გადაკეთდა. კათედრამ სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე რამდენიმე კრებული გამოსცა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ახალგაზრდობის სოციოლოგიური პრობლემების შესწავლას და თანამედროვე ე.წ. ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკას ექცეოდა.

გამოქვეყნდა მონოგრაფიები და ნარკვევები სოციოლოგიაში პ. გუგუშვილის, ვ. ქვაჩახიას, ო. ჯიოვის, ა. ვაჩიეშვილის, ბ. ლუტიძის, ე. კოდუას, გ. ასათიანის, ა. კაციტაძის, ა. გაბიანის, გ. ლოგუას, მ. ბეჟაიას, გ. წულაძის და სხვ. ავტორობით. იმ პერიოდში სოციოლოგიური კვლევა, როგორც თეორიული, ზოგად-სოციოლოგიური, ასევე დარგობრივი და ემპირიული კვლევების მიმართულებით მიმდინარეობდა.

1982 წელს, ვენორ ქვაჩახიას გარდაცვალების შემდეგ, ზემოხსენებულ კათედრას პროფესორი ედუარდ კოდუა ჩაუდგა სათავეში. მისი თაოსნობით, 1989 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სოციოლოგიის სპეციალობა დაფუძნდა, რომელიც მოგვიანებით, სოციოლოგიის განყოფილებად გადაკეთდა, კათედრას – სოციოლოგიის კათედრა, ფაკულტეტს კი ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი ეწოდა.

საქართველოში სოციოლოგიის დარგის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ ედუარდ კოდუას. მან საქართველოში სოციოლოგიის დარგის განვითარებას დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო და სოციოლოგიური მეცნიერება ახალ სიმაღლეებამდე აიყვანა.

## სოციოლოგია დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში

რაც შეეხება დღევანდელობას, ამჟამად, უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად, სოციოლოგიის ფაკულტეტი სოციოლოგიის მიმართულებად არის გადაკეთებული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მოგვიანებით, პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილის თაოსნობით, თსუ-ში სოციოლოგიის სპეციალობას სოციალური მუშაობა შემოუერთდა და ამჟამად სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის სახით არის წარმოდგენილი.

საქართველოში სოციოლოგია, განსაკუთრებით გამოყენებითი სოციოლოგია, არასოდეს რჩებოდა მთავრობის „ყურადღების გარეშე.“ მთავრობა მას საკუთარი მიზნებისათვის იყენებდა ან საერთოდ უარს ამბობდა მასზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ე. შუვარდნაძის პერიოდში საქართველოს მთავრობასთან არსებული „საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრი“, რომელიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებდა.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სოციოლოგიის, კერძოდ სოციოლოგიის აკადემიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი აკად. პაატა გუგუშვილია. დღემდე აქტუალურია მისი მოსაზრებები სოციოლოგიის საგნის, სოციოლოგიური ცოდნის სპეციფიკურობისა და, საერთოდ, სოციოლოგიის საჭიროების შესახებ (ბერძენიშვილი, ქეცბაია, 2021). ეს ის დროა, როდესაც სოციოლოგია „ბურჟუაზიულ“ მეცნიერებად არის მიჩნეული და მის შესახებ მხოლოდ სიძულვილის ენით თუ შეიძლება წერა და საუბარი, რასაც დაკვირვებული მკითხველი აკად. პაატა გუგუშვილის სოციოლოგიურ თხზულებებსა და ნააზრევში, ვერსად ნახავს. უფრო მეტიც, იგი როგორც საქართველოში ამ მეცნიერების ფუძემდებელი და პოპულარიზატორი, რიგი მწვავე სოციალური პრობლემის (მაგ. ოჯახი და ქორწინება და სხვ.) მეცნიერული გადაწყვეტის საქმეში სოციოლოგიის როლს დადებითად აფასებს და სოციოლოგიის იმდროინდელ კორიფეებთან შესანიშნავი ურთიერთობები აქვს. აღსანიშნავია, რომ აკად. პ. გუგუშვილი წლების განმავლობაში სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო და სოციოლოგიის არაერთ კორიფეს პირადად იცნობდა. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ჩარლზ რაით მილსი 1960 წლის აპრილის ბოლოს თბილისში იმყოფებოდა, რა დროსაც აკად. პ. გუგუშვილს სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე ესაუბრა. ამ საუბარს მილსი 1960 წელს დაწერილ თავის „წერილებში“ იხსენებს, როგორც მეგობრების შეხვედრას. საინტერესო ფაქტია, რომ რადიკალური სოციოლოგიური თეორიის ფუძემდებელმა აკად. პ. გუგუშვილის სახით, საბჭოთა კავშირში მეგობარი იპოვა.

დიდია ღვანლი სოციოლოგიის აკადემიური სკოლისა, რომელსაც ადრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი წარმოადგენდა (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი ა. სულაბერიძის ხელმძღვანელობით). ინსტიტუტმა საქართველოში სოციოლოგიური კვლევის მდიდარი ტრადიცია დაამკვიდრა, თუმცა, მას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან (სააკაშვილის მთავრობის გადაწყვეტილებით) ნაძალადევი შეერთებით, გაქრობის საფრთხე ემუქრება.

სოციოლოგიის განვითარებაში ერთგვარი გარდატეხა ეროვნული ხელი-სუფლების დროიდან იწყება, როდესაც მეცნიერება მთლიანად განთავისუფლდა ყალბი საბჭოური იდეოლოგიისა და სტერეოტიპებისაგან და თავისუფალ განვითარებას შეუდგა. ამ დროიდან მოყოლებული, სოციოლოგიის სწავლების შიში და მისდამი უნდობლობა გაქრა. საზოგადოებამ შეიგნო მისი აუცილებლობა, თუმცა, სოციოლოგიური ცოდნის კულტურას საქართველოში სათანადო დონემდე ჯერაც არ მიუღწევია.

როგორც ზემოთ ითქვა, საბჭოთა დიქტატურის წლებში, სოციოლოგიად მოიაზრებოდა საზოგადოების შესახებ ყალბი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება – ისტორიული მატერიალიზმი, რომლისგან თავის დაღწევასაც ქართველი მეცნიერები სოციუმის შესახებ ფილოსოფიური თეორიებითა და დოქტრინებით ცდილობდნენ, ანუ სოციოლოგიური პრობლემების ანალიზი ფილოსოფიურ სიბრტყეზე გადაჰქონდათ. ამან მეორე უკიდურესობა შვა - სოციოლოგიამ ფილოსოფიური შეფერილობა მიიღო.

დღეს საქართველოში სოციოლოგია თავისთავადობას იძენს. სწორედ ამ ისტორიულ და ინტელექტუალურ ველში უწევს სოციოლოგიას საქართველოში ჩამოყალიბება და განვითარება.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა (რომელიც სოციოლოგიის განხრით სამივე საფეხურის - ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი) სპეციალისტებს ამზადებს, სოციოლოგიის განხრით სპეციალისტებს ბაკალავრის ან მაგისტრატურის დონეზე ამზადებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლები და მკვლევრები, სხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე მეცნიერებთან ერთად, გარკვეულწილად შესაფერის ამინდს ქმნიან სოციოლოგიის სფეროში. დღეს თბილისში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი რამდენიმე სოციოლოგიური ცენტრი არსებობს.

## დასკვნა

ქართველ სოციოლოგთა თანამედროვე თაობა სოციოლოგიის კლასიკური და უახლესი პარადიგმების კრიტიკული ათვისების პროცესში იმყოფება, რის შედეგადაც თანდათანობით იკვეთება ის მიმართულებები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების სოციალური პრობლემების სათანადო ანალიზის საშუალებას იძლევა.

დღეს, თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორც სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგება, ასევე ადამიანთშორისი ურთიერთობების სრულყოფა წარმოუდგენელია სოციოლოგიური მომსახურების გარეშე. ეს პროცესი დაწყე-

ბულია საქართველოშიც. ამ პროცესებში წარმატება სოციოლოგების მონაწილეობის გარეშე გაძნელდება. იმედია, შორს არ არის ის დრო, როდესაც სოციოლოგები იმუშავებენ სამრეწველო და სასოფლო გაერთიანებებში, ფირმებსა და ასოციაციებში, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მართვის ორგანოებში, სოციოლოგიური კვლევის ცენტრებსა და ლაბორატორიებში, მედიაში, სარეკლამო სააგენტოებსა და იმიჯ-ცენტრებში და ა. შ.

საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი სოციოლოგიის ინსტიტუციონალიზაციისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. სოციოლოგიის ამ დარგის წარმატება დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების „გალიავებასა“ და დემოკრატიზაციაზე, სოციოლოგიური ცოდნის მაღალ კულტურაზე და ა.შ.

### ლიტერატურა:

- კვალი (1902) ყოველკვირეული გაზეთი, # 30. კვირა, 21 ივლისი,
- დანელია ს. (1927). ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი. თბ.
- კოდუა ე. (1999). გრიგოლ რობაქიძის სოციოლოგიური ნააზრევი, თბ.
- მჭედლიშვილი პ. (1903). ლონდონის მანანწალები. ტფილისი.
- გუგუშვილი პ. (1966). თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ, თბ., გვ. 121.
- წერეთელი მ. (1990). ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი), თსუ.
- ჯორჯაძე ა. (2010). წერილები. თბ.
- კარტოზია ბ. (1986). ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები). თბ. თავი III. სურგი დანელია. გვ. 91-159.
- გორდელაძე კ. (1985). ორგანიციისტული მიმართულება სოციოლოგიაში. თსუ.
- მეგრელიძე კ. (1990). აზრის სოციალური ფენომენოლოგია. თბ.
- ქეცბაია კ. (2016). სოციოლოგია საქართველოში, წიგნში: სოციოლოგია ყველასათვის. თბ.
- ბერძენიშვილი ა., ქეცბაია კ. (2021). სოციოლოგიის საგნის შესახებ პაატა გუგუშვილის მიერ დასავლური სოციოლოგიის კრიტიკული ანალიზის მიხედვით. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3. გვ. 212-223.

### References:

- Kvali (1902). Kvali, kovelkvireuli gazet. [A Weekly Newspaper, #30, Sunday, July 21.] in Georgian.
- Danelia S. (1927). Vaja-fchavela da qartveli eri. [Vazha-Pshavela and the Georgian Nation.] (in Georgian).
- Kodua E. (1999). Grigol Robaqidzis sociologiuri naazrevi. [Grigol Robakidze's Sociological Ideas, Tbilisi.] in Georgian.
- Mtchedlishvili P. (1903). londonis mawanwalebi [London Tramps. Tfilisi.] in Georgian.
- Gugushvili P. (1966). tanamedrove burjuaziuli sociologiis shesaxeb. [On Modern Bourgeois Sociology, Tbilisi, p. 121.] in Georgian.



- Tsereteli M. (1990). eri da kacobrioba ["Nation and Mankind" (Sociological Analysis), TSU.] in Georgian.
- Jorjadze A. (2010). werilebi. [Letters. Tbilisi.] in Georgian.
- Kartoza B. (1986). narkvevebi qartuli sociologiuri azris istoriidan [Essays on History of Georgian Sociological Thought (10-30-ies of XXc.). Tbilisi, Ch. III. Sergi Danelia. P. 91-159.] in Georgian.
- Gordeladze K. (1985) organicistuli mimartuleba sociologiashi. [Organicistic Movement in Sociology. TSU.] in Georgian.
- Megrelidze K. (1990), azris socialuri fenomenologia. [Social Phenomenology of Thinking. Tbilisi.] in Georgian.
- Ketsbaia K. (2016). Sociologia saqartveloshi [Sociologi in Georgia, in "Sociology for Everybody". Tbilisi.] in Georgian.
- Berdzenishvili A., Ketsbaia K. (2021). sociologiis sagnis shesaxeb Paata Gugushvilis mier dasavluri sociologiis kritikuli analizis mixedvit. [On the Subject of Sociology According to the Critical Analysis of the Western Sociology by Paata Gugushvili. TSU journal "Economics and Business" # 3, p. 212-223.] in Georgian.

## Development of Sociology in Georgia

**Amiran Berdzenishvili**

Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
amiran.berdzenishvili@tsu.ge

**Kakha Ketsbaia**

Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University,  
kakha.kecbaia@tsu.ge

doi.org/10.52340/eab.2024.16.04.12

*The article discusses the formation and development of sociology as a science studying society in Georgia. The contribution of Georgian scientists and public figures is shown. It is noted that Ivane Javakhishvili stands at the head of the University School of Sociology in Georgia, and Acad. Paata Gugushvili is one of the founders of the Academic School of Sociology.*

*Sociology has been developing in Georgia since the beginning of the XX century, but the annexing of Georgia by Russia seriously impeded the development of sociology;*

*Formation and development of sociology in Georgia: On 21st of July, 1902, a weekly newspaper "Kvali" printed in Tbilisi, informed Georgian society about founding a new science – sociology by a French positivist philosopher Comte (Kvali, 1902). It was how Georgian society learnt about sociology.*

*From the aspect of the development of sociology, activities by a great Georgian writer Grigol Robakidze are worth noting; in 1902 he published 5 articles titled "Letters in*

Sociology” in “Kvali”. His reaction to “Sociology of Fashion” by Georg Simmel was original (Kodua, 1999).

From the aspect of the history of empirical sociology, one of the early sociological researches conducted by P. Mchedlishvili who used the method of participant observation deserves attention. In 1903 he published a work “London Tramps” based on this research (Mchedlishvili, 1903).

From the very beginning, sociology in Georgia developed in two - academic and university directions.

The first course in sociology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University was scheduled at the social-economic faculty in 1923, lectures were delivered by Prof. Al. Vacheishvili. The same year he published a textbook “Introduction to Sociology” (Gugushvili, 1966). It was the first introductory textbook in sociology. At the same period Irodion Surguladze, a graduate from Yuriev (Tartu) University was invited to the University as a lecturer, and in 1926 Giorgi Naneishvili who had by then returned from Europe, joined the University. All three they made serious contributions to research of sociological problems at the university school of sociology.

One of the important directions of sociological thought in Georgia was the theoretical study of social structure. At the beginning of the XX century, two directions were formed in this sphere.

The first gave priority to national elements of social structure and considered nation and nationality as the main sociological categories. Due to his influence, nation became a starting principle in sociological works of such Georgian thinkers of the first half of the XX century as M.Tsereteli, A.Jorjadze, D.Uznadze, S.Danelia etc.

M.Tsereteli’s work “Nation and Mankind” published under his penname “Batoni” is rather important for Georgian sociological thought (Tsereteli, 1990). this is the first systematic work in the history of Georgian sociology.

The development of sociological thought is unimaginable without D.Uznadze’s and Professor S.Danelia’s contribution. Like M.Tsereteli and A.Jorjadze, for S.Danelia the foundation principle was national identity, and it is not surprising that he was interested tendencies the nation development (Kartozia, 1986).

Since the early 20s of the XX century after establishing the Soviet regime in Georgia a monistic -Marxist tendency dominated the sphere of intellectual activity, Therefore many important figures had to start philosophical and literary or resort to other spheres of activity. It was the way that Sh. Nutsubidze, S. Danelia, D. Uznadze and others chose.

Work on sociological problems at Tbilisi State University lasted till the end of the 20s of the XX century. From the aspect of the development of sociology in Georgia, critical consideration of one of the main movements in the western sociology – organicistic sociology by K. Gordeladze (he was sentenced to death being accused of anti--Soviet activities) is rather important. This movement is critically analysed in his book “Organicistic Movement in Sociology” (Gordeladze, 1985). In the epoch of dogmatism

and Marxism, sociology sciences were repressed. at 1931Tbilisi State University sociology was removed from the list of educational disciplines. That's why since works on sociological problems were not published either in Georgia or Russia. There used to be exceptions a work by K.Megrelidze "Problems of Sociology of Thinking" (Megrelidze, 1990), but the book was banned. Despite this, we should say that an outstanding Georgian scientist K. Megrelidze is the founder of the sociology of thinking and consciousness in Georgia.

In 1957 a discussion on historical materialism, sociology and empirical sociological research started in the USSR,

The discussion opened possibilities of forming sociology as an independent science. A sociological research laboratory headed by V. Qvachakhia was established at Tbilisi State University a sector for sociological research headed Al. Vacheishvili, also forming at Institute of Philosophy and at the Academy of Sciences of Georgia.

A new turn to sociology in Georgia began during the in 1962. For the first time in Tbilisi was established laboratory of applied sociology and in 1968 based on it a chair of specific-sociological research was founded under the guidance of V.Kvachakhia, who is considered one of the founders of sociology. Later, centers of sociological research were established in the Academy of Sciences of Georgia, the Institute of History, the Institute of Economics, etc.

Various international, all-union and republic symposia and scientific conferences were held in Georgia on V. Qvachakhia's initiative. Due to his endeavours lecture courses in sociology were prepared, and dissertations were defended (Ketsbaia, 2016).

In 1968 the laboratory of sociological research at the university was transformed into a chair of sociology (head V. Qvachakhia). The chair published several collections of articles on the actual problems of sociology, P.Gugushvili's, V.Qvachakhia's, O.Jioev's, B.Lutidze's, E.Kodua's, G.Asatiani's, A.Kacitadze's, A.Gabiani's, G.Logua's, M.Beqaia/s, G.Tsuladze's and others' monographs and studies in sociology were published.

In 1982 the chair was headed by E.Kodua. On his initiative, in 1989 at the faculty of philosophy of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, sociology was introduced as a sector, which later transformed into a department of sociology, and the faculty – into the faculty of philosophy and sociology.

The contribution made by Prof. E.Kodua to the development of sociology in Georgia is really great. Prof. E.Kodua took sociology as a science up to new heights.

After the university reorganization, the faculty of sociology was transformed into a direction of sociology and now it is a part of the faculty of social and political sciences. Later, on the initiative of Prof. I.Kachkachishvili social work was added to the sociological speciality at TSU and now it is presented as the direction of sociology and social work.

One of the founders of the academic school of sociology in Georgia is academician P.Gugushvili. His ideas on the subject of sociology, the specificity of sociological

knowledge and the necessity of sociology are still actual (Berdzenishvili, Ketsbaia, 2021). He gives a positive evaluation to the role of sociology in solving certain pressing social problems (e.g. family and marriage, etc.). Academician P. Gugushvili for years had been a member of the executive committee of the World Congress of Sociologists.

The merit of the academic school of sociology which was earlier represented by the Institute of Demography and Sociology of the Academy of Sciences of Georgia is substantial. The institute established a rich tradition of sociological research.

At the new stage in the development of sociology science emancipated from the false Soviet ideology and began to freely develop. Society realised necessity of sociology, though the culture of sociological knowledge has not yet reached the desirable level.

In present-day Georgia sociology is acquiring its originality. These are the historical and intellectual surroundings in which sociology has to form and develop in Georgia.

There is still much to be done from the aspect of institutionalisation and popularization of sociology in our country. The success of this branch of science greatly depends on the “openness” and democratization of society, high levels of sociological knowledge and culture, etc.

**Keywords:** Sociology, sociology in Georgia, Georgian sociologists, founders of sociology in Georgia, sociology in modern Georgia.

**JEL Codes:** A14, Z10, Z13

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია CRITICISM and BIBLIOGRAPHY

### წიგნი, რომელიც გეხმარება თანამედროვე საქართველოს კონტექსტის გაგებაში\*

#### A Book that Helps us Understand the Context of Modern Georgia

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ პერიოდს მოიცავს. უკვე გასულია მესამე საუკუნეზე მეტი. დღეს, მოსახლეობის უმრავლესობა ამ ფაქტს ისე აღიქვამს, თითქოს ეს მოცემულობაა, თითქოს ყველაფერი ასე უნდა იყოს. ასეთი პოზიცია, გამოხატულია არამარტო მოსახლეობის 2/3-ში, რომელიც საბჭოთა კავშირის შემდეგ დაიბადა ან, რომელთაც არ ახსოვთ საბჭოთა ემპირიული ცხოვრება, არამედ იმ 1/3 -ის უმრავლესობაში, რომლებსაც შეგნებული ცხოვრების ნაწილი გატარებული აქვთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში და რომლებიც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობდნენ ე.წ. კომუნისტური მშენებლობაში, ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით წარმართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში. ეს გასაკვირია, მაგრამ ფაქტია! ასეთი მოკლე მეხსიერება, უარყოფითად აისახება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის პროცესზე, ის უმნიშვნელოვანესი მენტალური ბარიერია ქვეყნის დესოვიეტიზაციის, ცენტრალიზებული გეგმური სისტემის, დემოკრატიულ და საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში ტრანსფორმაციისათვის. ამის მიზეზი, შეიძლება, ქართული საზოგადოების სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტშია. საქართველოს არსებული მასშტაბის დამოუკიდებელი სახელმწიფო ბოლო ხუთასი წლიდან მხოლოდ ერთხელ, ეპიზოდურად და სულ რამოდენიმე წლით, ჰქონდა 1918 -1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით! საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეკონომიკამ განიცადა კატასტროფული დაცემა და ქვეყანამ უზარმაზარი სირთულეების დაძლევის შეძლო ამ დაცემის შეჩერება და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. ახალი საქართველოს ეკონომიკის ზრდა მოხდა არა საბჭოთა ეკონომიკის რესტავრაცია-

\* თეიმურაზ ბერიძე, ეკონომიკური კვლევების ანთოლოგია, გამომც. უნივერსალი, თბ., 2024, 299 გვ.

ციის გზით, არამედ სრულიად ახალ საფუძველზე, ეკონომიკის სრულიად ახალი სტრუქტურით. ამ ტრანსფორმაციის გზაზე ბევრი რამ ისე არ წარიმართა, რაც იმავე პერიოდში უზრუნველყოფდა საქართველოს ეკონომიკისა და ქართველი ხალხის ცხოვრების არსებულზე უკეთესი დონის მიღწევას. ეს აუცილებლად მოითხოვს შეფასებას და ისტორიის გაკვეთილების სამომავლო განვითარებისათვის გათვალისწინებას. თუმცა, არ არსებობს არცერთი ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური, თუნდაც რელიგიურ-ზნეობრივი არგუმენტი საქართველოს არსებულ რეალობაზე საბჭოთა კავშირის უპირატესობის დასამტკიცებლად, მით უმეტეს, მისი რესტავრაციის სურვილის გასაჩენად. ვერც ერთი „მომზადებული გონება“ სხვა დასკვნას ვერ გააკეთებს. გონების მომზადებისათვის კი საჭიროა ისეთი ადამიანების მოსაზრებების გათვალისწინება, როგორცაა პროფესორი თეიმურაზ ბერიძე და მისი შრომების შესწავლა.

პროფ. თ. ბერიძე ორ წყობილებაში, ორ ერთმანეთისაგან კატეგორიულად დაპირისპირებულ სისტემაში ნაცხოვრები პიროვნებაა. ორივე სისტემის დროს მან შეძლო წარმატებული სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. ეს არ იყო უბრალოდ უწყვეტი და წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი ცხოვრება, რაც ხშირად, არა პირადი ბედ-იღბლის, არამედ ქვეყნის კონტექსტის ტრაგიკული ცვლებადობიდან გამომდინარეობდა. კონტექსტმა დიდი გავლენა მოახდინა პროფ. თ. ბერიძის მეცნიერული კვლევების თემატიკაზე. ეს მომენტი კარგადაა გამოხატული მის განსახილველ ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა, ძირითადად 2017–2021 წლებში (აგრეთვე, 1996 და 2009 წლების ორი პუბლიკაცია), გამოქვეყნებული მისი და თანაავტორობით საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული შრომების სამენოვან კრებულს. ეს უკანასკნელი, ავტორის მიერ ენების (მშობლიურის გარდა, რუსულისა და ინგლისურის) სრულყოფილი ცოდნის დემონსტრაციაა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის კუთვნილება მხოლოდ ქართულ ენაზე გამოცემული შრომებია. სხვა ენაზე გამოცემული შრომები გამოცემის ენაზე აზროვნებას უწყობს ხელს, თუმცა, თუ ავტორი ეთნიკურად ქართველია, აჩვენებს ამ პიროვნების მეცნიერული მოღვაწეობის შედეგს, რაც აუცილებელი ელემენტია ქართველი მეცნიერის პერსონალური შედეგების და აქედან გამომდინარე, ქართული სამეცნიერო სკოლის დასახასიათებლად და შესაფასებლად. განსახილველ კრებულში პროფ. თ. ბერიძის წარმოდგენილი შრომების თემატიკა ფართოა: დაწყებული კ.მარქსის შემოქმედების ანალიზითა და დამთავრებული ტექნიკური და პროფესიული განათლების სისტემით, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური თეორიის, მეთოდოლოგიის, სტატისტიკის, ეკონომიკური ისტორიის და სხვა მეცნიერებებისა და დისციპლინების საგანს. ყველა ეს ნაშრომი თავს იყრის და აკინძულია ერთ გამაერთიანებელ ევრისტიკულ ძაფზე - საქართველოს სინამდვილის კვლევაზე სხვადასხვა კუთხით. ამასთან, საქართველოს სინამდვილე შესწავლილია ისტორიულად განსაზღვრული -ტრანსფორმაციის პერიოდისათვის

და გაკეთებულია დასკვნები მისი სამომავლო განვითარებისათვის. პროფ. თ. ბერიძის მიერ მოცემული ანალიზი, მსჯელობა, დასკვნები, დარწმუნებული ვარაუდობა, როგორც ეკონომიკის შესწავლის საფუძვრზე მყოფ სტუდენტებს, აგრეთვე, ეკონომიკის მასწავლებლებსა და ეკონომიკაში დასაქმებულ, ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელ პირებს. მით უმეტეს, რომ ყველა ის პროცესი, რასაც ეხება ავტორი, სხვადასხვა ინტენსივობით, ჩვენს ირგვლივ, ამჟამად მიმდინარეობს და ყოველდღიურად ვაკვირდებით იმ ემპირიკას, ჩვენ ვართ იმ პროცესების მონაწილე, რომელიც პროფ. თ. ბერიძემ თავის ნაშრომებში განაზოგადა. მათი კითხვა იწვევს ბუნებრივად მიმდინარე პროცესებისადმი საკუთარი რეფლექსიის შედარებას ავტორისეულ დასკვნებთან. ეს ზრდის ნაშრომისადმი ინტერესს და წარმოშობს მასში მოცემულ მსჯელობებში ჩართვის სურვილს.

სწორია ავტორი, როდესაც კარლ მარქსის შემოქმედების განხილვისას თვლის, რომ საჭიროა მისი ანალიზის გაგრძელება ვირტუალური ეკონომიკის, ციფრული ეკონომიკის პირობებისათვის (გვ.22). ეს დებულება კიდევ უფრო გასათვალისწინებელია ხელოვნური ინტელექტის განვითარებისას, როდესაც ადამიანისეული კაპიტალის ფასი მინიმუმამდე დაეცემა, ხოლო ზოგ სფეროში ინტელექტუალური ცოდნა გახდება მთლიანად ტექნოლოგიის ნაწილი. სწორია ავტორი, როდესაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სისტემაში საქართველოს არ ჰქონდა „დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა“ (გვ.34) და დამოუკიდებლობის შემდეგ საჭირო იყო საბაზრო ეკონომიკის, როგორც „ძველი საბჭოთა ადმინისტრაციულ-კომანდური სისტემის“ ანტიპოდის ფორმირება (გვ.39). ვერ დავეთანხმები ავტორის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან შემოტანილი ე.წ. „ესტონური მოდელის“ შესაბამისი საგადასახადო ცვლილების პოზიტიურად წარმოჩენას (გვ.54), რადგან ამ ცვლილების მიხედვით, რეინვესტირებული მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადისაგან. იმ პერიოდში მე მქონდა საშუალება სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელისათვის, ქალბატონ მერსედეს ვერა მარტინისათვის, ნმ.ანდრია პირველის სახელობის უნივერსიტეტში შეხვედრისას, დამესვა კითხვა: ასეთი – ბიუჯეტისათვის საზიანო – საგადასახადო ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ. მან განაცხადა, რომ ეს ცვლილება განხორციელდა სავალუტო ფონდთან შეთანხმების გარეშე. მისი თქმით, ხელისუფლებამ აღუთქვა, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ამ ცვლილებით მიყენებული ზიანის შევსება სხვა წყაროების მოძიებით. ამას მოჰყვა აქციზის გაორმაგება საწვავზე (გვ.54), რამაც გამოიწვია ფასების ზრდა და „მოქალაქეების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება“ (გვ.54). იმ დასკვნის მიუღებლობა, რომ ეს „აუცილებლობა გარდაუვალია“ „ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდისათვის“, უკვე ისტორიულადაა დადასტურებული. დღეისათვის, აღნიშნული საგადასახადო რეჟიმი მთლიანად არ გაუქმებულა, თუმცა, გაუქმდა საბანკო სისტემისათვის, რომლის ინტერესების ლობირებითაც, რომელიც, ძირითადად, იმდროინდელი მთავრობის მიერ იქნა მიღებუ-

ლი. ეს პოზიცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ ნაშრომი დაიწერა 2018 წელს და მაშინ იყო პოზიტიური მოლოდინები ამ ცვლილებისაგან. თუ ავტორის/ავტორების ამჟამინდელი პოზიცია შეცვლილია, მაშინ ამის შესახებ უნდა იყოს კომენტარები. სხვანაირად, ეს აქტუალური პოზიციაა. დინამიკურ პროცესებზე დაწერილი შრომების, რამდენიმე წლის შემდეგ, გამოცემა აუცილებლად მოითხოვს კომენტარებს, სხვანაირად, წარმოიშობა გაუგებრობა. მაგალითად, წიგნში სხვადასხვა ადგილას, ზოგჯერ ერთი ნაკვეთის ფარგლებში გამოყენებულია მშპ-მთლიანი შიდა პროდუქტი და მსპ-მთლიანი სამამულო პროდუქტი. საჭიროა გამჭოლად იყოს კორექტირებული მათი გამოყენება.

პროდუქტიულია პროფ. თეიმურაზ ბერიძის მიერ საქართველოში ტრანსფორმაციის პერიოდის, მაიკლ ბარაჯუას მიერ შემოთავაზებული, „ტრანზიტოლოგიის“ (გვ.128) კონცეფციის ფარგლებში განხილვა. საქართველოს არსებული რეალობის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ავტორის მსჯელობა ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების პროცესების ერთმანეთისაგან განსხვავების შესახებ. საქართველოს დღეს აქვს მაღალი ეკონომიკური ზრდა, რაც გამომწვეულია შემთხვევით, ძირითადად – რუსეთ-უკრაინის ომის ფაქტორით. ავტორი ხაზს უსვამს, რომ „ეკონომიკური ზრდა“ ფასდება მთლიანი სამამულო პროდუქტის (მათ შორის, მოსახლეობის ერთ სულზე) რეალური გამოშვების მაჩვენებლით, ხოლო ეკონომიკური განვითარება ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. ის აჩვენებს, თუ რა ეფექტი მოაქვს ეკონომიკურ ზრდას უშუალოდ მოსახლეობისათვის, როგორ იზრდება ქვეყანაში ცხოვრების დონე...“ (გვ.156-157). ეკონომიკური ზრდა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. მნიშვნელოვანია აგრეთვე პროფ. თ.ბერიძის გაფრთხილება, რომ ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მაგრამ არა ყოველთვის. მნიშვნელოვანია არამართო უცხოელ ინვესტორთა სურვილი, საკუთარი კაპიტალი დააბანდონ ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ ინვესტიციების მიმღები (რეციპიენტის) ქვეყნის შესაბამისი მზაობა, საგადასახადო, საინვესტიციო კლიმატი და საარბიტრაჟო სასამართლო. ავტორი, ხაზს უსვამს, რომ „ქვეყნის ეკონომიკაში გადაჭარბებულმა ინვესტიციებმა შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის გადახურება, ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და ეკონომიკაში კორუფციის გაჩენას, რაც შეანელებს ეკონომიკურ ზრდას“ (გვ.184, 207-208 და სხვ.). კარგადაა განხილული საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განხორციელებული ეკონომიკის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური რეფორმები. განხორციელებულია საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ეტაპიზაცია. ეს ძალიან საინტერესო ანალიზია ქვეყნის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. თუმცა, ავტორმა თავიდან ვერ აიცილა პერიოდიზების ის გავრცელებული მიდგომა, როდესაც ეტაპების გამოყოფის კრიტერიუმები არაა ნაჩვენები: ან ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად გამოყენებული თეორიების მიხედვით („კონვერ-



გენციის თეორია“, „შოკური თერაპია“ და ა. შ.), ან საგადასახადო სისტემის განვითარების მიხედვით და ა. შ. რაიმე კრიტერიუმით. განსაკუთრებით ყურადღების გამახვილებაა საჭირო ავტორის იმ პოზიციის გასაგებად, რომ გარდამავალი პერიოდის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია კარლ კაუცკისა და ნიკოლაი ბუხარინის ნაშრომები. კარლ კაუცკის ნაშრომი – „სოციალური რევოლუციის მეორე დღეს“ (რუსულად. ნაშრომის სათაურში „სოციალურის“ ნაცვლად „პროლეტარული“ წერია. გვ.128) – 1902 წელსაა დაწერილი, ხოლო ბუხარინის ნაშრომი – „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“ (რუსულად) 1920 წელს. ორივე მათგანის მსჯელობა ჰიპოთეზურია, არ წარმოადგენს საბჭოთა სოციალიზმის რეალური პრაქტიკის განზოგადებას. საბჭოთა სოციალიზმი დიდად დაშორდა მათ თეორიულ (განსაკუთრებით კაუცკის) მოსაზრებებს და განვითარდა, როგორც კაპიტალიზმის სარკისებრი ალტერნატივა. საბჭოთა სოციალისტური სისტემიდან კაპიტალიზმში გარდამავალი პერიოდი, ეს არაა კაპიტალიზმიდან საბჭოთა სოციალიზმის შექმნის რევერსი. არ უნდა შეიქმნას ილუზია, რომ საბჭოთა სოციალიზმის დემონტაჟის შემდეგ რჩება კაპიტალისტური ფუნდამენტი. აქედან ერთი ნაბიჯია იქამდე, რომ საბჭოთა კავშირის კრაზი ისტორიის უკუსვლად წარმოჩინდეს. საბჭოთა სისტემიდან კაპიტალიზმზე ტრანსფორმაციის პერიოდი მოიცავს დეკომუნისტიზაციას - დესოვეტიზაციას და საბაზრო ეკონომიკის რესტავრაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნას.

კრებულის ერთ-ერთ სტატიაში გაკეთებულია აქცენტები საკუთრების ეკონომიკურ და იურიდიულ ასპექტებზე, როგორც მედლის ორ მხარეზე. ორიგინალურადაა წარმოდგენილი საკუთრების ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვა, პირველ შემთხვევაში იგულისხმება წარმოების, საწარმოს რეალური ფუნქციონირება, მატერიალური დოვლათის წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება, ხოლო მეორე შემთხვევაში - საწარმოს ჩვეულებრივი პირის (პირთა ჯგუფის) კუთვნილება, გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტით (გვ.276-290). საინტერესოადაა წარმოჩენილი დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკური ასპექტი და სხვ.

ბუნებრივია, ყოველივე აღნიშნული, მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს იმ საკითხებიდან, რომელთა გაცნობაც მკითხველს შეუძლია კრებულში. პროფ. თ.ბერიძის ნაშრომთა კრებული სასარგებლო წიგნია, რომელიც წარმოადგენს დასაყრდენს საქართველოს ეკონომიკური სინამდვილის შეცნობისათვის, ამ გარემოში წარმატებული სამეცნიერო, პოლიტიკური, პროფესიული, კომერციული თუ საინვესტიციო საქმიანობისათვის.

## **მიხილლ ჯიბუტი**

*აკადემიკოსი,  
ეკონომიკურ მეცნიეხებათა დოქტორი.*

## ქართული გეოეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი\*

### Important Acquisition of Geoeconomic Science in Georgia

უაღრესად რთულ, წინააღმდეგობრივ, საინტერესო მოვლენებით აღსავსე დროში გვიხდება ცხოვრება. ჩვენ თვალწინ მალალი ინტენსიურობით მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობა, რომლის განუყოფელი ნაწილი განახლებადი ეკონომიკური წესრიგია. საქართველომ, როგორც მცირერიცხოვანმა, ბუნებრივი რესურსებით არცთუ მდიდარმა ქვეყანამ, გლობალურ ეკონომიკაში ღირსეული ადგილის მოსაპოვებლად, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ის კონკრეტული უპირატესობა, რომელსაც ქვეყნის, როგორც ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამაკავშირებელი საკვანძო რგოლის პოზიციონირება განაპირობებს. ამ კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი პრობლემის მეტად აქტუალური ასპექტის კვლევას ეძღვნება მეცნიერების – სოლომონ პავლიაშვილისა და ზურაბ გარაყანიძის სარეცენზიო ნაშრომი.

„შუა დერეფანი“, როგორც კვლევის მთავარი ობიექტი, „ახალი აბრეშუმის გზის“ შემადგენელი ნაწილია და ლოგიკურია, რომ მისი ანალიზი იწყება „ახალი აბრეშუმის გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებული მოკლე ისტორიული ექსკურსით. საზგასმულია, რომ მისი, როგორც უძველესი „დიდი აბრეშუმის გზის“ იდეის აღორძინება უკავშირდება ე. შევარდნაძის სახელს, რომელმაც ის გააუღერა 1990 წელს ვლადივოსტოკში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე. შემდეგ ეს იდეა გაზიარებული იქნა აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰ.ალიევის, ხოლო უფრო მოგვიანებით კი ჩინეთის მეტაურის, პრეზიდენტ სი ძინპინის მიერ „სარტყლისა და გზის ინიციატივის“ კონტექსტით, რომლის ერთ-ერთი მიზანი, როგორც ცნობილია, გლობალური მასშტაბით და განსაკუთრებით აზიაში, აშშ-ის გავლენის შემცირებაა.

„შუა დერეფნის“ გეოსტრატეგიული ფასეულობა ისაა, რომ ერთი მხრივ, იძლევა ჩინეთის, ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის (აზერბაიჯანი, საქართველო) ერთ გეოეკონომიკურ სივრცედ ჩამოყალიბების შესაძლებლობას და მეორე მხრივ, რაც ჩვენთვისა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აფართოებს საქართველოს, როგორც ამ დერეფნის საკვანძო რგოლის, გეოეკონომიკურ არეალს.

---

\* სოლომონ პავლიაშვილი, ზურაბ გარაყანიძე. შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება (ალტერნატიული მარშრუტი ჩინეთიდან ევროპაში).რედაქტორი აკად.მიხეილ ჭიბუტი. გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბილისი, 2024.236გვ.

იმის მიუხედავად, რომ ეს არის უმოკლესი მარშრუტი აზიიდან ევროპაში და უკუმიმართულებით მოძრავი ტვირთებისთვის, გარკვეული პროცესების დაწყებამდე ეს მარშრუტი ჩრდილში იყო მოქცეული (გვ.19).

რუსეთ-უკრაინის ომმა და ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა, როგორც რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ „ჩრდილოეთის მარშრუტს“, ასევე, ე.წ. „ტრადიციულ“ საზღვაო მარშრუტს და გაზარდა ცენტრალური (შუა) მარშრუტის როლი. თუმცა, რამდენიმე ფაქტორიც უნდა აღინიშნოს, რასაც უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია „შუა დერეფნის“ პროექტის რეალიზაციის პერსპექტივაზე. კერძოდ:

პირველი, ტრადიციული დაპირისპირება აზიის ორ უდიდეს სახელმწიფოს ჩინეთსა და ინდოეთს შორის;

მეორე, მზარდი დაპირისპირება აშშ-სა და ჩინეთს შორის. აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ არჩეული დ. ტრამპი, როგორც ცნობილია, ჩინეთთან, რომელსაც იგი მთავარ სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს, მკაცრი პოლიტიკის მომხრეა და სავარაუდოა, რომ შეეცდება გააძლიეროს მასთან კონკურენცია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სფეროებში. ამ კონტექსტით განიხილავენ წიგნის ავტორები 2023 წლის სექტემბერში ახალი ინფრასტრუქტურული მეგაპროექტის – „ინდოეთი-შუა აღმოსავლეთი - ევროპა ეკონომიკური დერეფნის (IMMEC)“ შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებას აშშ-ს, ინდოეთს, საუდის არაბეთს, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ევროკავშირს შორის, რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს არამხოლოდ „შუა დერეფნის“, არამედ ჩინეთის „ინიციატივის“ სამივე მარშრუტს და გადაიქცეს ახალ გლობალურ ჯაჭვებზე დაფუძნებულ გლობალური ვაჭრობის ახალ მარშრუტად (გვ.24). თუმცა, აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ახლო აღმოსავლეთის დროში განვლილი მწვავე კრიზისის გათვალისწინებით (აღნიშნული მარშრუტის საკვანძო პუნქტი ისრაელის საპორტო ქალაქი ჰაიფაა, საიდანაც ინდოეთიდან მომავალი ტვირთი ევროპის პორტებზე უნდა განაწილდეს), ეს მარშრუტიც ვერ იქნება დაზღვეული რისკისა და საფრთხეებისგან. ამიტომ, ბუნებრივია, რომ „აღმოსავლეთის ეკონომიკური დერეფნის“ კონკურენტუნარიანობა „შუა დერეფანთან“ მიმართებით, საკმაოდ ბუნდოვანია.

მესამე, გასათვალისწინებელია რუსეთის მხრიდან უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება „შუა დერეფნის“ პროექტთან, რომელიც პირდაპირი და უშუალო კონკურენტია რუსეთზე გამავალი „ჩრდილოეთის დერეფნის“. ამიტომ სავარაუდოა, რომ მისთვის ხელსაყრელი ვითარების შექმნის შემთხვევაში, ის მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავს „შუა დერეფანის“ პროექტის ჩასაშლელად, ტრანსკონტინენტურ ვაჭრობაში „ჩრდილოეთის დერეფნის“ დასაცავად და რეგიონში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად (გვ.14).

მკითხველის ყურადღებას მივაკყრობთ იმ გარემოებას, რომ წიგნის ავტორების მიერ „შუა დერეფანი“ წარმოდგენილია კომპლექსური ქსელის სახით, რაც აერთიანებს სარკინიგზო, საგზაო, სანაოსნო მარშრუტებს, ანუ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ კომპონენტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ „შუა დერეფანი“, ფაქტობრი-

ვად, ეკონომიკური დერეფანია და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევა ეკონომისტთა პრეროგატივაა.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნის ავტორები - ს. პავლიაშვილი და ზ. გარაყანიძე იკვლევენ „შუა დერეფანის“ ენერგეტიკულ მდგენელს. მდიდარი ციფრობრივი და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ისინი კარგად წარმოაჩენენ საქართველოს როლს და პერსპექტივას ამ მეგაპროექტში, ასაბუთებენ, რომ „სამხრეთის გაზის დერეფნის (SGC)“ პროექტში აქტიური ჩართვით და „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ პროექტის განხორციელებით, საქართველოს ეძლევა ენერგეტიკულ პაბად გადაქცევის შანსი, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

წიგნის წაკითხვისას ჩვენი ყურადღება იმ გარემოებამაც მიიპყრო, რომ რიგ შემთხვევაში ავტორები თამამად აფიქსირებენ „მეინსტრიმული“ მოსაზრებებისგან განსხვავებულ საკუთარ შეხედულებებს. ასე, მაგალითად, გამოთქმულია „ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენისა“ და „სამხრეთ კავკასიური გაზსადენის“ საქართველოს ტერიტორიის კონკრეტულ ლოკაციაზე ურთიერთდაკავშირების გზით ე.წ. „ქართული ჰაბის“ შექმნის იდეა. ის გულისხმობს საქართველოზე რუსული, აზერბაიჯანული (პერსპექტივაში შესაძლებელია, ყაზახური და თურქმენული) გაზის გატარებას, რაც, ჩვენი აზრით, ჩვენთვის სასარგებლოდ, დაინტერესებულ აქტორთა ინტერესების დაბალანსების საფუძველად შეიძლება მოგვევლინოს. მეორე მაგალითია, საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის იდეა და აქედან გამომდინარე ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს დასმული კითხვა – ხომ არ შეიძლება რუსეთის დაინტერესება ამ საკითხის მიმართ გახდეს აფხაზეთის პრობლემის ჩვენ სასარგებლოდ გადაჭრის გასაღები?

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ აკად. სოლომონ პავლიაშვილის და პროფ. ზურაბ გარაყანიძის მონოგრაფია „შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება“, არის კომპლექსური და სიღრმისეული გამოკვლევა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოში მეტად აქტუალური სამეცნიერო მიმართულების – გეოეკონომიკის განვითარებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ სარეცენზიო ნაშრომში საკითხთა ფართო სპექტრია წარმოდგენილი, რაც კავკასია-ცენტრალური აზიის სუბრეგიონის ეკონომიკური განვითარების ბევრ საჭირობოროტო ასპექტს მოიცავს, ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა მისი ინგლისურ ენაზე გამოცემა, რათა არაქართულენოვან მკითხველსაც მიეცეს ამ საინტერესო წიგნის გაცნობის შესაძლებლობა.

**ელგუჯა მექვაბიშვილი**

*პროფესორი*

**თეიმურაზ ბერიძე**

*პროფესორი*

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ნინო ებრალიძე  
Prepared for publication by Natia Dvali and Nino Ebralidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

2025

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 1  
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel 995(32 225 04 84, 6284/6279  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>